პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76) მდივნის 10—58) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- ბესარაბიის მცხოვრებნი უარს ამბობენ რუმინეთის ჯარში სამსახურში გასვლაზე.
- გაიხსნა საქსონიის მშრომელთა კონგრესი.
- პოლონეთში დაარსდა უკრაინელთა შრომის ახალი არტია.
- ამ კვირაში ინგლისის მთავრობა საბჭოთა მთავრობას გამოუგზავნის საპასუხო ნოტას.
- პეკინში დატუსაღებულთ მოელის სიკვდილით დასჯა.
- ფინ-იუი-სიანის არმიამ აიღო ჩენ-ჩჟოუ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთშაბათი, 26 მაისი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 117 (1862)

„კომუნისტი“
მიიღება ხელის მოწერა
ივნისისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

ურთიერთობის გაწყვეტის წინ

ხანგრძლივი და საიდუმლოებით მოცული თათბირი ინგლისის კაბინეტის წევრებს შორის „რუსეთის საკითხის“ გარშემო დამთავრდა საბჭოთა კავშირის ყველაზე უფრო უბოროტეს და შეურიგებელ მტრების სრული გამარჯვებით. ინგლისის კაბინეტმა დაადგინა გასწყვიტოს სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. ბანდიტურ თავდასხმების ტაქტიკას სავსებით და უსიტყვოდ კვერი დაუკრა ინგლისის მთავრობამ. პოლიციურმა, „შინაური პოლიტიკის“ მოსაზრებებმა გაიმარჯვეს საბჭოთა კავშირის დიპლომატიურ ჩხვლეტის ძალიან ნელა მომქმედ მეთოდებზე, რომელთაც ამჯობინებდა მისტერ ჩემბერლენი. ჯოინსონ ხიქსმა, რომელმაც თავისი კოლეგები კაბინეტიდან მომხდარ ფაქტის წინაშე დააყენა, იცოდა, რომ თავის მიზანს მიაღწევდა. რანაირი მიქარვაც არ უნდა ყოფილიყო მთელი ეს ისტორია „დაკარგული“ დოკუმენტის შესახებ, მისი შედეგი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ურთიერთობის ჩაშლა. კიდევ მეტი, რამდენადაც უფრო თვალსაჩინო ხდებოდა ეს სიცრუე, მით უფრო აუცილებელი ხდებოდა ურთიერთობის ჩაშლა. ვინაიდან სხვანაირად მათ უნდა ეცნოთ მთელი ამ ნაბიჯის სრული მარცხი და მით სამუდამოდ სახელი გაეტეხათ არა მარტო ხიქსისათვის, არამედ მთელი კაბინეტისათვის.

ამრიგად, ხიკს, ამ ბალაგანურ პერსონაჟს, რომელიც ოცნებობს ინგლისელ მუსოლინის როლზე, სრული უფლებით შეუძლია თავისი თავი ჩასთვალოს კონსერვატიული პარტიის მხსნელად დამღუპველ მერყეობისა და დანაშაულებრივ გაუბედაობისაგან ბოლშევიზმის ვეშაპთან ბრძოლის საქმეში. მან, ხიკსმა, მისცა სიგნალი და ეგრეთ წოდებული „ზომიერი კონსერვატიზმის მერყევ და გაუბედავ წარმომადგენლებს ნებსით თუ უნებლიეთ ფარხმალი უნდა აესხათ და ჩამწკრივებულიყვენ საბრძოლველად. „თვითონ“ ბოლდუინი—ინგლისის მთავრობის მეთაური, რომელიც სულ ამ მოკლე ხნის წინ ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ წარმოთქმულ სიტყვაში საჭიროდ სთვლიდა „თავდაჭერილ თამაშს“, — გამოუშვეს სცენაზე და საზეიმოდ განაცხადებიეს, რომ ამიერიდან ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა გადაჭრით მოქმედება.

ფარისეველური დამატება პალატის დასტურის შესახებ, რასაკვირველია, მხედველობაში არ მიიღება, ვინაიდან პარლამენტის კონსერვატიულ უმრავლესობას არ შეუძლია არ მოიწონოს ის, რასაც მას წარუდგენს კაბინეტი, რომელიც ფაქტიური დიქტატორია ქვეყანაში.

ინგლისის მთავრობამ იქარა პასუხისმგებლობის თავის-თავზე მიღება ურთიერთობის ჩაშლისა და იმ სამეურნეო და საერთაშორისო პოლიტიკურ შედეგებისათვის, რომელიც შესაძლოა ამას მოჰყვეს.

განიცდიან რა თავის-თავზე ჩაგრულ კოლონიალურ ხალხების მთელს ზიზღს და ინგლისის მუშათა კლასის აღშფოთებას, რომელიც სულ უფრო იზრდება, შუბლმაგარი მმართველები ჯიქურად მიდიან. ისინი საზღვაო ზარბაზნების და ტყვიისმფრქვეველების ლულებს უშვერენ ჩინეთის რევოლიუციას, თავხედურად ბრძოლაში იწვევენ ინგლისის მუშათა კლასს პროფკავშირების წინააღმდეგ მიმართულ კანონით, ისინი მზად არიან ბლოკადის და ინტერვენციის საშინელებანით თავს დაატეხონ მსოფლიოში პირველ მუშურ სახელმწიფოს.

ვგონებთ, ძალიან ბევრს კისრულობთ თავის-თავზე, პატივცემულო ლორდებო? იქნებ ამ სიძნელეებს ვერ გაუძლოს თვით ბრიტანეთის იმპერიამ? იქნებ ეს თამაში ასაფეთქებელ ნივთიერებასთან საბედისწერო იქნეს, პირველ ყოვლისა. თვით ძველი ინგლისისათვის?

ზოგიერთ კონსერვატიულ პოლიტიკოსების თავის სანუგეშებელი წინასწარმეტყველება მახლობელ არჩევნების შესახებ, რომელიც ვითომ კოცონი იქნება მუშათა პარტიის დასაწვავად, შეიძლება ძალიან ცუდ ანეკდოტად იქცეს. არავითარი საბუთი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ კონსერვატიული პარტიის ჰერკულესისებურ „საგმირო საქმეთა“ ნუსხა აიძულებს ინგლისელ ამომრჩეველს დაივიწყოს მეტად არასასიამოვნო ეკონომიური შედეგები, რომელთაც გამოიწვევს ავანტიურების პოლიტიკა. ხინჩუკის ჩამტვრეულ სეიფების დანახვა ძალიან ცუდი ნუგეშია ინგლისელ გადასახადის გადამხდელისათვის, რომელსაც დაბოლოს კისერზე დააწვება ყველა ხარჯები შუბლმაგართა პოლიტიკით გამოწვეულ ზარალის დასაფარავად. ჩვენ უკვე არ ვლაპარაკობთ სულიერ განწყობილებაზე, რომელიც გაბატონებულია და ძლიერდება ინგლისის მუშათა კლასში.

უსირცხვილო ტრიუკი „ზინოვიევის წერილის“ გამო კონსერვატორებისათვის იქცა პოლიტიკური ბრძოლის ერთგვარ უმაღლეს, შეუდარებელ ხერხად, რომელიც ყოველგვარ მდგომარეობას შველის. მაგრამ კოკა წყალს ყოველთვის არ მოიტანს.

საქმე, რასაკვირველია, იმაში როდია— ხელსაყრელი თუ არახელსაყრელი პლატფორმა მოიმზადეს შუბლმაგარმა კონსერვატორებმა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის ჩაშლის გადაწყვეტით. ამ ნაბიჯის შედეგი გაცილებით უფრო დიდი და მნიშვნელოვანია.

სწორედ მაშინ, როცა ჟენევის ეკონომიური კონფერენცია იძულებული გახდა ეცნო კაპიტალისტურ და საბჭოთა, ე. ი. სოციალისტურ სისტემების პრინციპიალური სწორუფლებიანობა, ინგლისის მთავრობა ჯვაროსნულ ომს უცხადებს სოციალიზმს, უარყოფს ამ ორი სისტემის არსებობის და მათ შორის მშვიდობიან ეკონომიურ ურთიერთობის შესაძლებლობას და აყენებს ლოზუნგად დაუყოვნებლივ და შეურიგებელ ბრძოლას.

საქმე სწორედ იმაშია, რომ კაპიტალიზმი თავს ესხმის ერთად-ერთ ქვეყანას, სადაც მუშათა კლასმა გაიმარჯვა და დაიწყო სოციალიზმის შენება. თვით მეორე სოციალ-დემოკრატიული პრესაც ვერ ბედავს იმის თქმას, რომ საქმე შეეხება ჩვეულებრივ კონფლიქტს ორ კაპიტალისტურ სახელმწიფოს შორისო. თვით მეორე ინტერნაციონალის გმირებსაც არ შესწევთ საკმაო უტიფრობა, რომ აშკარად და პირდაპირ გამოვიდნენ მუშების წინაშე და ხმამაღლა უარჰყონ ამ კონფლიქტის სოციალურ-კლასიური ბუნება, ვინაიდან ყოველი მუშა გრძნობს ამას თავისი პროლეტარული ინსტიქტით.

ჩვენ არ გვაშინებს ინგლისის ბურჟუაზიის ცოფმორეული გამოლაშქრება, პროვოკაცია და მუქარა და გულდამშვიდებით ვუცქერით მის ოინებს, ვინაიდან ყოველივე მისი ცდა მხოლოდ აძლიერებს სიმპატიებს საბჭოთა კავშირისადმი, აღვიძებს მუშათა კლასის თვით ჩამორჩენილ ფენების შეგნებას და აიძულებს მათ ჩადგენ სოციალიზმისათვის აქტიურ შებრძოლთა რიგებში.

ისტორიული სიბრმავით შეპყრობილი კაპიტალისტური ხროვის წარმომადგენლები კომუნისტურ მოძრაობაში ხედავენ მხოლოდ შეთქმულებებს და ამბოხებებს. ისინი ემზადებიან ამ ამბოხებების ჩასაქრობად, ისინი ეძებენ შეთქმულებათა ძაფებს, „რევოლიუციის ბაცილას“. ისინი პარლამენტის ტრიბუნიდან სერიოზული სახით კითხულობენ პროპაგანდის „დამამტკიცებელ საბუთებს“. ისინი ვერ ამჩნევენ, რომ მათი „გადამჭრელი ზომები“, მათი გააფთრებული ყვირილი კომუნიზმის პროპაგანდას მეტ სამსახურს უწევს, ვინემ ეს შეუძლია ასობით დახელოვნებულ პროპაგანდისტს. ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილება ძალიან სერიოზულ გარდატეხის პუნქტს წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობაში. სავაჭრო და დიპლომატიურ ურთიერთობის ჩაშლა საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის,—ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია, რომელსაც შემდეგომი მოჰყვება. ერთიანი ფრონტის შექმნა ჩვენს წინააღმდეგ, რისთვისაც დაუღალავად მუშაობდა ინგლისის დიპლომატია, კიდევ უფრო გაძლიერებული ტემპით გაგრძელდება.

მაქსიმალური სიმტკიცე, დარაზმულობა და მაქსიმალური პოლიტიკური აქტივობა,—აი რა მოეთხოვებათ საბჭოთა კავშირის მშრომელებს მომავალ პერიოდში. მტრების ყოველგვარ ცდების მიუხედავად, ჩვენ განვაგრძობთ მშვიდობიანობის საქმის დაცვას. ჩვენ ფხიზლად თვალყურს ვადევნებთ ბურჟუაზიულ მთავრობების და, პირველ ყოვლისა, ინგლისის მთავრობის ყოველგვარ მახინაციებს და ამავე დროს გვემახსოვრება, რომ ჩვენი ქვეყანა წარმოადგენს მთელი მშრომელი კაცობრიობის მოწინავე რაზმს. დას. ევროპის მრავალმილიონიან მასების და აღმოსავლეთის ხალხთა თანაგრძნობა და დახმარება, აგრეთვე ჩვენი საკუთარი დარაზმულობა და სიმტკიცე,—აი, რა უზრუნველჰყოფს ჩვენს საბოლოო გამარჯვებას ყველა მტრებზე.

„პრავდა“.

მოსკოვი, 25 მაისი.

აქტივობისა და საქმიანობის გზით

(პროფკავშირების მიმდინარე ყრილობის გამო).

საქართველოს პროფკავშირების მეექვსე ყრილობამ გუშინ (ყრილობის მესამე დღეს) დაამთავრა პროფკავშირთა საბჭოს მოხსენების გარშემო გამართული კამათი. მან ყოველ მხრივ გააშუქა პროფკავშირების მდგომარეობა, მათი მიღწევები და ნაკლი. ამავე დროს ყრილობამ მოგვცა მომავალი მუშაობისათვის მთელი რიგი პრაქტიკული მითითებანი.

კამათში მონაწილეობა მიიღო ორმოცდაათამდე ამხანაგმა. ჩაწერილი იყო ოთხმოცზე მეტი. და საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ყრილობა თავისი საქმიანი მუშაობით სრულებით განსხვავდება ყველა დანარჩენი ყრილობებისაგან. გამოაშკარავდა, რომ ფართო დემოკრატიამ პროფკავშირებში დიდი სარგებლობა მოიტანა. მან ჩააბა მასიური წევრები საკავშირო მუშაობაში, მისცა მათ აქტივობის და თვითმოქმედების გამოჩენის საშუალება და საერთოდ გააძლიერა პროფმოძრაობის ყველა დარგების მასიური მუშაობა.

ადგილებიდან ჩამოსული ამხანაგები, რომელთა შორის ბევრი პირველად ესწრება ასეთ ყრილობას, შეგნებულად და დიდის დაკვირვებით აშუქებდენ ადგილობრივ მდგომარეობას, უთითებდენ პრაქტიკულ ღონისძიებებზე, რომელთა საშუალებით სულ მოკლე ხანში შეიძლება იმ ნაკლთა გამოსწორება, რომელნიც თანამგზავრი არიან ჩვენი ორგანოების მუშაობისა.

ყრილობაზე გამოირკვა, რომ დიდი მიღწევები გვაქვს აგრეთვე ახალგაზრდათა მუშაობაში. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის საქმიანი მიდგომა საკითხებისადმი, რომელსაც იჩენდენ ახალგაზრდა დელეგატები.

კამათის დროს ორატორთა ყურადღება უმთავრესად შემდეგმა საკითხებმა მიიქცია:

უმუშევრობა, მას ჯერ-ჯერობით კიდევ აქვს ადგილი და ვერც ვიტყვით, რომ მოკლე ხანში მოხდება მისი სრული ლიკვიდაცია. რა ჰქმნის ასეთ მდგომარეობას? საბჭოთა და პროფკავშირთა ორგანოების უყურადღებობა თუ სხვა რაიმე მიზეზი?

უნდა ითქვას, რომ უმუშევრობა ჩვენში (საბჭოთა რესპუბლიკებში) განსხვავდება კაპიტალისტური ქვეყნების უმუშევრობისაგან.

ჩვენში პროფკავშირთა წევრების საერთოდ 17 პროცენტით ზრდასთან (იყო 136.145 წევრი 1925 წელში, ამჟამად კი—159.317), წარმოება-დაწესებულებების გაფართოებასთან, ახალ მშენებლობასთან და სამუშაოში ჩაბმულთა რიცხვის 11,8 პროცენტით ზრდასთან ერთად (128.115—1925 წელში—ახლა კი 143.249), მატულობს უმუშევართა რიცხვიც. მათი რიგები ჩვენში სულ სხვა წყაროებიდან ივსება, ვიდრე ეს კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ამჟამად უმუშევართა „ბუნებრივ“ რიცხვს ავსებს: სოფლის ზედმეტი მუშახელი, ყოფილი მოწაფეობა (სხვადასხვა სასწავლებელ დამთავრებულნი), რევოლიუციისაგან ლიკვიდაციაქმნილ სხვადასხვა დაწესებულებების ყოფილი მოსამსახურენი და ჩინოვნიკობა, ყოფილი ოფიცრობა, რევოლიუციისაგანვე გარიყული ყოფ. პრივილეგიური სოციალური ჯგუფები, რომლებიც ძველ, მათთვის ბედნიერ დროს, არაფერს აკეთებდენ, ან „იოლი შრომით“ ცხოვრობდენ. მაშასადამე, ჩვენი უმუშევრობა არ არის დაკავშირებული ფაბრიკა-ქარხნების და წარმოება-დაწესებულებების შემცირებასთან, როგორც ეს კაპიტალისტურ ქვეყნებში ხდება.

ძირითად ორგანიზაციებზე ხელმძღვანელობა. ამ დარგში დიდია მიღწევები, განმტკიცებულია ცოცხალი კავშირი ადგილებთან და თავის დროზე ეგზავნებათ საჭირო სახელმძღვანელო მასალა. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ყველა კავშირების შესახებ: ზოგიერთმა მათ შორის ჯერ კიდევ ვერ შესძლო ამ მუშაობის დაყენება სასურველ სიმაღლეზე. რასაკვირველია, ასეთი მდგომარეობა უფრო უსახსრობის შედეგია, ვიდრე დაუდევრობის. მაგრამ მომავალში „ობიექტიური პირობებით“ თავის მართლებით ფონს ველარავინ გავა. საჭიროა მთელი შესაძლებლობის გამოყენება და ძარღვების დაჭიმვა ადგილებზე ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის.

საწარმოო თათბირები. გამოირკვა, რომ საწარმოო თათბირებმა (განსაკუთრებით ამ ბოლო დროს) საპატიო ადგილი დაიკავეს ჩვენი წარმოების აღორძინების საქმეში. მათ მუშაობაში ჩაბმულია მრავალი მუშა და სპეციალისტი. დაგროვილი მასალები გვიმტკიცებენ, აგრეთვე, რომ საწარმოო თათბირების დადგენილებათა 70—75 პროცენტი უკვე ტარდება ცხოვრებაში. მაგრამ ეს პროცენტები მხოლოდ დადგენილებათა რიცხვის მიხედვით არის აღებული და ცხოვრებაში ტარდება უფრო ადვილი და მცირე ხარჯებთან დაკავშირებული დადგენილებანი, ხოლო, რაც შეეხება უფრო რთულ მითითებებს და ღონისძიებებს, ისინი ჯერ ან სრულიად არ განხორციელებულა, ან უკანასკნელ რიგში არიან მოქცეული სათანადო სახსარის გამონახვამდე..

მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური მდგომარეობის და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საკითხმა მიიპყრო ორატორების განსაკუთრებული ყურადღება. რასაკვირველია, აქ ადგილი არ ჰქონია გადაჭარბებულ და შეუსრულებელ მოთხოვნილებებს, მაგრამ ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენი მატერიალური მდგომარეობის ომის წინა დროინდელ მდგომარეობამდე აყვანა ოდნავადაც აღარ აკმაყოფილებს პროფკავშირთა წევრებს, ვინაიდან მათი კულტურული და მატერიალური მოთხოვნილებანი ამჟამად საგრძნობლად გაზრდილია. ამიტომ წარმოება-მრეწველობის გაფართოვებას მუდამ თან უნდა სდევდეს მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება.

ჩამოთვლილ საკითხებთან ერთად, ყრილობამ დაწვრილებით განიხილა ყველა დანარჩენი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან პროფმოძრაობასთან და დასახა გარკვეული ხაზი მომავალ მუშაობისათვის. ამ ხაზის გატარება ბევრად არის დამოკიდებული პროფკავშირთა ხელმძღვანელ ორგანოების უნარიანობაზე და საქმიან მუშაობაზე, მაგრამ უმთავრესი ყურადღება ადგილებისაკენ არის მიპყრობილი.

ყრილობის თითოეულმა დელეგატმა ადგილობრივად დაბრუნებისთანავე უნდა გააცხოველოს შესაფერი მუშაობა; ხელი შეუწყოს ამ მუშაობაში კავშირის დანარჩენ წევრთა აქტიურად ჩაბმის საქმეს და ამით უზრუნველყოს ყრილობის ყველა დადგენილებების ცხოვრებაში წარმატებით გატარება.

ი. ჭელიძე.

ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის გაწყვეტის წინ

ამხ. ჩიჩერინმა ინახულა პუანკარე და ბრიანი

საფრანგეთის ელჩმა ერბეტმა განაცხადა: „მე მწამს, რომ საბჭოთა მთავრობა აწარმოებს მშვიდობიან პოლიტიკას; საფრანგეთის მთავრობა ევროპის ყველა სახელმწიფოებს ურჩევს გაატარონ ასეთი პოლიტიკა“

„ინგლის-საბჭოთა ‹კავშირის ურთიერთობის ჩაშლა გავლენას არ მოახდენს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის დამოკიდებულებაზე“

ამხ. ჩიჩერინი პარიზში

ამხ. ჩიჩერინი და რაკოვსკი პუანკარესთან

პარიზი, 24 მაისი. საფრანგეთის პრემიერმა პუანკარემ მიიღო ჩიჩერინი და საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საფრანგეთში რაკოვსკი. (ადს).

ამხ. ჩიჩერინი ბრიანთან

პარიზი, 24 მაისი. ბრიანმა მიიღო ჩიჩერინი, რომელსაც ახლდა ხ. რაკოვსკი. საუბარი გაგრძელდა ერთ საათს.

საუბრის გათავების შემდეგ ჩიჩერინმა უარი სთქვა რაიმე განცხადებას გაკეთებაზე. (ადს).

ერბეტის განცხადება

ლენინგრადი, 25 მაისი. 23 მაისს ლენინგრადიდან პარიზში გაემგზავრა საფრანგეთის ელჩი საბჭოთა კავშირში **ერბეტი.**

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს ერბეტმა განაცხადა:

„28 თვის განმავლობაში მოსკოვში ყოფნამ მე იმ დასკვნამდე მიმიყვანა, **რომ არ არსებობს ისეთი მიზეზი, რომელსაც შეეძლოს სერიოზული პოლიტიკური უთანხმოების გამოწვევა საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. მე ღრმად ვარ დარწმუნებული საბჭოთა მთავრობის მშვიდობიანობის მოყვარულობაში; საფრანგეთის მთავრობა ურჩევს ევროპის ყველა ქვეყნებს დაადგენ ასეთივე მშვიდობიანობის პოლიტიკას.** ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკამ, რომელსაც საბჭოთა მთავრობა ატარებს, უკვე საგრძნობი შედეგები გამოიღო. საფრანგეთის მრეწველობას უფრო მეტი მონაწილეობის მიღება შეუძლია იმ მუშაობაში, რომელიც სწარმოებს საბჭოთა კავშირში, ვიდრე ის ამჟამად იღებს“. (ადს).

პრესის აზრი

პარიზი, 24 მაისი. **პრესა აღნიშნავს ჩიჩერინის პარიზში ყოფნის დიდ მნიშვნელობას იმ მომენტში, როცა ინგლის-საბჭოთა ურთიერთობა კრიტიკულ ფაზისში შედის.**

„ევრ“ სწერს: „კაბინეტი, თავისთავად ცხადია, არ არის შეზღუდული რაიმე შეთანხმებებით ლონდონთან და მისი ურთიერთობა მოსკოვთან სავსებით დამოუკიდებელია. ერბეტი პარიზში იმყოფება და, ალბათ, მონაწილეობას მიიღებს საუბარში“.

„ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ჩაშლა—სწერს „ექსცელსიორ“, რასაკვირველია ვერ მოახდენს პირდაპირ გავლენას საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაზე. საფრანგეთის მთავრობა იტოვებს მოქმედების სრულ თავისუფლებას“.

„ეკო დე პარი“ საფრანგეთის მთავრობას ურჩევს ფრთხილად დაუხვდეს ჩიჩერინის ცდებს. გაზეთის სიტყვით, შემთხვევითი არ არის, რომ ჩიჩერინის ჩამოსვლა ხვდება ერბეტის ჩამოსვლას პარიზში. (ადს).

„დეილი ტელეგრაფი“ უკმაყოფილოა

ლონდონი, 24 მაისი. „დეილი ტელეგრაფის პარიზელი კორესპონდენტი, კომენტარიებს უკეთებს რა საფრანგეთის ელჩის ერბეტის ჩასვლას პარიზში სწერს:

„შესაძლოა, რომ ერბეტის ჩასვლა პარიზში მიზნად ისახავს ხელი შეუშალოს საფრანგეთის მთავრობას მიბაძოს ინგლისის მთავრობის მაგალითს საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების საკითხში.

კორესპონდენტი აკრიტიკებს ერბეტის პოზიციას და აცხადებს, რომ ერბეტის შეხედულებები გამოხატავენ საბჭოთა გავლენას და ხელსაყრელი არიან საბჭოთა მთავრობისათვის. (ადს).

„ტან“-ის აზრი

პარიზი, 24 მაისი. საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საკითხებს გაზ. „ტანი“ უძღვნის წერილს, რომელშიაც ნათქვამია:

— „ჩიჩერინისა და ერბეტის ერთად ჩამოსვლა შემთხვევითი იყო და ამას არავითარი კავშირი არა აქვს საფრანგეთ საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საკითხთან. რაც შეეხება დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირთან ,ისე როგორც სხვა სახელმწიფოებთან, უნდა ითქვას, რომ საფრანგეთის პოლიტიკა არაა დამოკიდებული რომელიმე სახელმწიფოს პოლიტიკისაგან და იგი განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ საფრანგეთის ინტერესებით. საბჭოთა კავშირთან საფრანგეთის ურთიერთობის ხასიათი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად დაიცავს საბჭოთა კავშირი ნაკისრ ვალდებულებებს რევოლიუციონური პროპაგანდისაგან თავის შეკავების შესახებ. ეს დამოკიდებულია აგრეთვე იმ საფინანსო საკითხების მოწესრიგებაზე, რომლისთვისაც პასუხისმგებელია მთელი რუსეთის ხალხი.

საბჭოთა კავშირის დელეგაციის წინადადებები არაა საკმარისი. თუ ჩიჩერინმა არ გამონახა სრულიად ახალი ფორმულა, თუ იგი არ გამოდგება იმდენათ გავლენიანი, რომ ვერ მოახდინა გავლენა მოსკოვის მთავრობაზე და მასზე კონტროლის გამწევ კომუნისტურ პარტიაზე, —მაშინ ძნელი გახდება ამ ამოცანის პრაქტიკული გადარჩა“. (ადს).

საქსონიის მშრომელთა კონგრესი

ბერლინი, 24 მაისი. **დრეზდენში გამართულ საქსონიის მშრომელთა კონგრესს დაესწრო 220 დელეგატი:** 91 კომუნისტი, 9 კომკავშირელი, 37 სოციალ-დემოკრატი, 79 უპარტიო და 4 დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატი.

მოხსენება მთლიანობისათვის ბრძოლის შესახებ გააკეთა სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან გამორიცხულმა, სოციალისტური მუშა-ახალგაზრდობის ლეიპციგის კავშირის თავმჯდომარე **ოტტომ.**

ოტტო ამტკიცებდა მთლიანი წითელი ფრონტის აუცილებლობას და მოუწოდებდა მშრომელთა მთლიანობისათვის ბრძოლისაკენ.

კონგრესმა უდიდესი ყურადღებით მოისმინა სოციალ-დემოკრ. დელეგატების მიერ წაკითხული ღია წერილი, რომელიც საქსონიის დელეგაციამ გამოაქვეყნა კილში გამართულ სოციალ-დემოკრატების ყრილობაზე. წერილი იცავს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარცხენე ფრთის თვალსაზრისს ყველა საკითხებში და მოითხოვს სოციალ-დემოკრატების გასვლას ყველა კოალიციონური მთავრობებიდან და პირველ რიგში პრუსიის მთავრობიდან.

კონგრესმა გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც აცხადებს, რომ პარლამენტის გარეშე უნდა იქნეს წარმოებული სასტიკი ბრძოლა საქსონიის ლანდტაგის დასათხოვნად და ბურჟუაზიული ბლოკის მთავრობის ჩამოსაგდებად.

ურთიერთობის ჩაშლის წინ

ჩემბერლენი ნანობს.

ლონდონი, 24 მაისი. ლიბერალური „ვესტმინსტერ გაზეტ“-ი სწერს: „თუმცა ჩემბერლენი დაეთანხმა კაბინეტის გადაწყვეტილებას, მიუხედავად ამისა, გარეშე საქმეთა მინისტრის დამოკიდებულებას ურთიერთობის ჩაშლისადმი ერთგვარი სინანული ეტყობა. ჩვენ ვფიქრობ გარეშე საქმეთა სამინისტრო ამჯობინებდა, რომ ეს შესაძლებელი ყოფილიყო, განეგრძო დიპლომატიური ურთიერთობა“ (ადს).

სინამდვილე თუ ფანტაზია

ლონდონი, 24 მაისი. თემთა პალატაში მუშათა პარტიის წევრმა **ტერტლმა** იმ დოკუმენტების შესახებ, რომელიც თითქოს არკოსში დაიკარგა, სამხედრო მინისტრს ევანსს მისცა შემდეგი შეკითხვა: **„შეუძლია თუ არა პატივცემულ ჯენტლმენს სთქვას ეს დოკუმენტი არსებობს სინამდვილეში, თუ წარმოადგენს ფანტაზიის ნაყოფს“.** (სიცილი მუშათა პარტიის სკამებზე და ხმები: უპასუხეთ!) თავმჯდომარემ მოხსნა შეკითხვა. (ადს).

ბოლდუინის განცხადება

ლონდონი, 24 მაისი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„თემთა პალატაში ბოლდუინმა განაცხადა, რომ მთავრობამ გადასწყვიტა, თუ პალატა ხუთშაბათს არ გაილაშქრებს ამის წინააღმდეგ, გააუქმოს სავაჭრო შეთანხმება, მოითხოვოს საბჭოთა სავაჭრო დელეგაციის და საბჭოთა მისიის გაწვევა ლონდონიდან და ინგლისის მისია გამოიწვიოს მოსკოვიდან. (ტაში კონსერვატორების სკამებზე)“.

შენიშვნა: ხუთშაბათს თემთა პალატაში უნდა შესდგეს კამათი მთავრობის განცხადების გამო ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ. (ადს).

პასუხის მოლოდინში

ლონდონი, 25 მაისი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„გარეშე საქმეთა მინისტრის პასუხი საბჭოთა საპროტესტო ნოტაზე გაგზავნილ იქნება მიმდინარე კვირაში. სარწმუნო წყაროების ცნობით, ინგლისის პასუხის შინაარსი იქნება ისეთი, რომ საბჭოთა მთავრობა პრაქტიკულად იძულებული გახდება გაიწვიოს თავისი დიპლომატიური მისია ლონდონიდან“.

გაჩხრეკის ორდერი

ლონდონი, 24 მაისი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„შინაგან საქმეთა მინისტრმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ სასამართლოს ბრძანება არკოსში ჩხრეკის მოხდენის შესახებ, პოლიციას აძლევდა რწმუნებას „შეჭრილიყო შენობაში, თუ საჭირო იქნებოდა ძალით, ვაეჩხრიკა არკოსის და რუსეთის სავაჭრო დელეგაციის შენობები და ყველა პირები, რომელნიც აღმოჩნდებიან ამ შენობაში წაეღო თან ყოველგვარი გეგმა, წერილის პროექტი, მემორანდუმი, დოკუმენტი და ყველაფერი რაც იქნებოდა დამამტკიცებელია იმისა, რომ ჩადენილ იქნა და მზადდებოდა უეჭველი საიდუმლოების კანონის დარღვევა“. (ადს).

ამხ. მიქოიანის განცხადება

ინგლის-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტის მნიშვნელობის შესახებ

მოსკოვი, 25 მაისი. პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ვაჭრობის სახალხო კომისარმა ამხ. **მიქოიანმა** განაცხადა შემდეგი:

„ჩვენთვის მოულოდნელი არ არის ბოლდუინის განცხადება საბჭოთა კავშირთან ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ. კონსერვატორები ფიქრობენ, რომ ამით მძიმე ლახვარს ჩასცემენ საბჭოთა კავშირს. მაგრამ ჩვენ მოვემზადეთ ამ ლახვარისთვის და კიდეც უმტკივნეულოდ გადავიტანთ მას. **მალე ინგლისი დარწმუნდება, რომ ურთიერთობის შეწყვეტა უფრო მისთვის იქნება საგრძნობი, ვიდრე საბჭოთა კავშირისთვის.**

მიუხედავად იმ დიდი ადგილისა, რომელიც უჭირავს ინგლისს ჩვენს საგარეო ვაჭრობაში, ჩვენ უმტკივნეულოდ უახლოეს დღეებშივე მოვაწესრიგებთ ჩვენს საგარეო სავაჭრო საქმიანობას და უზრუნველვყოფთ ჩვენი საექსპორტო საქონლის დაუბრკოლებელ გასაღებას და საიმპორტო საქონლის შეძენას. ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობანი სხვადასხვა ქვეყნებში უკვე იღებენ იმ დაკვეთებს, რომლებიც წინად ინგლისისათვის იყო დანიშნული.

მიუხედავად ინგლისის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა აშკარა დარღვევისა, მიუხედავად საბჭოთა კავშირის უფლებების გაუგონარი ფეხქვეშ გათელვისა, ჩან-ძო-ლინის ცივილიზაციური მოწაფეების მხრივ, მე მაინც მივეცი განკარგულება კომისარიატს და ჩვენს სამეურნეო ორგანიზაციებს ლონდონში, რომ სისწორით შეასრულონ მათ მიერ ნაკისრი კომერციული და ფინანსიური ვალდებულებები.

მაგრამ რამდენადაც ჩვენ უზრუნველვყოფთ ჩვენს მიერ ნაკისრ ყველა ვალდებულებათა შესრულებას ,ხოლო ჩვენ კი მოკლებული ვართ იმის გარანტიას, რომ ინგლისის ფირმები პირნათლად და თავის დროზე შეასრულებენ მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებას, იმდენად, ჩვენი ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით, მე გავეცი განკარგულება, რომ ყველა ინგლისურ ფირმებს, მიეთხოვოს იმის გარანტია, რომ ევროპის იმ ქვეყნების საკრედიტო ორგანიზაციების მიმართ, რომლებთანაც ჩვენ ნორმალური სავაჭრო და პოლიტიკური ურთიერთობა გვაქვს, ისინი შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს. ეკონომიური ურთიერთობის შეწყვეტის გამო, მთელი საქონლისა და მოწყობილობის მიღება, რაც, ხელშეკრულების ძალით, უნდა წარმოებულიყო ინგლისის ტერიტორიაზე, გადმოტანილი იქნება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

არ უნდა გაუწიოთ ანგარიში ბოლდუინის ცინიკურ-გაიძვერულ განცხადებას, სადაც ის ლაპარაკობს, რომ ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ დატოვებული იქნება საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის წარმოების შესაძლებლობა. ამით ბოლდუინი ცდილობს ინგლისის სამრეწველო და სავაჭრო ფირმების შიშის გაქარწყლებას, რადგან ისინი გრძნობენ, რომ ურთიერთობის შეწყვეტა ძალიან შეარყევს ინგლისის მეურნეობის ინტერესებს. ბოლდუინი სცდება, როდესაც ფიქრობს, რომ, თითქოს, საბჭოთა კავშირის სავაჭრო ორგანიზაციების განდევნის შემდეგ ინგლისიდან, მათი ფუნქციები გადავა ინგლისის საშუამავლო ფირმების ხელში. ჩვენ ყოველგვარ სავაჭრო ოპერაციებს ვწყვეტთ ინგლისთან. ახლო ხანში მთელი ჩვენი მუშაობა ინგლისში მიმართული იქნება წინად დაწყებულ საქმეების ლიკვიდაციისაკენ (ადს).

რუმინეთის დიქტატორი

ვენა, 24 მაისი. მთავრობის პარტიამ პარლამენტში შეიტანა კანონ-პროექტი, რომელიც ავერესკუს ანიჭებს არმიის კორპუსის გენერლის სამუდამო წოდებას.

პროექტმა შიში გამოიწვია გენერლებსა და ნაციონალურ-გლეხურ პარტიის შორის, რომელნიც ამაში ხედავენ ავერესკუს სამხედრო დიქტატურის დასაწყისს. (ადს).

ჯარისკაცების დემონსტრაცია

პარიზი, 24 მაისი. **საარტილერიო პოლკის სარეზერვო ჯარისკაცებმა ბურჟეში ყაზარმის ეზოში მოაწყვეს დემონსტრაცია და მოითხოვეს კვების და საბინაო პირობების გაუმჯობესება.** დემონსტრაცია გაგრძელდა ოთხი საათი. **დემონსტრანტები მღეროდენ „ინტერნაციონალს“.** სამი დემონსტრანტი დააპატიმრეს (ადს).

ძლიერი მიწისძვრა

რომი, 25 მაისი ამერიკის და ევროპის სეისმიურმა სადგურებმა აღნიშნეს 22 მაისს უძლიერესი მიწისძვრა. როგორც სჩანს, მიწისძვრა მოხდა აღმოსავლეთ ჩინეთში. სეისმიურ სადგურზე ფაიენცში(მილანის მახლობლად) მიწისძვრის აღნიშვნას ვერ გაუძლო სეისმიურმა ინსტრუმენტებმა და დაიმტვრა (ადს).

ჩილის პრეზიდენტი

ნიუ-იორკი, 24 მაისი. სანტ-იაგოდან მიღებული ცნობით, ერთად-ერთი კანდიდატი ჩილის პრეზიდენტის თანამდებობაზე, ეხლანდელი დიქტატორი იბანიესი „არჩეულია“ ჩილის პრეზიდენტად. იბანიესის ყველა მოწინააღმდეგეები გადასახლებული არიან ჩილიდან. კენჭის ყრა იძულებითი იყო. კომუნისტები, რომლებმაც სცადეს საკუთარი კანდიდატის წამოყენება პრეზიდენტის თანამდებობაზე, დააპატიმრეს (ადს).

უკანასკნელი ცნობები

მიწისძვრა გორში

გორი, 25 მაისი. დღეს, 12 საათსა და 10 წუთზე, გორში მოხდა სუსტი მიწისძვრა. (ადს).

ჩიჩერინთან საუბარი

პარიზი, 25 მაისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით პუანკარემ და ბრიანმა მოხსენება გააკეთეს კაბინეტის სხდომაზე მათი საუბრის შესახებ ჩიჩერინთან (ადს).

მუშათა პარტიის ლიდერები განხეთქილების შესახებ

ლონდონი, 25 მაისი. კლაინსმა განაცხადა: „ბოლდუინის სიტყვის ერთი ადგილი არაფრით არაა დაკავშირებული ჩხრეკის შედეგებთან. უმთავრესი, იქედან, რაც მან სთქვა, კომუნისტების მოღვაწეობისა და უმცირესობის მოძრაობის შესახებ, უკვე ცნობილი იყო იაფფასიანი ბულვარული გაზეთებიდან.

აშკარაა, რომ ამაში არ მდგომარეობს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტის მიზეზი.. ჩვენ აქ, ალბად, საქმე გვაქვს გადაწყვეტილებასთან, რომლის მიზანიცაა იმ დიადი ცდის დამსხვრევა, თუ ეს შესაძლებელი გახდა, რომელსაც ახდენს საბჭოთა კავშირი ეკონომიური დარგის რეორგანიზაციის სახით. წარმოუდგენელ გაოცებას იწვევს ის, რომ მთავრობა ადგენს—შესწყვიტოს საბჭოთა კავშირთან ყოველგვარი ურთიერთობა და ერთიც არ შეეცადა, რომ საქმე დაებოლავებია მეგობრული მოლაპარაკების გზით.

ჯორჯ ხიქსმა განაცხადა: „ბოლდუინის განცხადება, არის ისეთი სიმდაბლე, რომლის მაგვარიც ჯერ არსად მომისმენია.. თუ მთავრობას არა აქვს მეტი ფაქტები, რაც პრემიერმა გვაცნობა, მაშინ სავსებით აშკარა ხდება, რომ ურთიერთობის შეწყვეტა არა არკოსში მომხდარი ჩხრეკით არამედ კონსერვატორების პარტიული ცრუმორწმუნეობითაა გამოწვეული“.

კუკმა განაცხადა: „მუშათა კლასი არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს ამ განხეთქილებაში. ჩვენ ვხედავთ, რომ მუშათა კლასი ეხლა უფრო აძლიერებს მეგობრულ დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირთან, ვიდრე ოდესმე“.

ფეიქართა ბელადმა ბენ-ტერნერმა ხაზი გაუსვა სამხედრო კონფლიქტის შესაძლებლობას საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის და გამოსთქვა რწმენა, რომ თუ ინგლისის მხრივ ადგილი ექნა რაიმე ცდას პოლონეთისათვის სამხედრო მასალების, ან ფულით დახმარების გაწევისას, ინგლისის პროფესიონალური მოძრაობა მიიღებს გადამჭრელ ზომებს, რომ თავიდან იქნეს აცილებული ეს ბოროტმოქმედება“.

როდის გამოგზავნიან ნოტას

ლონდონი, 25 მაისი. რეიტერის სააგენტო იტყობინება: საერთო აზრი ისეთია, რომ მის შემდეგ, რაც მიღებულ იქნება დეპუტატთა პალატის დასტური—გაეგზავნება ნოტა საბჭოთა მთავრობას.

შესაძლებელია ნოტა გაგზავნოს ხვალ საღამოს ან პარასკევს დილით (ადს).

ვინ დაარღვია ხელშეკრულება

ლონდონი, 25 მაისი. „დეილი ჰერალდი“ სწერს: „ინგლისის მთავრობის მიერ ხელშეკრულების დარღვევის ფაქტი უდავოა. იგი თითონ დადგა სასამართლოდაც და გამომძიებლადაც; მან თითონვე გამოიტანა და გამოაცხადა განაჩენი, ისე რომ ერთხელაც არ შეეკითხებია ბრალდებულს, ერთხელაც არ მისცა მას საშუალება ეთქვა სიტყვა თავის გასამართლებლად“ (ადს).

მუშათა პარტიის ფრაქცია ემზადება

ლონდონი, 25 მაისი. მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის აღმასკომმა იქონია მსჯელობა ბოლდუინთან განცხადებაზე საბჭოთა კავშირთან განხეთქილების გამოწვევის შესახებ და დაადგინა,—შეიტანოს რამოდენიმე წინადადება ფრაქციის პლენუმზე, რომელიც შეიკრიბება დღეს დილით, დეპუტატთა პალატაში.

პლენუმზე გაირჩევა ფრაქციის პოზიცია მომავალ დებატებზე. (ადს).

საფრანგეთის პრესის გამოძახილი

პარიზი, 25 მაისი. „ლიუმანიტე“ სწერს: „ახალი პროვოკაციის და ომიანობის ახალი საფრთხის წინაშე, საბჭოთა მთავრობა კვლავ გამოიჩენს ჩვეულებრივ სიდინჯეს და თავდაჭერილობას. იგი მშვიდობიანობის ინტერესებს უფრო მაღლა დააყენებს, ვიდრე იმპერიალისტურ პროვოკაციას (ადს).

„გაფრთხილება“

პარიზი, 25 მაისი. ყველა გაზეთები და მათ შორის მემარჯვენე გაზეთების უმრავლესობაც აღიარებენ, რომ საფრანგეთი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში უნდა დაადგეს დამოუკიდებელ პოლიტიკას (ადს).

მუშები წინააღმდეგი არიან

ლონდონი, 25 მაისი. სამანქანო მშენებლობის მუშათა გაერთიანებული კომიტეტის კონფერენციამ, ბლეკპულში მიიღო რეზოლიუცია რომელშიაც მოითხოვენ საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობის დაცვას (ადს).

საბჭოთა დაკვეთა გერმანიაში

ხარკოვი, 25 მაისი. უკრაინის სილიკატურმა ტრესტმა დაუკვეთა გერმანიას ერთნახევარი მილიონი მანეთის მოწყობილობა დონბასის ქარხნისთვის, რომელმაც წელიწადში უნდა დაამზადოს ხუთი მილიონი ფუთი ცეცხლგამძლე აგური. დაკვეთა წარმოადგენს პირველ მსხვილ გარიგებას, დადებულს საბჭოთა კავშირის მიერ გერმანიის საგარანტიო სესხის რეალიზაციის შემდეგ (ადს).

დოსტაქართა ყრილობა

ლენინგრადი, 25 მაისი. გაიხსნა დოსტაქართა ყრილობა. ყრილობას ესწრება 1000 მეტი ექიმი. ყრილობის თავმჯდომარედ არჩეულია სარატოვის უნივერსიტეტის პროფესორი ნაპალკოვი (ადს).

ჟენევის კონფერენციის დახურვა

რეზოლიუციის მიღება

ჟენევა, 24 მაისი. საერთაშორისო ეკონომიურმა კონფერენციამ უარჰყო წინადადება მუდმივი საერთაშორისო ეკონომიური ბიუროს შექმნის შესახებ. ამგვარად, უარყოფილ იქნა ლუშერისა და ჟუოს უკანასკნელი წინადადება.

შემდეგ კონფერენციამ მიიღო კასელის რეზოლიუცია, რომელიც ეხება ეკონომიური პრობლემების ინფორმაციისათვის ხელის შეწყობას პრესის საშუალებით და სხვა და სხვა ქვეყნების ეკონომიურ დარგში მომუშავე მეცნიერულ დაწესებულებათა თანამშრომლობას.

საბჭოთა დელეგაციამ მხარი დაუჭირა პიუს წინადადებას, რომლის მიხედვითაც კონფერენციაზე წარმოდგენილ სახელმწიფოთა მთავრობებს უნდა მიმართონ მოწოდებით, რომ დიდი ყურადღება მიაქციონ ცალკე ქვეყნებს შორის ეკონომიური ურთიერთობის შესწავლას. საბჭოთა დელეგაციამ პიუს წინადადებისათვის ხმის მიცემის დასაბუთების დროს ხაზი გაუსვა, რომ პიუს მიერ წარმოდგენილ ფორმულის მიღებას შედეგათ უნდა მოჰყვეს საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნებს შორის ეკონომიური ურთიერთობის ყურადღებით შესწავლა.

ერნემ შეიტანა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს ზომების მიღებას შეიარაღებათა შესამცირებლად. **საბჭოთა დელეგაციამ მხარი დაუჭირა ერნეს რეზოლიუციას** და ამასთანავე აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაცია თუმცა ეჭვობს, რომ ამ რეზოლიუციას მოჰყვება პრაქტიკული შედეგები, მაგრამ ხმას აძლევს ამ წინადადებას იმიტომ, რომ აუცილებლად სცნობს მხარი დაუჭიროს ყოველგვარ ღონისძიებებს ამ მიმართულებით.

ამხ. ოსინსკი კონფერენციის შედეგების შესახებ

კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა **ოსინსკიმ,** რომელმაც ჯამი გაუკეთა კონფერენციის შედეგებს და აღნიშნა, რომ **კონფერენცია უფრო მნიშვნელოვან რეალურ შედეგებს მიაღწევდა, რომ მის მიერ მიღებულ პრაქტიკულ ზომებს შეეძლოთ მსოფლიო ეკონომიკის თუნდაც ზოგიერთ წინააღმდეგობათა გადაწყვეტა მუშათა კლასის ინტერესების სასარგებლოდ და მსოფლიო მეურნეობის ახალ ეპოქაში გადასვლის შემსუბუქება.**

„„ამ მიზნების მისაღწევად, სთქვა ოსინსკიმ, აუცილებელია საბჭოთა დელეგაციის წინადადებების მიღება. ამ წინადადებებში აღნიშნული საკითხების უმრავლესობა არ იქნა მიღებული და არც კი განხილულა“.

შემდეგ ოსინსკიმ განაცხადა, რომ **საერთო რეზოლიუციაში მოცემულია სწორი გადაწყვეტა კონკრეტიული საკითხებისა, განსაკუთრებით ფორმულა ყველა ქვეყნების მშვიდობიანი არსებობის შესახებ, მიუხედავად მათი ეკონომიური სისტემისა, მაგრამ არის აგრეთვე დებულებებიც, რომელნიც მიუღებელია საბჭოთა დელეგაციისათვის.** ამიტომ საბჭოთა დელეგაცია თავს იკავებს ხმის მიცემისაგან, რომ ამით არ შექმნას არავითარი ფორმალური დაბრკოლება საბჭოთა კავშირისათვის მისაღებ დადგენილებათა განხორციელებისათვის.

„ჩვენ არც ერთხელ არ გვიცვნია შესაძლებლად, სთქვა ამხ. ოსინსკიმ, მხარი დაგვეჭირა ისეთი წინადადებისათვის, რომელიც ერთა ლიგის ორგანოებს აძლევს რაიმე დავალებებს. **ერთა ლიგაში ჩვენ არ შევდივართ და არც გვაქვს განზრახვა შევიდეთ. ერთა ლიგა მისი ეხლანდელი სახით არის არა მშვიდობიანობის იარაღი, არამედ მსოფლიოს მბრძანებელი იმპერიების ინტერესთა განხორციელების იარაღი, იგი არის შირმა, რომელიც ფარავს ძალადობას სუსტი ერების მიმართ. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას ვეძიოთ სხვა გზები სხვა სახელმწიფოებთან ჩვენ მოქმედებათა შეთანხმებისათვის და ჩვენთვის მისაღებ რეზოლიუციების განსახორციელებლად“.**

კონფერენციის დახურვა

ტენისის სიტყვის შემდეგ, რომელმაც კონფერენციის მუშაობას გაუკეთა საერთო მიმოხილვა, კონფერენცია დახურულად იქნა გამოცხადებული.

პერტინაკსის წერილი

პარიზი, 24 მაისი. გაზეთ „ეკო დე პარი“-ში პერტინაკსი აცხადებს, რომ მის განკარგულებაში არსებულ სარწმუნო ცნობების მიხედვით, **შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა ჟენევაში განაცხადეს თანხმობა საკრედიტო ოპერაციების დაწყებაზე საბჭოთა კავშირთან.**

„ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის ჩაშლა,—სწერს პერტინაკსი,—როდი ნიშნავს, რომ მთელი ქვეყნიერება გასწყვეტს ურთიერთობას საბჭ. კავშირთან. მოსკოვს მოელის კეთილგანწყობილება ბრიანის მხრივ, რომელიც მემარცხენე ბლოკის ზეგავლენას განიცდის“.

მუკდენის ჯარების დამარცხება

უხანის ჯარების გამარჯვება.

შანხაი, 24 მაისი. უხანის ჯარების მნიშვნელოვან გამარჯვებათა შესახებ იუწყებიან ყველა დეპეშათა სააგენტოები. მტკიცდება რეიტერის სააგენტოს ცნობა ფინ-იუი-სიანის მიერ ჩენ-ჩჟოუს აღების შესახებ. ტან-შენ-ჩის ჯარები წარმატებით მიიწევენ წინ.

იაპონიის სააგენტო ტოხო პეკინიდან იუწყება: ტან-შენ-ჩის ჯარების ენერგიულ შეტევის შედეგათ ჩრდილოეთის არმიებმა დაიხიეს ჩოუ-ძიან-გოუ-იან ჩენის ხაზით, რის შემდეგ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს ტან-შენ-ჩის ჯარებს. მიუხედავად ამისა, უკანასკნელებმა გასტეხეს მათი წინააღმდეგობა და გააფთრებული ბრძოლის შემდეგ დაიკავეს იენ-ჩჟოუ“ (ადს).

ფინ-იუი-სიანის არმია წინ მიიწევს

ხანკოუ, 24 მაისი. სახალხო-რევოლიუციონური არმიის ნაწილები შეუსვენებლივ სდევნიან მტერს და უკვე მიაღწიეს მდ. ლიუხეს ხენანის პროვინციის დასავლეთის მხრივ. მოწინააღმდეგის მთავარი ძალები, როგორც სჩანს, აპირობენ თავის მოყრას კაიფინ-ჩენ-ჩჟოუს რკინისგზის მიმართულებით.

ფინ-იუი-სიანის არმიის ერთი ნაწილი ილაშქრებს ლუ-ჩჟუან-ხუას (უ-პეი-ფუს მომხრეა) სამხედრო ნაწილების წინააღმდეგ, რომლებიც გამაგრებული არიან ლოიანში. მეორე ნაწილი უტევს ჩუნ-სიანს და ჩენ-ჩჟოუს. ფინ-იუი-სიანის არმიის სამხრეთის ჯგუფი, სუნ-ლიან ჩჟუნის სარდლობით, უახლოვდება ნან-იანს (ადს).

ჩან-კაი-შის ოპერაციები.

შანხაი. 24 მაისი. ნანკინიდან ოფიციალურად იუწყებიან ჩან-კაი-შის ჯარების მიერ იან-ჩჟოუს აღების შესახებ.

შანხაი, 24 მაისი. იუწყებიან, **რომ ჩან-კაი-შის ჯარებმა ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ აიღეს პენ-პუ, სადაც თავმოყრილი იყო ჩრდილოეთლების მთავარი ძალები. ნანკინის ჯარებმა ხელში ჩაიგდეს აუარებელი ამუნიცია, 5 ლოკომოტივი, 200 ვაგონი და მრავალი ტყვეები. ჩან-ძუნ-ჩანმა დაიხია სუჩოუ-ფუს მიმართულებით, სადაც ფიქრობს „გადამწყვეტი ბრძოლის გამართვას** (ადს).

დაპატიმრებულთა ბედი.

პეკინი, 24 მაისი. იაპონიის საელჩოს ორგანო პეკინში „ნორდ ჩაინა სტანდარტ“-ი სწერს:

„ჯერ-ჯერობით არ არის სავსებით გამორკვეული ის ბრალდებები, რომლებიც წარედგინება ბოროდინის მეუღლეს და სხვა რუს პატიმრებს. მათ ბრალს დასდებენ ჯაშუშობაში, პროპაგანდაში და შეთქმულებაში საზოგადოებრივ უშიშროების წინააღმდეგ. ჩინეთის კანონების მიხედვით, ასეთ ბოროტმოქმედებათათვის მაქსიმალური სასჯელია—სიკვდილი (ადს).

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სრულიად საქართველოს პროფკავშირების მეექვსე ყრილობა

მეოთხე სხდომა

თავმჯდომარეობს ამხ. ბ. მაჩაიძე.

გრძელდება კამათი ამხ. გ. ყურულაშვილის მოხსენების გარშემო.

ამხ. ტოროსოვი
(სამხრეთ-ოსეთი)

აღნიშნავს, რომ ცენტრი ნაკლებ ყურადღებას აქცევს ადგილებს, კავშირი სუსტია. ამას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება. სამხრეთ-ოსეთი ღარიბი მხარეა, მენშევიკური დარბევის შემდეგ ის განსაკუთრებით ჩამორჩენილია ეკონომიური და კულტურული მხრივ. ამიტომ საჭირო არის საკავშირო მუშაობის გაძლიერება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დაზღვევის საქმეს, რომელიც სამხრეთ-ოსეთში ვერ არის სათანადოდ დაყენებული.

ამხ. ბოჭორიშვილი
(ფოთი)

კლუბები არ არის განთავისუფლებული სხვადასხვა ხარჯებისაგან. საჭიროა ლიტერატურა და სხვა მასალები ადგილობრივ ენებზე. საზღვარ-გარეთიდან ჩამოსული მეზღვაურები დაინტერესებულნი არიან ჩვენი მუშაობის გაცნობით. საჭიროა მათ გავაცნოთ ჩვენი წარმოებების მდგომარეობა და მუშაობა. ამისათვის კი საჭიროა სათანადო თანხების გადადება. ხელფასის გადიდებაზე მაინცა და მაინც დიდი პრეტენზიების წამოყენება არ შეიძლება, რადგან ფასები ბაზარზე კლებულობს, მაგრამ სპეცების ხელფასის სისტემატიურად ზრდა უკმაყოფილებას იწვევს მუშებში.

ამხ. ოჩიგავა
(ქუთაისი)

ურთიერთ დამხმარე სალაროებში ჩამოყალიბებული უნდა იქნეს მუშაობა. სალაროებს ხელმძღვანელობენ ისეთი მუშები, რომლებიც ვერ ერკვევიან საქმეში მუშაობის სისტემის სირთულის გამო. ამიტომ საჭიროა ამ სისტემის გამარტივება.

ამასთანავე უნდა მოისპოს მუშა-მოსამსახურეთა თავისუფლად ამორჩევა შრომის ბირჟაზე, რადგან ზოგიერთი დაწესებულებების ხელმძღვანელები თავიანთ მახლობლებს ურჩევენ ჩაწერონ ბირჟაში და შემდეგ მათ იღებენ სამსახურში.

ამხ. ნასარიძე
(შინა-მრეწველ ხელოსანთა კავშირი)

ეხება შინა-მრეწველ ხელოსანთა კავშირის მნიშვნელობას და ამბობს, რომ უნდა მოისპოს ის უარყოფითი შეხედულება ამ კავშირზე, რომელიც ამჟამად არსებობს.

ამხ. თალაკვაძე
(მასწავლებელი)

აღნიშნავს, რომ მაზრებში მომუშავე მასწავლებლები ცუდ მდგომარეობაში არიან. ისინი ბევრს მუშაობენ, ხელფასი კი მცირეა. ამიტომ კვალიფიციური მასწავლებლები არ მიდიან სოფლებში სამუშაოდ. აუცილებელია სკოლების მდგომარეობის გაუმჯობესება, თუ ჩვენ გვინდა, რომ კულტურულმა მუშაობამ ნაყოფი გამოიღოს.

ამხ. შარია
(აფხაზეთი)

აღნიშნავს, რომ საჭიროა კონტროლი გაეწიოს იმას, თუ როგორ ხელმძღვანელობას უწევენ ადგილებს რწმუნებულები. კულტურული მუშაობა პროფკავშირთა წევრებს შორის გაძლიერდა, მაგრამ ძალზე მოიკოჭლებს შრომის დაცვა.

ამხ. მიხაილოვი
(ლითონ-ტრასტი)

ლითონ-ტრესტის მუშებს შორის კულტურული მუშაობა კარგად არის დაყენებული, მაგრამ ადგილებზე ვერ არის სათანადოდ მოგვარებული ხელფასის საკითხი. აღსანიშნავია ის, რომ სამეურნეო ორგანოები არ ასრულებენ საწარმოო თათბირების წინადადებებს.

ამხ. წერეთელი

ეხება ახალგაზრდობის შორის მუშაობას და აღნიშნავს, რომ საჭიროა მისი გაძლიერება, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე. საჭიროა აგრეთვე პროფაქტივის კვალიფიკაციის ამაღლება.

ამხ. ფირალოვი
(მიწა-ტყის მუშ. კავშირი)

ეკამათება ამხ. პანიციდის და ამბობს, რომ არ შეიძლება ყველა სასოფლო-სამეურნეო მუშების მიღება კავშირში, რადგან მათ შორის არიან კულაკები და საშუალო გლეხები. წევრების მიღების დროს საჭიროა დაცული იქნეს კავშირის წესდება და ცენტრალური კომიტეტის დირექტივები ამ საკითხზე.

ამხ. ნესტოროვი
(ა. ლ. პ. კ. ცეკა)

ეხება საწარმოო თათბირების მუშაობას და აღნიშნავს, რომ მათ აქვთ დიდი მიღწევები, მაგრამ საჭიროა მათი მუშაობა კიდევ უფრო გაფართოვებულ იქნეს. საწარმოო თათბირების სხდომები იშვიათათ იმართება. ამას გარდა, ჩვენი სამეურნეო მუშაკები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ საწარმოო თათბირების წინადადებებს. ამას ყურადღება უნდა მიაქციოს ახალმა პროფსაბჭომ. საჭიროა მუშების მეტი ფენები იქნენ ჩაბმული საწარმოო თათბირების მუშაობაში.

დასასრულ, ორატორი აღნიშნავს, რომ პროფსაბჭომ ყურადღება უნდა მიაქციოს მუშების მიერ მუშაობის გაცდენას და სამუშაოზე დაგვიანებას.

ამხ. გ. ყურულაშვილის საბოლოო სიტყვა

კამათის დასრულების შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა მომხსენებელი ამხ. გ. ყურულაშვილი.

ამხანაგებო, აქ მრავალი ორატორი ეხებოდა მტვირთველ მუშების მდგომარეობას. ისინი აყენებდენ ისეთ საკითხს, რომელიც თვითონვე გადასწყვიტეს თავის ყრილობაზე. იქ მათ დაადგინეს, რომ „ზაკპოგრუზი" საჭირო დაწესებულებაა, ეხლა კი, ერთი თვის შემდეგ, აყენებენ საკითხს მისი ლიკვიდაციის შესახებ. ეს დაუშვებელია. „ზაკპოგრუზი" უნდა დარჩეს, რაც შეეხება მისი მუშაობის დეფექტებს, ჩვენ ამას მივაქცევთ სათანადო ყურადღებას.

აქ გამოსული ორატორები ეხებოდენ აგრეთვე შრომის ინსპექციის მუშაობას და მოითხოვდენ ინსპექტორების რიცხვის გადიდებას. ეს, ამხანაგებო, ბიუჯეტზეა დამოკიდებული. არსებობს ნორმა, რომლის მიხედვითაც 8.000 მუშაზე უნდა ინიშნებოდეს ერთი შრომის ინსპექტორი. თბილისში, მაგალითად, ამ ნორმის მიხედვით უნდა იყოს ექვსი ინსპექტორი, მაგრამ არის მხოლოდ სამი. თბილისის ხარჯზე გადიდებულია ინსპექტორების რიცხვი მაზრებში. მეტის გაკეთება ამჟამად შეუძლებელია.

შემდეგ, მე მინდა შევეხო ამხ. ჯიჯაძის გამოსვლას. მთავარი საკითხია აქ ფარმაცევტების სექცია. რას აკეთებდა აქამდე ეს სექცია? ის ცეხური ორგანიზაციაა. სექციაში გაერთიანებული ფარმაცევტები არ უშვებდენ აფთიაქებში სამუშაოდ ახალგაზრდა მუშაკებს, თვითონ კი ერთ და იმავე დროს რამოდენიმე აფთიაქში მუშაობდენ. ეს დაუშვებელია. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ასეთ ცეხურ გადახრას. ჩვენ უნდა გავატაროთ მოწაფეობა აფთიაქებში, განსაკუთრებით ეხლა, როდესაც გაიზარდა უმუშევართა რიცხვი.

შემდეგ, ამხ. ჯიჯაძე შეეხო ექიმების საკითხს. მედსანშრომის კავშირმა დაადგინა, რომ ექიმებს არ შეუძლიათ სანიტარებად და ფერშლებად მუშაობა. ჩვენ ეს დადგენილება დავარღვიეთ, რადგან თუ კვალიფიკაციურ ზეინკალს შეუძლია შავი მუშათ მუშაობა, რატომ არ შეუძლია ექიმს სანიტარად და ფერშლად მუშაობა. მით უმეტეს ეხლა, როდესაც მრავალია უმუშევარი ექიმი.

მე უნდა აღვნიშნო, რომ ახალგაზრდების გამოსვლა ჩვენს დღევანდელ ყრილობაზე დიდი ნაბიჯია წინ წარსულ ყრილობებთან შედარებით. მათ გამოსვლას ეხლა საქმიანი ხასიათი ჰქონდა. ისინი აღნიშნავდენ, რომ ზოგიერთი კავშირები მეტად დიდ მოთხოვნილებებს უყენებენ შინა-მრეწველებს. ეს არ ვარგა. საჭიროა შინა-მრეწველების მდგომარეობის შემსუბუქება, რომ მათ შესძლონ მოწაფეების მიღება. უმუშევარ ახალგაზრდებისაგან.

აქ აღნიშნული იყო, რომ პროფსაბჭო ნაკლებ ყურადღებას აქცევდა საზოგადო სამუშაოების მოწყობას მაზრებში. არ შეიძლება ამხანაგებო, ჩვენ ამ საკითხს ერთნაირად მივუდგეთ თბილისში და პროვინციაში. თბილისში მრავალი უმუშევარია, ჭიათურაში კი, მაგალითად, უმუშევრობას არ აქვს ისეთი მწვავე ხასიათი, როგორც აქ. რადგან იქ უმუშევრები შესდგებიან გლეხებისაგან, რომლებიც ზაფხულობით მიდიან სოფლებში საველე სამუშაოებზე და ჭიათურაში ჩამოდიან სამუშაოს საძებრად შემოდგომაზე. ასეთ პირობებში არ შეიძლება იქ მუდმივი საზოგადო სამუშაოების მოწყობა.

შემდეგი საკითხია—ცირკულიარები. აქ აღნიშნული იყო, რომ ჩვენ აუარებელ ცირკულიარებს უგზავნით ადგილებს და სამაზრო მუშაკებს საშუალება არა აქვთ გაერკვიონ მათში. ეს არ არის მართალი, რადგან ჩვენ არ ვგზავნით ბევრ ცირკულიარებს და რასაც ვგზავნით, ის სავსებით გასაგებია ადგილობრივ მუშაკებისათვის.

ამხ. ბელენკიმ აქ აღნიშნა, რომ ჩვენი ცნობები საწარმოო თათბირების წინადადებების განხორციელების შესახებ არ არის სწორი და ასეთი ცნობების გამოქვეყნება საზიანოაო. მე უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი საწარმოო თათბირების მუშაობა საგრძნობლად გამოცოცხლდა და გაიზარდა მათი წინადადებების განხორციელების პროცენტიც; არ ხორციელდება მხოლოდ ისეთი წინადადებები, რომლებიც დიდ თანხებს მოითხოვენ.

ამხ. ხაჩიძემ აქ აღნიშნა, რომ ბორჯომის საკასრე ქარხანაში მუშების ხელფასი მცირეაო. ეს, ამხანაგებო, მართალია, მაგრამ ასეთი მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ ქარხანა ახალი გახსნილია და ჯერ-ჯერობით ძნელია მის მუშების კვალიფიკაციის გამორკვევა. ისინი ჯერ უნდა შეეჩვიონ მუშაობას. საჭიროა მათი აღზრდა, კვალიფიკაციის ამაღლება და მხოლოდ მის შემდეგ შეიძლება სწორი ტარიფიკაციის გატარება. (ტაში).

რეზოლუცია

ამხ. გ. ყურულაშვილის საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„მოისმინა რა ამხ. გ. ყურულაშვილის მოხსენება საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მუშაობის შესახებ, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა მეექვსე ყრილობა პროფსაბჭოს მოქმედების გეზს სთვლის სწორად და მის მუშაობას იწონებს, სარევიზიო კომისიის მოხსენებას კი ამტკიცებს".

კომისიის არჩევა

მოხსენების გამო კონკრეტიულ ღონისძიებათა გამოსამუშავებლად ყრილობამ აირჩია კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. სუკოიანი, ხარაბაძე, კაკაბაძე, ცირეკიძე, კოკოსაძე, მაჩაიძე, მიქაძე, ავეტისოვი, სულავა, ფირალოვი, ლვედელიძე, მიხაილოვი და ფანცხავა.

საქართველოს სახ. მეურნეობის მდგომარეობა და პერსპექტივები

ინჟ. ბ. ჭიჭინაძის მოხსენება

ბაზა მრეწველობის განვითარებისათვის

ამხ. ჭიჭინაძის გამოსვლას ტრიბუნაზე ყრილობა ტაშით ხვდება.

ამხანაგებო, ჩემს მოხსენებას მე ვყოფ სამ ნაწილად. ჯერ აღვნიშნავ იმ სიმდიდრეებს, რომელიც აქვს საქართველოს რესპუბლიკას, შემდეგ დავახასიათებ იმ წარმოებებს, რომლებსაც კავშირი აქვს მრეწველობასთან, და ბოლოს გადავალ თვითონ მრეწველობის მდგომარეობაზე და ელექტროფიკაციის საქმის დახასიათებაზე.

საქართველო ჯერ-ჯერობით ისევ სოფლის მეურნეობის ქვეყანად რჩება. ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის 78 პროც. სოფლის მოსახლეობაა და ჩაბმულია სასოფლო-მეურნეობაში. ჩვენი რესპუბლიკის საერთო მოსავლიანობაში სოფლის მეურნეობის პროდუქცია 1925-26 წელში უდრიდა 72 პროც.

1913 წელში საქართველოს ტერიტორიაზე დამუშავებულ სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულება უდრიდა 108 მილიონ მანეთს, ომისა და რევოლუციის განმავლობაში პროდუქციის ღირებულება შემცირდა და 1923 წელში შეადგენდა მხოლოდ 86 მილიონ მანეთს მაგრამ ამავე დროიდან იწყება სოფლის მეურნეობის აღდგენა და დამზადებული პროდუქციის ღირებულების ზრდა. 1924 წელში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულება უდრიდა უკვე 97 მილიონ მან. 1925 წელში —103 მილიონს, 26 წელში კი 109 მილიონს.

სოფლის მეურნეობაში მთავარი ადგილი უჭირავს ხორბლეულობის მოყვანას, მაგრამ ამ დარგს არა. აქვს უშუალო კავშირი მრეწველობასთან. ამიტომ მე მასზე არ შევჩერდები. შევეხები მხოლოდ ტეხნიკურ კულტურებს, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ მრეწველობის განვითარებისათვის.

1913 წელში საქართველოში დათესილი იყო თამბაქო 9.000 დესეტინა. მთელი მოსავლიანობა კი უდრიდა 560.000 ფუთს. ომისა და რევოლუციის განმავლობაში თამბაქოს ნათესების სივრცე შემცირდა. 1920 წელში დათესილი იყო 2300 დესეტინა ; 132.000 ფუთის მოსავლიანობით. 1925— 26 წელში დათესილი იყო 9.000 დესეტინა. საერთო მოსავლიანობა კი უდრიდა 680.000 ფუთს. მიმდინარე წელს კი განზრახულია დათესილი იქნეს 11 ათასი დესეტინა.

თამბაქოსთან ერთად მრეწველობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბამბის კულტურას. 1914 წ. საქართველოში დათესილი იყო 12.000 დეს. მოსავლიანობა უდრიდა 150.000 ფუთს. ომის შემდეგ ნათესების სივრცე შემცირდა, 1917 წელში დათესილი იყო მხოლოდ 1.200 დეს. ბამბის ნათესების სივრცე ისევე, როგორც თამბაქოს, უკანასკნელი წლების განმავლობაში გადიდდა, და შარშან ჩვენ უკვე მოვიღეთ 200.000-მდე ფუთი ნედლი ბამბა.

ტეხნიკური კულტურებიდან მრეწველობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ჩაის მოყვანას.

1913 წელში ჩაი მოყვანილი იქნა 690 დესეტინაზე. საერთო მოსავალი უდრიდა 1 მილიონ გირვანქას. 1925 წელში ჩაი მოყვანილი იქნა 900 დესეტინაზე. მოსავალი უდრიდა 2 მილიონ 800 ათას გირვანქას. 1926 წელში კი ჩაი მოშენებულ იქნა 1000 დესეტინაზე.

ჩაის მრეწველობის განვითარებას ჩვენში განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭომ, რომელმაც წელს ახალი საალმშენებლო მუშაობის საწარმოებლად გადასდო 500.000 მან. ამას გარდა, აგრონომიული მუშაობისათვის გადადებულია 300.000 მან.

შემდეგ, აღსანიშნავია მევენახეობა - მეღვინეობა. ვენახების სივრცე საქართველოში 1890 წელთან შედარებით, როდესაც იყო 62.000 დესეტინა, შემცირდა, მაგრამ 1924—25 წლიდან იწყება მევენახეობის აღდგენა და მისი პროდუქციის ზრდა. 1924—25 წელში საერთო მოსავალი უდრიდა 6.100.000 ფუთს, გასულ წელში კი 6.500.000-ს.

ჩვენი მრეწველობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეაბრეშუმეობას. წინეთ, მეაბრეშუმეობა გავრცელებული იყო მხოლოდ დასავლეთ საქართველოში, ეხლა კი გადმოვიდა აღმოსავლეთ საქართველოშიც. იზრდება როგორც აბრეშუმის მოყვანა, ისე თესლის დამზადება ადგილობრივ. მაგალითად, 1923 წელში ჩვენ მივიღეთ 95.000 ფუთი ნედლი პარკი. 1926 წელში— 160.000 ფუთი და მიმდინარე წელში განზრახულია 170.000 ფუთის შეგროვება. ფართოთ განვითარდა აბრეშუმის თესლის დამზადება ადგილობრივ. მაგალითად, წელს დრიგებული იყო 80.000 კოლოფი ადგილობრივი თესლი, საზღვარგარეთიდან კი შემოტანილი იქნა მხოლოდ 6.000 კოლოფი. უცხოეთიდან თესლი შემოგვაქვს იმ მიზნით, რომ ადგილობრივ თესლთან შერევით გავაუმჯობესოთ მისი ღირსება.

ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ აგრეთვე ჩვენი ცხვარის ჯიშის გაუმჯობესებას, რადგან ამას უშუალო კავშირი აქვს იმ მრეწველობასთან, რომლის საძირკველი უკვე ჩაყრილია თბილისში დიდი მაუდის ფაბრიკის სახით. მეცხვარეობის გაუმჯობესება საჭიროა იმისათვის, რომ დამზადებულ იქნეს კარგი ღირსების ქსოვილები.

ჩვენ განზრახული გვქონდა მოგვეწყო საქართველოში დიდი ბეკონის ქარხანა, მაგრამ ამას ხელი შეუშალა იმ გარემოებამ, რომ ჯერ საჭიროა ჩვენი ღორის ჯიშის გაუმჯობესება.

იმ წარმოებებიდან, რომლებსაც ახლო კავშირი აქვთ მრეწველობასთან, აღსანიშნავია ჩვენი სატყეო მეურნეობა.

საქართველოს ტერიტორიის 35 პროცენტს შეადგენს ტყეები. აქედან 2 პროც. ძვირფასი მასალაა,— წაბლი, კაკალი და სხვა. ჩვენ გვაქვს უდიდესი დარგი, რომელიც შეიძლება გახდეს სატყეო მრეწველობის საფუძვლად.

1922—23 წელში ხაზინამ ტყეებისაგან მიიღო 360.000 მან. 23—24 წელში—426.000 მან. 24—25 წელში 713.000 მან. და 25—26 წელში—981.000 მან.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მორწყვის საქმის—ირიგაციის განვითარებას. 1923—24 წელში ირიგაციაზე გადადებული იყო 392.000 მან. 24—25 წელში—875.000 მან., 25—26 წელში—2.074.000 და 26—27 წელში გადადებულია— 2.500.000.

მრეწველობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საგზაო მშენებლობას. მე გულახდილად უნდა აღვნიშნო, რომ ამ დარგში ჩვენ ჩამორჩენილი ვართ. ომის წინა ხანებთან შედარებით, ჩვენი გზების მდგომარეობაში არსებითი ცვლილება არ მომხდარა. რკინის გზის ხაზს მოემატა მხოლო ნატანებ- ოზურგეთის შტო და შავი ზღვის რკინისგზის ნაწილი.

ძველი მთავრობა გზატკეცილებს მხოლოდ სტრატეგიულ მნიშვნელობას აძლევდა, ამიტომ მას არ გაყავდა ისეთი გზები, რომლებსაც სამეურნეო მნიშვნელობა ექნებოდა. ბუნებრივი პირობების გამო (მთები), ჩვენ საგზაო საქმეში ჩამორჩენილნი ვართ საბჭოთა კავშირის და ამ.-კავკასიის სხვა რესპუბლიკებთან შედარებით. სანამ ეს არ იქნება მოწესრიგებული, ძნელია ყველა იმ სიმდიდრის გამოყენება, რომელიც ჩვენ გვაქვს. რკინისგზა საქართველოში უდრის მხოლოდ 875 ვერსს. ეს, რასაკვირველია, ძალიან მცირეა. წელს გადაწყვეტილია შავი ზღვის რკინის მიყვანა მდ. ინგურამდე. ეს მუშაობა თითქმის დასრულებულია.

ჩვენი მრეწველობის მდგომარეობა

ეხლა მე გადავდივარ მრეწველობის მდგომარეობის დახასიათებაზე.

მრეწველობის განვითარებას ჩვენში აქვს ისეთივე ხასიათი, როგორც საერთოთ საბჭოთა კავშირში. პირველი ხანებში ხდებოდა გაცვეთილი და შეჩერებული წარმოებების აღდგენა. ეს იყო ჩვენი მრეწველობის აღდგენის პერიოდი. უკანასკნელ ორ წლის განმავლობაში იწყება მრეწველობის ახალი დარგების შექმნა და იზრდება მრეწველობის პროდუქცია. 1924 წლისათვის მრეწველობის მთელი პროდუქციის ღირებულება უდრიდა 36 მილიონ მანეთს. 1926 წელში კი 80.000.000 მანეთს. აქედან მსხვილ მრეწველობაზე მოდის 54 მილიონი მანეთი, წვრილ მრეწველობაზე კი 26 მილიონი.

1924 წელში სახელმწიფო მრეწველობის პროდუქციის ღირებულება გამოიხატებოდა 15.400.000 მანეთში, კოოპერატიულ მრეწველობის 4 მილიონ მან., კერძოს— 16 მილიონ მან., 1925 წელში სახელმწიფო მრეწველობა—29.500 ათას მან., კოოპერატიული მრეწველობა—6 მილიონი და კერძო მრეწველობა —21 მილიონი. 1926 წელში—სახელმწიფო მრეწველობა—43 მილიონი მან., კოოპერატიული—8.800.000 მ., და კერძო — 28.600.000 მან., როგორც ამ ციფრებიდან ჩანს, სახელმწიფო მრეწველობის მონაწილეობა პროდუქციის საერთო ღირებულებაში იზრდება. კერძო მრეწველობა თუმცა იზრდება მაგრამ სახელმწიფო მრეწველობასთან შედარებით, მისი ზრდა მცირეა.

ყრილობისათვის საინტერესო იქნება მოვიყვანოთ აქ ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი მუშა-ხელია ჩაბმული ჩვენს მრეწველობაში. 1925 წელში ჩვენ გვქონდა 136 ფაბრიკა-ქარხანა, რომლებშიაც ჩაბმული იყო 11.382 მუშა; 1926 წელში გვაქვს უკვე 230 ქარხანა-ფაბრიკა, რომლებშიაც მუშაობს 13.939 მუშა.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შავიქვის მრეწველობა ჭიათურაში მცირდება, მაგრამ ეს მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდება. ჩვენს წარმოებებში ხელფასის მომატება ზოგიერთი შემთხვევებში წინ უსწრებს პროდუქციის ზრდას. ეს კი იწვევს პროდუქციის თვითღირებულების გადიდებას. იმ ქარხნებში, სადაც ტეხნიკური რაციონალიზაციის წყალობით პროდუქცია გაიზარდა, ხელფასის და პროდუქციის ზრდა თითქმის ერთი და იგივეა.

მრეწველობის ცალკე დარგებიდან აღსანიშნავია ტყიბულის ქვა-ნახშირის მრეწველობა. ტყიბულის ქვა-ნახშირს დიდი მნიშვნელობა აქვს ამიერ-კავკასიის რკინის გზებისათვის, განსაკუთრებით იმ დრომდე, სანამ იგი გადაყვანილი არ იქნება ელექტრონის ენერგიაზე. ამას გარდა, ტყიბულის ქვა-ნახშირს დიდი მნიშვნელობა აქვს ცემენტის, აგურ-კრამიტის და კირის მრეწველობის განვითარებისათვის. წელს ტყიბულში ამოღებული იქნება 7 მილიონი ფუთი.

იზრდება აგრეთვე პოლიგრაფტრესტის და ტყავის ტრესტის წარმოება; ამ უკანასკნელმა 1926 წელში ომის წინა ხანებს გაუსწრო 18 პროცენტით ტყავის დამზადებაში და 78 პროცენტით ფეხსაცმელების დამზადებაში.

ასეთივე დიდი ზრდა ეტყობა თამბაქოს მრეწველობას. ომის წინა ხანებთან შედარებით, წლიური პროდუქცია გაიზარდა 26 პროცენტით. იზრდება აგრეთვე სხვა ტრესტებიც.

1924 წელში მრეწველობაში დახარჯული იყო ძირითად შეკეთებაზე და ძირითად თანხების გადიდებაზე 832.000 მანეთი, 1925 წელში 1.300.000 მან., 1926 წ. 4 მილიონი მანეთი, 1926—27 წ. 6.150.000 მან. მთავარი ხარჯები გაწეულია სატყეო ტრესტში, აბრეშუმის ტრესტში და მაუდის ფაბრიკის აგებაზე.

რაც შეეხება ახალ ქარხნებს, წელს გაიხსნა აბრეშუმის ქარხნები ოზურგეთში, ხონში და თელავში. ამ ქარხნების გახსნამ საშუალება მისცა აბრეშუმის ტრესტს ცენტრში დაედო ხელშეკრულება ხუთი მილიონი მანეთის პროდუქციის მიწოდებაზე.

მუშაობა დაიწყო მარელისის გრეხილ-ავეჯეულობის ქარხანა, რომელმაც დღეში უნდა დაამზადოს 30 თერმეტული სელის სკამი. საჭირო ზაზრით ქარხანა სავსებით უზრუნველყოფილია.

გაიხსნა აგრეთვე ბორჯომის საკასრე ქარხანა, რომელიც ამზადებს კასრებს ერთის გასატანად საზღვარგარეთ. წინეთ ასეთი კასრები შემოდიოდა საზღვარგარეთიდან. ქარხანა წლიურად ერთ წყება მუშაობის დროს დაამზადებს 600.000 კომპლექტს. აქ ყრილობაზე ლაპარაკი იყო ამ ქარხნის მუშების ხელფასის მომატებაზე, მაგრამ ხელფასის მომატება ამჟამად შეუძლებელია. ამჟამად არსებულ ხელფასით კასრის თვითღირებულება უდრის 1 მანეთს და 50 კაპეიკს, მაშინ, როდესაც სხვა ქარხნები საბჭოთა კავშირში ასეთივე კასრებს ყიდიან 1 მანეთად და 25 კაპეიკად. ჩვენ უნდა დავუცადოთ ქარხნის პროდუქციის გადიდებას და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დაისვას საკითხი ხელფასის მომატებაზე.

მუშაობა დაიწყო შამგონის ხე-ტყის სახერხმა ქარხანამ და ახლო ხანში ამუშავდება მცხეთის ხე-ტყის სახერხი ქარხანა.

აგების პროცესში არის ამჟამად ხე-ტყის ქარხანა აფხაზეთში, რომლისთვისაც გადადებულია 700 ათასი მანეთი, ბარიტის ქარხანა ქუთაისში— გადადებულია 560000 მანეთი; ამ დღეებში ჩაეყრება საძირკველი ქარხნის მთავარ შენობას. დაიწყო მუშაობა აგრეთვე ცემენტის ქარხნის ასაგებად კასპში. წინასწარი მუშაობისათვის გადადებულია 75.000 მანეთი. წინეთ ამ ქარხნის აგება განზრახული იყო კავთის-ხევში, მაგრამ სპეციალისტთა კომისიამ ქარხნისათვის უფრო შესაფერ ადგილათ მიიჩნია სადგური კასპი. ქარხნის საბოლოო პროექტი მზად იქნება ივლისის შუა რიცხვებში. ქარხანა ყოველ წლიურად დაამზადებს 75.000 ფუთ ცემენტს.

იწყება მუშაობა აგრეთვე დიდი ქაღალდის ქარხნის ასაგებად ჯვარში, მდ. ინგურის ნაპირზე. ქარხანა რკინის გზის შტოთი შეერთებული იქნება შავი ზღვის რკინისგზასთან.

რაც შეეხება თბილისის მაუდის ფაბრიკას, გამოირკვა, რომ ქარხანა პირველ ხანებში გადაამუშავებს 60 პროცენტს ადგილობრივ მატყლს და 40 პროცენტს შემოზიდულ მატყლს. ასეთი შერევით მიღებული იქნება კარგი ღირსების შევიოტი და მაუდი.

ფართო მუშაობა სწარმოებს აგრეთვე ისეთი წარმოებების მოსაწყობად, რომლებსაც ადგილობრივი მნიშვნელობა ექნება. ასეთი ქარხნების აგება დაკისრებული აქვს ს. მ. უ. ს., რომელიც შემდეგ მათ გადააბარებს სამაზრო აღმასკომებს. ასეთი ქარხნებია ყველის დუშეთის და ახალქალაქის მაზრებში, დიდი საკონსერვო ქარხანა გორში; გორშივე აშენდება ხილის სახმობი ქარხანა; სენაკის, შორაპნის და გორის მაზრებში მოწყობილი იქნება აგურ-კრამიტის ქარხნები, ქუთაისის რაიონში კირის ქარხანა, ოზურგეთში და ზუგდიდში თხილის საწმენდი ქარხნები და თბილისში ლუდის დიდი ქარხანა.

ქვეყნის ელექტროფიკაცია

დასასრულ, მე უნდა შევჩერდე ჩვენი მუშაობის ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან დარგზე —ელექტროფიკაციაზე.

თქვენ უკვე მოგეხსენებათ, რომ ზაჰესის აგება უკვე დამთავრდა და სადგური უკვე მუშაობს. შემოდგომის დასაწყისში ამუშავდება აბაშის ჰიდრო-სადგური. 27—28 წელში დამთავრდება აჭარის-წყალის ჰიდრო-ელსადგურის აგება და ამჟამად აგების პროცესშია სოხუმის ჰიდრო-სადგური.

განსაკუთრებით სასიხარულო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის, რომ უმაღლესმა ორგანოებმა დაადგინეს წელსვე იქნეს დაწყებული მუშაობა რიონის ჰიდრო-სადგურის ასაგებად. სადგურის სიმძლავრე იქნება 60.000 ცხენის ძალა. რიონის სადგური უფრო მეტ გავლენას იქონიებს ჩვენი მრეწველობის განვითარებაზე, ვიდრე ზაჰესი, რადგან მისი საშუალებით შესაძლებელი იქნება საძირკველი ჩაეყაროს ჩვენში ლითონის მრეწველობას.

საქართველოში განზრახულია კიდევ უდიდესი ჰიდრო-ელექტრო-სადგურის აგება მდ. თოფარავანზე, ახალქალაქის მაზრაში. სადგურის სიმძლავრე იქნება 100—120 ათასი ცხენის ძალა. ცენტრმა წელს საჭირო წინასწარი მუშაობისათვის გადასდო 30 ათასი მანეთი. მომავალ წელში კი გადადებული იქნება 150.000 მანეთი. ამ სადგურის აგება დაკავშირებულია ტყვარჩელის ქვა-ნახშირის დამუშავებასთან.

ვათავებ რა ჩემს მოხსენებას, მე ხაზი უნდა გავუსვა იმ გარემოებას, რომ ჩვენი მრეწველობის ზრდა სავსებით ეთანხმება საბჭოთა კავშირის მრეწველობის ზრდის ხაზს.

ჩვენი ქვეყანა, რომელსაც ძველი მთავრობა კოლონიად სთვლიდა, ჩქარა გადაიქცევა ინდუსტრიალურ ქვეყნად და საპატიო ადგილს დაიჭერს საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების სოციალისტურ ოჯახში (ტაში).

მეხუთე სხდომა

კამათი ბ. ჭიჭინაძის მოხსენების გარშემო

თავმჯდომარეობს ამხ. სუკოიანი

საღამოს სხდომაზე დაიწყო კამათი ამხ. ბ. ჭიჭინაძის მოხსენების გარშემო.

ამხ. პაატაშვილი
(თელავი)

აღნიშნავს, რომ მოხსენებაში არ ყოფილა ნათქვამი, თუ რის გაკეთებას ფიქრობს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო მრეწველობის განვითარებისათვის კახეთში. ორატორი ამბობს, რომ კახეთი მდიდარია ნავთის წყაროებით, ლითოგრაფიული ქვით, სპილენძის მადნით, გოგირდის მადნით, შაბიამანის მადნით და სხვა. საჭიროა ამ სიმდიდრის გამოყენება და ღონისძიებების მიღება მრეწველობის განსავითარებლად კახეთში.

ამხ. ავეტისოვი
(გემო-კვების კავშირი)

აღნიშნავს, რომ თამბაქოს ტრესტის მუშაობა მოისუსტებს. ტრესტმა დაკარგა ძველი ბაზრები, რომლებიც საქართველოს თამბაქოს დამამზადებელ ორგანიზაციებს და წარმოებებს ჰქონდა მოპოვებული. თამბაქოს ტრესტის მუშაობის გასაუმჯობესებლად საჭიროა ფაბრიკების გაერთიანება. ადგილი აქვს ისეთ კონფლიქტებს, რომლებიც ზარალს აყენებენ მრეწველობას. ეს კონფლიქტები გამოწვეულია ადმინისტრაციის ჯიუტობით. იქმნება ისეთი მდგომარეობა, რომ მუშა რამდენიმე თვის განმავლობაში უსაქმოდ დადის, არავითარ ღირებულებას არ ქმნის და ბოლოს კონფლიქტი მაინც მის სასარგებლოდ წყდება და იღებს ხელფასს.

ამხ. სხირელი
(ქუთაისი)

ეხება საგზაო მშენებლობას და აღნიშნავს, რომ ქუთაისის და რაჭის მაზრები დიდ სივიწროვეს განიცდიან უგზოობის გამო.

ამხ. ელბაქიანი
(პროფსაბჭო)

აღნიშნავს, რომ თამბაქოს ტრესტის ნაწარმოების გასაღების საქმე უსისტემოდ წარმოებს. უკანასკნელ ხანებში ასეთივე მდგომარეობაა ტყავის ტრესტში. არ არის შეთანხმებული მუშაობა მეზობელ რესპუბლიკებთან. ცალკე კავშირები სათანადო მონაწილეობას იღებენ ამ საკითხის მოწესრიგებაში. კავშირებს თუმცა ეგზავნებათ მრეწველობის ცალკე დარგების გეგმები შესათანხმებლად, მაგრამ სათანადოთ არ იხილავენ მათ და არ შეაქვთ მათში საჭირო შესწორებები. საჭიროა მრეწველობის დარაიონება, მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება მრეწველობის გეგმა-შეწონილი განვითარება.

ამხ. ბენია
(აფხაზეთი)

აღნიშნავს რომ მოხსენებაში სათანადოთ არ იყო გაშუქებული, თუ რა გააკეთა საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ აფხაზეთის მრეწველობის აღსადგენად და განსავითარებლად. აფხაზეთის ტერიტორიაზე არც ერთი მსხვილი წარმოება არ არის. აფხაზეთში ბევრია ტყეები. საჭიროა მათი დამუშავება. საჭიროა აგრეთვე ახალი ქარხნების გახსნა.

ამხ. ენუქიძე
(ტყავის ტრესტი)

აღნიშნავს, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ხანდახან გაურბის პროფორგანიზაციებს. ადმინისტრაცია ნიშნავს გამგეებს და კავშირს არაფერს არ ეკითხება. კავშირმა კი უნდა იცოდეს, ვინ ინიშნება გამგედ. გამგე თუ ცუდია, ეს აძნელებს კავშირის მუშაობას. არის შემთხვევები, როდესაც სპეცები საკუთარ ინტერესების სასარგებლოდ იყენებენ თავის თანამდებობას. თუ შეატყვეს, რომ ისინი საჭირო არიან წარმოებისათვის, დიდ ჯამაგირს თხოულობენ.

დასასრულ, ორატორი აღნიშნავს, რომ საჭირო არ არის მუშების გაგზავნა კვალიფიკაციის ასამაღლებლად უცხოეთში. ამისათვის აუცილებელია ისინი გაიგზავნონ ლენინგრადში.

ამხ. ყიფიანი
(მთავარი სახელოსნოები)

აღნიშნავს, რომ დიდი ელექტრო-სადგურების მოწყობა აუცილებლად სასარგებლო იქნება, მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა მოწყობილი იქნეს ისეთი წარმოებები, რომლებიც შემდეგ ენერგიას მიიღებენ ამ ელექტრო-სადგურებიდან.

ამხ. ანტროპოვი
(მელითონე)

ეხება ლითონის ტრესტის მუშაობას და ამბობს, რომ ლითონის ტრესტში მანქანები გაცვეთილია. საჭიროა მანქანების გამოცვლა და ყველა ლითონის ქარხნების ერთ მძლავრ ქარხანაში გაერთიანება. აუცილებელია ტრესტის სათავეში ჩაყენებულ იქნეს ისეთი ამხანაგი, რომელიც ყოველმხრივ გაცნობილი იქნება ლითონის წარმოებასთან, ანდა შემოღებული იქნეს ტრესტის კოლექტიური მმართველობა.

ამხ. ხომასურიძე
(თბილისი)

ეხება კვალიფიციური მუშა ხელის მომზადების საკითხს და ამბობს, რომ ამ საკითხს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სამეურნეო ორგანიზაციები. კვალიფიციური და ნახევრად კვალიფიციური მუშა ხელის მომზადება უნდა ხდებოდეს საზოგადო მოწაფეობის საშუალებით. საჭიროა აგრეთვე ყურადღება მიექცეს ახალგაზრდობის პროფტეხნიკურ განათლების საქმეს, რისთვისაც აუცილებელი არ არის ახალგაზრდა მუშების გაგზავნა მოსკოვში კვალიფიკაციის ასამაღლებლად, არამედ საჭიროა საჭირო დაზგების შეძენა და გადმოტანა სხვა რესპუბლიკებიდან სათანადო წარმოებების მოსაწყობად.

ამხ. კორლანოვი
(ახალციხე)

ეხება ადგილობრივ მრეწველობას და აღნიშნავს, რომ ახალციხის მაზრაში ადგილობრივი მრეწველობის განვითარების მაგივრად სამაზრო აღმასკომს ჩამორთვეს იმფუზორიტის დამუშავების საქმე, რაც ერთ-ერთ ძირითად წარმოებას წარმოადგენდა. ეს არანორმალურია. ტყის დამუშავებას ახალციხის მაზრაში სატყეო მრეწველობის ტრესტი აწარმოებს საშუალო და შეძლებული გლეხების საშუალებით. ამას ყურადღება უნდა მიექცეს. საჭიროა იქ მოეწყოს ღარიბი გლეხების კოლექტივები.

ამხ. ავაქოვი
(ს. მ. უ. ს.)

აღნიშნავს, რომ ჩვენი მრეწველობა სწრაფი ნაბიჯებით მიდის წინ. საჭიროა ამ ზრდის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება. ასეთ პირობებში კი შესაძლებელია, რომ ჩვენ გვქონდეს შეცდომები. ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ სწორად შევაფასოთ მდგომარეობა და ჩატარებული მუშაობა.

როდესაც აქ ამხ. ელბაქიანი ლაპარაკობდა იმაზე, რომ მეზობელ რესპუბლიკებთან არ არის შეთანხმებული მუშაობა, ეს არ არის სწორი. მრეწველობა გეგმაშეწონილად ვითარდება, მაგრამ არ არის მოწესრიგებული ბაზარი. ზედმეტი ნაწარმოების დამზადებას არა აქვს ადგილი. და თუ რჩება საქონელი გაუსაღებელი, ეს იმიტომ, რომ ბაზარი არ არის მოწესრიგებული.

ამხ. ავეტისოვმა აღნიშნა, რომ ტრესტის გამგეები ხშირად უსაფუძვლოდ ქმნიან კონფლიქტებს. ეს არ არის მართალი. ტრესტის გამგეებათ ჩვენ გვყავს მუშების წრიდან გამოსული ამხანაგები და როგორ შეიძლება, რომ ისინი მუშების წინააღმდეგ წავიდნენ.

დასასრულ ორატორი ეხება ამხ. ენუქიძის შენიშვნას მუშების და სპეცების უცხოეთში გაგზავნის შესახებ და ამბობს, რომ პროფესიონალური ორგანიზაციები არ უნდა იყვნენ იმის წინააღმდეგი, რომ მუშები კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაიგზავნონ უცხოეთში, თუ კი ამის საშუალება ექნება ტრესტს, მით უმეტეს, რომ ამ საკითხს სწყვეტს უშუალოდ არა ს. მ. უ. ს., არამედ თვითონ ტრესტები ადგილობრივ პროფორგანოებთან შეთანხმებით.

ამხ. ბ. ჭიჭინაძის საბოლოო სიტყვა

ამხ. ავაქოვის შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოდის მომხსენებელი ამხ. ბ. ჭიჭინაძე.

ჯერ ამხ. ჭიჭინაძემ პასუხი გასცა წერილობით შეკითხვებზე, შემდეგ კი შეეხო კამათში გამოსულ ორატორების შენიშვნებს.

— ამხ. ავეტისოვი აქ შეეხო თამბაქოს ფაბრიკების კონცენტრაციის საკითხს. ამას ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ და ვანხორციელებთ კიდეც. მაგალითად, შვიდი ფაბრიკიდან ჩვენ ამჟამად გვაქვს ხუთი. თუ ამ საკითხში მხარს დაგვიჭერს პროფკავშირი, ჩვენ მომავალშიაც ამ მიმართულებით ვიმუშავებთ.

აქ ამხ. ბენიამ აღნიშნა, რომ ჩვენ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ აფხაზეთის მრეწველობის განვითარებას. ეს არ არის მართალი. აფხაზეთში შენდება დიდი ხე-ტყის სახერხი ქარხანა ბზიბის რაიონში. წელს დამთავრდება ტყვარჩელის ქვა-ნახშირის მადანის გამოკვლევა და მომავალი წლიდან დაიწყება უკვე მაღაროების მოწყობა. ამას გარდა, სოხუმში შენდება ჰიდრო ელექტრო სადგური.

ამხ. პაატაშვილმა აღნიშნა, რომ კახეთი მდიდარია ბუნებრივი სიმდიდრით. რაც შეეხება ნავთს, შირაქის ნავთი გაცემულია კონცესიათ, დანარჩენ ადგილებში კი არ არის ნავთის იმდენი მარაგი, რომ შეიძლებოდეს იქ ამჟამად დიდი თანხების დაბანდება. ელექტროფიკაციის დარგში კახეთში განზრახულია დიდი ელექტროსადგურის მოწყობა ალაზნის არხის გაყვანის შემდეგ.

ამხ. კორლანოვმა აღნიშნა, რომ ახალციხის მაზრას ერთი იმფუზორიტი ჰქონდა და ისიც ჩამოართვესო. მე აქ უნდა აღვნიშნო, ამხანაგებო, რომ ინფუზორიტის დამუშავების საქმის ცენტრალურ ორგანოს ხელში გადაცემა გამოწვეულია იმით, რომ იმფუზორიტის მნიშვნელობა სცილდება ახალციხის მაზრის ფარგლებს. რაც შეეხება იმას, რომ სატყეო მრეწველობის ტრესტი ხე-ტყის დამუშავებას აწარმოებს საშუალო და შეძლებულ გლეხების საშუალებით, ეს საკითხი ადგილობრივმა პროფორგანიზაციამ უნდა მოაგვაროს ტრესტის რწმუნებულთან შეთანხმებით.

დასასრულ უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენს მუშაობაში იყო, არის და ალბად იქნება შეცდომები. მაგრამ ჩვენ უნდა ვეცადოთ საერთო ღონისძიებებით გამოვასწოროთ ეს შეცდომები (ტაში).

კომისიის არჩევა

მოხსენების გამო პრაქტიკულ წინადადებების გამოსამუშავებლად ყრილობამ აირჩია კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. მარიამიძე, გოდაბრელიძე, შავლაშვილი, ბენია, კორლანოვი, ანტროპოვი, ხომასურიძე, ელბაქიანი, კაკაურიძე, ნასარიძე, აბრამოვი, ავეტისოვი, ენუქიძე, ლეკიშვილი, ავაქოვი, ჭიჭინაძე, ბაირამოვი, ცხომარია, პრეობრაჟენსკი და ცაბაძე.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებულ ანგარიშში ზოგი დელეგატის გვარები დამახინჯებულია კორექტურული შეცდომის გამო: წერია—ამხ. ფურცელაძე (ბათომიდან), უნდა იყოს—ამხ. ფრუიძე, ამხ. ბერლიძე (აჭარისტანიდან), უნდა იყოს—ამხ. ბრელიძე, ამხ. კაკაბაძე (ტყიბულიდან), უნდა იყოს—ამხ. კაკაურიძე.

უკანასკნელი გაფრთხილება

(შინამრეწველთა საყურადღებოდ)

თბილისის შინა-მრეწველ ხელოსანთა საზოგადოების წევრთა საერთო რეგისტრაციის დაწმენდის შესახებ მე პირველ წერილში მიუთითე უმთავრესად მაზე, თუ როგორ პირებს შეუძლიათ იყვნენ ხელოსანთა საზოგადოებაში. (იხ. „კომუნისტი" 24—IV).

ვინაიდან გასულ აპრილის თვეში შინამრეწველებს ხელი შეუშალა უქმეებმა და მათ ვერ მოასწრეს რეგისტრაციაში გავლა, გამგეობამ გააგრძელა რეგისტრაციის ვადა ა. წ. პირველი მაისიდან 30 მაისამდე. რეგისტრაცია—წმენდა სწარმოებს მხოლოდ ორშაბათობით და ხამშაბათობით. ბ) ეს ვადა არის გამოცხადებული უკანასკნელ ვადათ და, ვინც ვერ გაივლის რეგისტრაციაში ამ თვის დამლევამდე, ყველა ჩაითვლება მექანიკურათ უეჭველად გარიცხულად, გ) მათ არ მიეცემათ არავითარი დახმარება (იურიდიული, საექიმო, ფულადი და სხვა) დ) ყველა ასეთი პირები პრესის საშუალებით და საერთო კრებებზე გამოცხადებული იქნებიან რეგისტრაციის გარედ დარჩენილებათ. მათ ჩამოერთმევათ ძველი საწევრო წიგნები, რომ არავინ შეიყვანონ შეცდომაში, როგორიც: აღმასკომის სადარაბო სექცია, საფინანსო განყოფილება, რაიონის ფინ-ინსპექტორები, სასამართლოები, მილიცია და სხვა, ე) დაკვეთილია უკვე ახალი ფორმატის საწევრო წიგნაკები. ივნისის პირველი რიცხვებში დამზადებული იქნება ახალი წიგნაკები.

ვისაც სურს დაინახოს ის თუ რა უფლება-მოვალეობით ისარგებლებენ ხელოსანთა საზოგადოების წევრები, ის კარგად უნდა გაეცნოს და შეისწავლოს ჩვენი ახალი წესდების შინაარსი, რომელიც საფუძვლიანად განსხვავდება ძველი წესდების შინაარსიდან.

ზ) ყველა ის პირები ვინც არ მოისურვებენ რეგისტრაციაში გატარებას ამ თვის დამლევამდე ასეთები არამც თუ კარგავენ საზოგადოების მხრივ საჭირო დახმარების უფლებას, არამედ კარგავენ უფლებას უკან შემოვიდენ საზოგადოებაში ერთი წლის განმავლობაში. ახალი წიგნაკების დარიგება თავის დროზე იქნება გამოცხადებული. აი ყველა ის გამაფრთხილებელი წინადადებანი, რაც საზოგადოების გამგეობამ დაინახა საჭიროთ, რომ აცნობოს თავის წევრებს და არა წევრებს წვრილ ხელოსნებს.

დ. ნასარიძე.

უკრაინაში*)

IV.

გადავდივარ მუშებზე.

სამწუხაროდ, მე არ მქონდა საშუალება, რომ უკრაინაში ყოფნის დროს ახლოს გავცნობოდი მუშათა ცხოვრებას, მესაუბრა მათთან როგორც საჭიროა. მე მუშები ვნახე მუშაობის პროცესში, როცა მათთან ლაპარაკი შეუძლებელი იყო. არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ მუშაობა მაღაროებში და ლითონის მწარმოებელ ქარხნებში ყველაზე უფრო მძიმეა სხვა დარგებთან შედარებით. მუშები ამ წარმოებებში იწვრთნებიან ათ წლობით, ყოველ ადამიანს არ შეუძლია ამ მუშაობის ატანა. ამ გარემოებათა გამო უკრაინის პროლეტარიატი არის გამობრძმედილი და ნაცადი არა მარტო შრომაში, არამედ რევოლუციონურ სარბიელზედაც.

ასეთი პროლეტარიატი არის საწინდარი იმისა, რომ ჩვენ მართლა შევსძლებთ სოციალიზმის განხორციელებას. მე არ დამავიწყდება ერთი მელითონე მუშის მძლავრი ფიგურა ,რომელიც პირველი მაისის მიტინგზე სდებდა ფიცს იმის შესახებ, რომ უკრაინის მუშები შეასრულებენ თავიანთ ისტორიულ მისიას.

მოვიყვან ზოგიერთ ციფრობრივ ცნობებს:

მუშების 75 პროც. ჩაბმულია პროფესიონალურ კავშირებში. 1926 წლის დასასრულში უკრაინის პროფესიონალურ კავშირებში სულ იყო 1.828.333 წევრი. კავშირების მიხედვით ეს რიცხვი ასე ნაწილდება:

მიწა-ტყის კავშირი—208.074—11,4 პროც., ტრანსპორტის და ფ.-ტელეგ. კავშირი 269.751 —14,8 პროც., ინდუსტრიალური კავშირები—832.292—45,6 პროც.; გონებრივი შრომის მუშაკთა კავშირი—426.371—23,4 პროც., დანარჩენები—86.845—4,8 პროც., პროფკავშირთა 100 წევრზე მოდის 80 მამაკაცი და 20 ქალი. სრულწლოვანი მუშაკის—96 პროც., მოზარდი—4 პროც. პროფესიონალურ კავშირებში წევრთა რაოდენობა იყო:

1921 წელში—1.370.540, 1922 წ. 794.85, 1923 წ.—1.078.515, 1924 წ—1.244.100, 1925 წ.—1.465.041 და 1926 წ.—1.823.333.

ამ ცნობებიდან სჩანს, რომ პროფმოძრაობა უკრაინაში 1922 წელში ძალიან ეცემა. მაგრამ შემდეგ, თანდათანობით შეუჩერებლივ იზრდება, რაც აიხსნება მრეწველობის სწრაფი ზრდით. უნდა ითქვას, რომ მიუხედავად უკრაინის მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის მნიშვნელოვანი ზრდისა, ჩვენ გვაქვს უმუშევართა საკმაოდ დიდი რიცხვი პროფესიონალური კავშირების წევრებს შორისაც კი. ბრძოლა უმუშევრობასთან სისტემატიურად წარმოებს. ამ წელში უმუშევრობასთან ბრძოლისათვის უკრაინის შრომის სახ. კომისარიატი სდებს 8½ მილ. მან.-მდე. ეს თანხა დახარჯულ იქნება მიმდინარე წლის გაზაფხულში ან ზაფხულში. ამ თანხის 66 პროც. შრომის სახ. კომისარიატი სდებს იმ ქალაქებისათვის, სადაც უმუშევრობა ყველაზე უფრო გავრცელებულია: კიევი, ოდესა, ხარკოვი, დნეპრო-პეტროვსკი და ნიკოლაევი. ყოველგვარი სახის დახმარება მიეცემა აღრიცხულ უმუშევართა 40 პროც.

აქ მე უნდა შევჩერდე ერთ გარემოებაზე. საქმე შემდეგში მდგომარეობს:

წარმოების ერთ დარგში მომუშავე მუშებმა უმეტეს შემთხვევაში არ იციან, თუ როგორ, რა პირობებში მუშაობენ მისი ამხანაგები სხვა დარგებში ან იმავე დარგში, მაგრამ სხვა ქალაქში, სხვა საბჭოთა რესპუბლიკაში ერთი საბჭოთა რესპუბლიკის მუშებს ხშირად წარმოდგენა არა აქვთ მუშების მიღწევების შესახებ სხვა საბჭოთა რესპუბლიკაში. რასაკვირველია, მუშები, ისმენენ მოხსენებებს, კითხულობენ გაზეთებში ყოველივე ამას. მაგრამ ეს ცოტაა. მაგალითად, მე თვითონ ბევრი რამ წავიკითხე დონბასის ლითონის მრეწველობის შესახებ, მაგრამ ერთი ლითონის მწარმოებელ ქარხნის დათვალიერებამ, ან მაღაროში ჩასვლამ, გაცილებით მეტი რამ მომცა ,ვიდრე რამოდენიმე წიგნის ან მოხსენების წაკითხვამ ამ საკითხის შესახებ. მით უფრო უნდა ითქვას ეს მუშების მიმართ. საქმისათვის უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა, რომ ერთი რესპუბლიკის ან ერთი რაიონის მუშებს საშუალება ჰქონოდათ უშუალოდ გაცნობოდენ მუშაობის პირობებს და საქმის დაყენებას სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში.

ჩემი წინადადება ამ საკითხის შესახებ მდგომარეობს იმაში, რომ ერთი რესპუბლიკის, ან ერთი რაიონის მუშებმა დრო გამოშვებით, პერიოდულად გაგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები სხვა რესპუბლიკებში ან რაიონებში, რომ იქ გაეცნონ წარმოების მდგომარეობას, მიღწევებს ყველა დარგებში.. ამ საქმის მოწყობა და აგრეთვე ამისათვის საჭირო ხარჯები შეეძლოთ ეკისრათ თვით პროფკავშირებს. შეიძლება სთქვან, რომ ეს ზედმეტია, იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს სხვადასხვა ყრილობები, კონფერენციები და თათბირები. მაგრამ ერთია ყრილობები და თათბირები და სულ სხვაა მუშაობის პირობების უშუალო გაცნობა თვით ქარხანასა და ფაბრიკაში. ერთი მეორეს ადგილს ვერ დაიჭერს. ჩემის აზრით, ეს მეტად სასარგებლო იქნებოდა უპირველეს ყოვლისა საქმისათვის, წარმოების აღორძინებისა და გაუმჯობესებისათვის, თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ეს მეტად კარგ გავლენას მოახდენდა თვითონ მუშებზე, გააფართოვებდა მათ ჰორიზონტს და სხვ. ამხ. გრიგოლ ივანეს ძე **პეტროვსკი** თავის მიმართვაში, რომელიც ამას წინედ იყო დაბეჭდილი ჩვენს გაზეთებში, არსებითად ამავე აზრს ატარებს. მეორეს მხრით, ამის განხორციელება არ წარმოადგენს განსაკუთრებით დიდ სიძნელეს. მე ვფიქრობ, რომ აქ წამოყენებული წინადადება იპოვის მომხრეებს მუშათა წრეებში როგორც ამიერ-კავკასიაში, ისე უკრაინაში.

V.

უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, ინტენსიური კულტურული მუშაობა სწარმოებს ყველა დარგებში. ამას იგრძნობთ ყოველ ნაბიჯზე. მე საფუძვლიანად არ გავცნობივარ მუშაობას ამ სფეროში. შემთხვევა მქონდა დამეთვალიერებინა 2-3 კულტურული დაწესებულება. ეს იყო ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმი და სამთა-მადნო ინსტიტუტი დნეპროპეტროვსკში და სასოფლო-სამეურნეო მუზეუმი კიევში. ისტორიულ-არქეოლოგიურ მუზეუმში განსაკუთრებით თვალსაჩინოა ზაპოროჟიეს განყოფილების ექსპონატები. აქ სავსებით მოცემულია ზაპოროჟიეს ცხოვრება. მუზეუმში ინახება უკრაინის სახალხო პოეტის ტარას შევჩენკოს ხელთნაწერები.

სამთა-მადნო ინსტიტუტში სწავლობს 1850 სტუდენტი, აქედან 50 პროც. მუშებია, 16 პროცენტი გლეხები. სამთამადნო მრეწველობის მოთხოვნილება პროფესორების სიტყვით თითქმის სავსებით კმაყოფილდება. კიევში დავათვალიერეთ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი; მასში შეიძლება სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების ყველა დარგის შესწავლა. იქვე არის მუდმივი სამრეწველო გამოფენა და შინამრეწველობის უმთავრესი განყოფილება. ექსპონატების რაოდენობისა და მუშაობის დაყენებით ეს მუზეუმი საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო მუზეუმია მთელს უკრაინაში. აქ მე საშუალება მომეცა დაწვრილებით გავსცნობოდი ყველა კულტურულ და ტეხნიკურ მიღწევებს უკრაინის სასოფლო მეურნეობაში. არ შემიძლია არ აღვნიშნო სამეცნიერო მუშაკების, პროფესორების განსაკუთრებული ყურადღება და ფხიზელი დამოკიდებულება ამ უაღრესად სასარგებლო დაწესებულებისადმი.

როცა კიევზე ვლაპარაკობთ, უნდა აღვნიშნოთ ამ ქალაქის, მისი ისტორიული ძეგლების სილამაზე. კიევის სილამაზე დაკავშირებულია იმასთან, რომ ქალაქი გაშენებულია დნეპრზე.

ამ ცოტა ხნის წინად დნეპრზე აგებულ იქნა უდიდესი ხიდი, რომელიც კიევის სიამაყეს წარმოადგენს. გარდა ამისა, არ შეგვიძლია გვერდი აუხვიოთ აგრეთვე ცნობილ კიევ-პეჩორის ლავრას. ვის არ გაუგონია ეს ლავრა, სადაც თავმოყრილი იყო რამოდენიმე ასი „წმინდა ნეშთები". რევოლუციამდის ამ ლავრაში ყოველწლიურად მიდიოდენ ასეული ათასი მლოცველები რუსეთის ყველა კუთხეებიდან. კიევ-პეჩორის ლავრა წარმოადგენდა მთელ ქალაქს, რომელშიაც იყო ვეებერთელა სასტუმროები ჩამოსულ მლოცველებისათვის და სადაც წარმოებდა ვაჭრობა ხატებით, რომლებიც იგზავნებოდა რუსეთის ყველა კუთხეებში. აქ იყო ღვდელ-მონაზვნების ნამდვილი სამეფო, სადაც სისტემატიურათ ყვლეფავდენ და ატყუებდენ ხალხს. ამჟამად ეს ნეშთები დაობლდენ, მათ არავინ ნახულობს და ასეთიან კუბოებში ყველასაგან მივიწყებულნი. მხოლოდ იშვიათად ცნობის მოყვარეობისათვის თუ შეიხედავს ვინმე იქ. მთელი ეს ადგილი თანდათან იწმინდება სისაძაგლისაგან.

ლავრას უკვე ჩასჭიდა ხელი საბჭოთა ხელისუფლებამ იმ მიზნით, რომ გამოიყენოს მისი შენობები მუშებისათვის. ლავრაში არის რამოდენიმე ეკლესია, ჩვენ ერთ მათგანში შევედით იმ დროს, როცა იქ წარმოებდა წირვა. იმავე დღის საღამოთი ჩვენ შევიარეთ მეორე, კიდევ უფრო სახელგანთქმულ ეკლესიაში—სოფიის ტაძარში, სადაც ღვდელთმსახურნი არაფერს არ ზოგავდენ, რომ მიეპყროთ თავიანთ კლიენტების ყურადღება. წინად ასეთ შემთხვევებში ყველა ეს ეკლესიები სავსე იყო მლოცველებით. ეხლა კი ჩვენ რა დავინახეთ? გარდა ღვდელთმსახურთა, ამ ეკლესიებში დასთვლიდით მხოლოდ 10-15 კაცს, მათ შორის უმრავლესობა იყო მოხუცი დედაკაცები. ყველაფერი, რაც ეხლა კიევ-პეჩორის ლავრაში ხდება, მოწმობს, რომ ძველი დრო სამუდამოდ წავიდა, რომ მას ვერავინ დააბრუნებს. და აი ,უნებლიეთ მაგონდება ვ. ვ. შულგინის (ამჟამად იმყოფება საზღვარგარედ),—ამ წმინდაწყლის თეთრგვარდიელის და შავრაზმელის, სიტყვები მისი წიგნიდან —სათაურით „1920 год", რომელიც შემთხვევით ჩამივარდა ხელში. აი ეს სიტყვები: „ეკლესია ბოლშევიზმის დროს რაღაც განსაკუთრებული, ჩვეულებრივ დროს გაუგებარი სიმშვენიერე აქვს. მტრულ, ჩვენთვის უცხო ოკეანეს სივრცეზე მთელ ჩვენ ქვეყნიდან, რომ არაფერი დარჩეს გარდა პატარა კუნძულისა, რომელზედაც ყველაფერი ძველებურათაა, აი ეს იქნებოდა ეკლესია წითელთა სამეფოში".[1]

ვ. შულგინი მართალია ერთში: თუ ბოლშევიზმის სამეფოში კიდევ დარჩა პატარა კუნძული, რომელზედაც ყველაფერი ძველებურათაა, ეს მართლაც არის ეკლესია. მაგრამ ის სცდება, როცა ფიქრობს, რომ ეს „კუნძული" მტკიცეა. არა, მოქალაქე შულგინო: ყველაფერი, რაც ძველია, ქრება სამუდამოთ და თქვენ „კუნძულს" თანდათან გადარეცხავს ბოლშევიკური ზღვა და უფსკრულში გადაისვრის ყველაფერს ძველს და გამოუსადეგარს.

რამდენიმე სიტყვა **ოდესის თეატრის** შესახებ, რომელიც უდავოთ ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო თეატრათ მთელს საბჭოთა კავშირში. სცენები და დეკორაციები მოწყობილია სცენიური ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით ხანძარის შემდეგ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ახლო წარსულში, თეატრი სავსებით აღდგენილია, თეატრს აქვს საკუთარი ელექტრო სადგური, აქ ყველაფერი მექანიზაციაქმნილია. ეს თეატრი ოდესის დამამშვენებელია და ტყუილად კი არ ამაყობენ მით ოდესელი ამხანაგები. ვისურვოთ, რომ ის საუკეთესოდ იქნეს გამოყენებული მუშურ-გლეხური მასების ინტერესებისათვის.

VI.

უკრაინაში ყოფნის დროს მე უნებლიეთ მიხდებოდა თვალყური მედევნებია როგორც პარტიულ, ისე საბჭოთა მუშაკებისათვის. ამ მხრივ ჩემი დაკვირვებები გამოიხატება შემდეგში: თუ ავიღებთ ქალაქს, აქ როგორც პარტიულ, ისე საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობა სავსებით მოწესრიგებულია. ამის თქმა არ შეიძლება სოფლის შესახებაც. პარტიულ ძალთა შეფარდება ქალაქში და სოფლად სრულიადაც არ არის პროპორციული. იმ დროს, როცა, მაგალითად, კიევის ოლქზე, რომლის მოსახლეობა აღწევს 1.573.856 კაცამდე, მოდის 16.000 პარტიული, ამ რიცხვიდან მარტო ქალაქ კიევზე მოდის 15.000 კაცი, ხოლო მთელ ოლქზე 1000. ამრიგათ, თუ პარტიული ხელმძღვანელობა ქალაქში საერთოდ. დამაკმაყოფილებელია, ამის თქმა არ შეიძლება სოფლის შესახებაც. იქ კომუნისტების რიცხვი ძლიერ მცირეა. თავის თავად ცხადია, ეს მოვლენა გავლენას ახდენს საბჭოთა აპარატის მუშაობაზე.

ამხ. პეტროვსკისთან ერთად ჩვენ პირველ მაისს, ხარკოვში მიტინგზე დასწრების შემდეგ, გავემგზავრეთ მახლობელ სოფელში „რუსკაია ლოზოვაია"-ში. მთელი ხალხი შეკრებილი იყო სასოფლო საბჭოსთან. ჩვენ შევედით სასოფლო საბჭოს შენობაში; იქ დაგვხვდა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც ესაუბრებოდა გლეხებს. როცა გაიგეს ჩვენი ჩასვლის შესახებ, მთელი შენობა გაივსო გლეხებით. ჩვენ ვესაუბრეთ გლეხებს სხვადასხვა თემაზე: მოსავალის, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის, მიწის შესახებ და სხვ. საუბრიდან გამოირკვა, რომ მიწა მაინც არ არის საკმარისი, რომ სოფელში არ არსებობს არავითარი კულტურული დაწესებულება, გარდა სკოლისა და სხვ. სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეა უპარტიო, საკმაოდ განვითარებული გლეხი. კომუნისტი სოფელში არ აღმოჩნდა. არის თურმე რამოდენიმე კომკავშირელი, მაგრამ ჩვენ ისინი არ გვინახავს. თუმცა პარტიული ხელმძღვანელობა არ არსებობს, მაგრამ საბჭოთა სულისკვეთება მაინც მტკიცეა სოფლად.

ახალი წყობილება განსაკუთრებით შეთვისებული აქვს ახალგაზრდობას, რომლის შეხედულებები დიდათ განსხვავდება მოხუცთა შეხედულებებისაგან, ის სავსებით ჩვენს მხარეზეა. მიუხედავათ ამ სოფლის ჩამორჩენილობისა, ჩვენ დავრწმუნდით, რომ უკვე მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადადგმული, გლეხობა უკვე მოდის ახალი ცხოვრებისაკენ, საჭიროა მხოლოდ რაც შეიძლება ჩქარა დავეხმაროთ სოფელს. ეს პირველ ყოვლისა პარტიის საქმეა. კიევის ოლქში ჩვენ ამხ. ბუცენკოსთან ერთად ვინახულეთ სოფელი ლიტკი. ეს არის დიდი სოფელი, გლეხები მისდევენ გარეშე სამუშაოს და შინამრეწველობას. პარტიული ხელმძღვანელობის მხრივ აქ საერთოდ ისეთივე სურათია, როგორც „რუსკაია ლოზოვაია"-ში.

სოფელი ლიტკი არ ახდენს ჩამორჩენილი სოფლის შთაბეჭდილებას. სოფელში არის უპარტიო აქტივი, რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საბჭოს, კოოპერაციის და სხვ. მუშაობაში. აქ საკმაოდ კარგათ არის მოწყობილი სკოლა, რომელსაც ჰყავს კარგი მასწავლებლები. ჩვენს საუბარში სოფლის საქმეების შესახებ, აქტიური მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე გლეხ ქალებმა. ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო სასოფლო საბჭოს წევრ-ქალმა. საბჭოს თავმჯდომარე აქაც უპარტიო გლეხია. გლეხებმა მოგვთხოვეს ჩვენ გამოვსულიყავით მიტინგზე, მაგრამ, დროის უქონლობის გამო; ჩვენ მიტინგს ვერ დავესწარით.

მესამე სოფელი ჩვენ ვინახულეთ ოდესის ოლქში. ეს არის გერმანელების სოფელი „გროს ლიბენტალ"; რომელიც 30 ვერსით დაშორებულია ოდესიდან. რაიონი მოწყობილია ეროვნული ნიშნის მიხედვით.

მთელი მუშაობა და საქმის წარმოება ტარდება მხოლოდ და მხოლოდ გერმანულ ენაზე. რაიონულ აღმასკომის წევრებთან საუბარის დროს გამოირკვა, რომ გერმანული მოსახლეობა ეხლა უკვე იღებს მონაწილეობას საბჭოთა აღმშენებლობაში და ინიციატივას იჩენს კულტურულ-სამეურნეო მუშაობაში. მოსახლეობა განსაკუთრებულის ყურადღებით ეპყრობა კოოპერაციას. უნდა აღინიშნოს მხოლოდ ქალების და გოლიური ახალგაზრდობის არასაკმაო ჩაბმა მუშაობაში და პარტმუშაობაში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. მთელს რაიონში, რომლის მოსახლეობა აღწევს 30.000 კაცამდე, არის მხოლოდ 6 პარტიული ამხანაგი. მიუხედავათ ამისა, საბჭოთა ხელისუფლებას აქაც დიდი მიღწევები აქვს. გერმანული მოსახლეობა ებმება საბჭოთა აღმშენებლობაში.

საერთოდ ყველაფერმა, რაც მე ვნახე როგორც ქალაქში, ისე სოფლად, ჩემზე მოახდინა ასეთი შთაბეჭდილება: საბჭოთა ხელისუფლებამ უკრაინაში უკვე მოიპოვა საკმაო ავტორიტეტი და ეს ავტორიტეტი თანდათან მტკიცდება. უკრაინის პასუხისმგებელ მუშაკთა ხელმძღვანელი კადრი როგორც ცენტრში, ისე ადგილებზედ უმთავრესად მუშებისაგან შესდგება. ასეა საერთოდ. ხოლო რაც შეეხება დონბასს, აქ თითქმის ყველა ხელმძღვანელი თანამდებობები უკავიათ მუშებს, რომლებიც უკვე გაიწვრთნენ მუშაობაში და მშვენივრად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

რამოდენიმე სიტყვით მინდა შევეხო აქ კიდევ **ეროვნულ საკითხს** უკრაინაში, ე. ი. საბჭოთა უკრაინის პოლიტიკას ეროვნული უმცირესობის მიმართ. მე არ ვილაპარაკებ იმაზე, თუ როგორი დაბრკოლებანი იყო უკრაინაში ეროვნული საკითხის გადაწყვეტის დროს. უპირველეს ყოვლისა იდგა საკითხი სახელმწიფოს აპარატის უკრაინიზაციის, საშუალო და უმაღლეს სკოლებში უკრაინულ ენაზე სწავლების შემოღების შესახებ და სხ. უკრაინიზაცია აქ აუცილებელი იყო, რამდენადაც საჭირო იყო ლენინის ეროვნული პოლიტიკის გატარება. მაგრამ ამ პოლიტიკის გატარება პრაქტიკულად, განსაკუთრებით დასაწყისში, დიდ დაბრკოლებებს ხვდებოდა. ამ ნიადაგზე წარმოიშვა ბევრი გაუგებრობა, რომელმაც, სხვათა შორის, ამხ. ლარინს მისცა საბაბი გამოეყვანა ზოგიერთი შეცდარი დასკვნები და განზოგადოებანი უკრაინის საბჭოთა მთავრობის ეროვნული პოლიტიკის შესახებ. მაგრამ ამხ. ლარინის დასკვნები დამყარებული იყო მხოლოდ გაუგებრობაზე, ან ზოგიერთი შემთხვევითი ფაქტების განზოგადოებაზე, რომელნიც სრულიადაც არ გამოსახავდენ უკრაინის საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილ პოლიტიკას. ნამდვილად კი საბჭოთა ხელისუფლების ეროვნულ პოლიტიკას უკრაინაში არ გადაუხვევია ლენინის ხაზიდან. საქმე იმაშია, რომ ზოგიერთი ელემენტები უკრაინის ხალხის კანონიერ მოთხოვნილებებში ხედავდენ უკრაინულ შოვინიზმს, ნამდვილად კი ეს მოწმობდა სწორედ იმათ დიდი შოვინიზმს, რომელნიც უკრაინულ შოვინიზმზე გაიძახოდენ. სამწუხაროდ, არც ერთი ხალხი არ არის ჯერ თავისუფალი შოვინიზმისაგან, მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა მოვიგონოთ ის, რასაც ასეთ შემთხვევაში იტყოდა ჩვენი დიდი მასწავლებელი ლენინი.

უკანასკნელ ხანებში უკვე აღარ არსებობს ის გაუგებრობანი, და მით უფრო მახინჯი მოვლენანი, რომელთაც წინედ ჰქონდა ადგილი ეროვნულ საკითხში. უკრაინის მთავრობა ყოველი თავისი ღონისძიებებით აკმაყოფილებს უკრაინაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა არსებით საჭიროებებს და კანონიერ მოთხოვნილებებს. ყველა ეროვნულ უმცირესობას აქვს საშუალება თავის საკუთარ ენაზე იქონიოს ურთიერთობა ყველა მთავრობის ორგანოებთან; შექმნილია ეროვნული რაიონები, რაიაღმასკომები და სასოფლო საბჭოები ცოტად თუ ბევრად კომპარტიები ეროვნული მოსახლეობით, მოლდაველებისათვის კი შექმნილია ავტონომიური რესპუბლიკა ;ყველა ამ ორგანოებში საქმის წარმოება დაყენებულია უკრაინის ამა თუ იმ ეროვნულ უმცირესობისათვის გასაგებ მშობლიურ ენაზე. მე აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ სასამართლოებში საქმეების გარჩევა და სკოლებში სწავლება უზრუნველყოფილია მშობლიურ ენაზე. დაბოლოს, ეროვნული უმცირესობის ინტერესთა სისტემატიური და უფრო უკეთესად დაცვისათვის უკრაინის ცაკთან დაარსებულია **ეროვნულ უმცირესობის საქმეთა განსაკუთრებული კომისია**, რომელიც თვალყურს ადევნებს, რომ ყოველი ეროვნული უმცირესობის უფლებანი უკრაინაში [illegible] იქნას დაცული პრაქტიკულად. მე უნდა ვსთქვა, რომ უკრაინის ცაკთან არსებული კომისია სხვა საბჭოთა რესპუბლიკებისათვის მაგალითი უნდა გახდეს მათ მოქმედებაში.*)

ცხადია, რომ ძველი რეჟიმის ყველა ნაშთები ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი; უკმაყოფილება ამ დარგში კიდევ არის. ეროვნული უმცირესობის დარგში არსებულ ყველა უკმაყოფილებათა საბოლოოდ აღმოფხვრისათვის საჭიროა აგრეთვე დრო. მაგრამ უმთავრესია ის, რომ ყველა ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკები და უკრაინაც მათ შორის, ამ მხრივ დგანან სწორ გზაზე.

ვათავებ რა ამით ჩემს შენიშვნებს უკრაინის შესახებ, მე აქ უნდა ვსთქვა, რომ ყოველივე იმან, რაც მე იქ ვნახე, ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე; ღრმა შთაბეჭდილება სწორედ დადებითი მხრივ. ამით მე სრულიადაც არ მინდა იმის თქმა, რომ იქ ყველაფერი რიგზეა, რომ არ არსებობს არავითარი ნაკლულოვანებანი, რომ ყველა შეცდომები აშორებულია. ცხადია, რომ შეცდომები და ნაკლულოვანებანი, ჯერ კიდევ არის, ამას არავინ არ უარჰყოფს. მაგრამ უმთავრესია ის, რომ ყველა ეს შეცდომები და დეფექტები სწორდება. მუშაობა უკვე მიმდინარეობს მწყობრად და შეუჩერებლად. ეს მუშაობა თავის კვალს ამჩნევს საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტი უკვე შექმნილია. საბჭოთა ხელისუფლება უკვე შეიჭრა ხალხის ფართო ფენებში. საბჭოების აღმშენებლობითი და შემოქმედებითი მუშაობა, მიუხედავად მტრების სისინისა, ყველასათვის აშკარად და თვალსაჩინოდ სწარმოებს.

მთელ უკრაინაში სდუღს სიცოცხლე, ყველგან სწარმოებს გამაღლებული მუშაობა სახალხო მეურნეობის აღდგენისა, გაფართოებისა და შემდგომი განვითარებისათვის, უფრო სწორად რომ ვსთქვათ, მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის ახალ, უმაღლეს ტეხნიკურ საფუძველზე გარდაქმნისათვის. ამ მიზნით, ყველა ორგანოები, როგორც პარტიული, ისე საბჭოთა გაათკეცებული ენერგიით მუშაობენ, არიან რა დარწმუნებული იმაში, რომ **ჩვენს ქვეყანაში ნამდვილად შენდება სოციალიზმი.** ეს ენერგიული, მძაფრი მუშაობა ახდენს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ მისი აქტიური მონაწილენი გრძნობენ მტკიცე ნიადაგს. ეს რწმენა კიდევ უფრო მეტ ძალას და ენერგიას აძლევს მუშაობის შემდგომი განვითარებისა და გაფართოებისათვის. მე აქ უნდა აღვნიშნო, რომ მთელი ის უდიდესი მუშაობა, რომელიც ამჟამად სწარმოებს უკრაინაში, არ შეიძლება ჩატარებულ იქნას ისე, თუ მასში აქტიურ მონაწილეობას არ მიიღებენ უკრაინის ხალხის ყველა შემოქმედი ელემენტები, მუშათა კლასი, მშრომელი გლეხობა; ინტელიგენცია და სხ. და მე ვფიქრობ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ყველა ეს ელემენტები მონაწილეობას იღებენ ამ უდიდეს მუშაობაში, და ამასთანავე მონაწილეობას იღებენ აღფრთოვანებით, ენტუზიაზმით. და სწორედ ამაშია ჩვენი წარმატების, ჩვენი სრული გამარჯვების საწინდარი. ამას უნებლიეთ უპირდაპირებს იმას, რაც სთქვა ზემოხსენებულმა თეთრგვარდიელმა მონარქისტმა ვ. შულგინმა, რომელიც დენიკინშჩინის საბოლოო ლიკვიდაციის დროს სამხრეთ რუსეთში; 1920 წელში სწერდა:

„და მაინც მართალი ვართ ჩვენ და არა ისინი, **ვინაიდან ძველი დაბრუნდება...** მსოფლიო რეაქცია აუცილებელია"...

მართალი ხართ თუ არა თქვენ, ბ. შულგინო, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ის ძველი დრო, რომელზედაც თქვენ ოცნებობთ, რომ არასოდეს აღარ დაბრუნდება, ეს ცხადი უნდა იყოს ყველასათვის საიდან გაიგეთ, რომ საბჭოთა უკრაინის მშრომელნი და საზოგადოდ მთელი კავშირის მშრომელნი მხარს დაუჭერენ მონარქიას, მეფისა, მემამულეებისა და კაპიტალისტების აღდგენას! არა. ძველი დაიღუპა სამუდამოდ. დაიბადა **ახალი ქვეყანა**, სადაც მუშები და გლეხები თვითონ ჰქედენ ახალ ცხოვრებას ძმობის, ერთობის და თანასწორობის საფუძველზე. ეს არაჩვეულებრივი მუშაობა ჩვენს თვალწინ სწარმოებს.

—

ვათავებ რა ამით ჩემს მოკლე შენიშვნებს უკრაინის შესახებ, მე არ შემიძლია ულრმესი მადლობა არ მიუძღვნა უკრაინელ ამხანაგებს, რომელნიც ასე მხურვალედ თანაგრძნობით შეეგებენ ჩემს სურვილს უკრაინის გაცნობისა. წინასწარ ვიხდი ბოდიშს, თუ ამ შენიშვნებში უნებლიედ შემეპარა რაიმე შეცდომები, რომელთა შესწორება ადვილად შეუძლიათ თვითონ უკრაინელ ამხანაგებს.

ფ. მახარაძე.

---

*) დასასრული, იხ. „კომუნისტი" № 116.

[1] აი როგორ ახასიათებს თავის თავს ეს ვაჟბატონი მეორე ადგილას: „მე ნამდვილი კიეველი ვარ და, მაშასადამე, წმინდა წყლის შავრაზმელი". იხ. მისი წიგნი: „Дни".

*) არ შემიძლია არ მოვიხსენიო აქ ერთი დაწესებულება, რომელსაც ახლობელი კავშირი აქვს ამიერ-კავკასიასთან. მე ვამბობ „აღმოსავლეთის ხალხთა სახლზე" კიევში. უკრაინაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა შორის არიან ამიერ-კავკასიიდან, სპარსეთიდან, ოსმალეთიდან და სხვ. გადასახლებულები. ისინი ძალიან ცოტანი არიან, დაახლოებით 8.000 მთელ უკრაინაში; მათ შორის ყველაზე მეტი არიან ასურელები, რომელნიც თავის სამშობლოდ სთვლიან კავკასიას; შემდეგ არიან სომხები; თურქები; ქართველები და სხვ. „აღმოსავლეთის ხალხთა სახლი"—ეს არის კლუბი, სადაც არსებობს ეროვნული სექციები. უკრაინის ხელისუფლება დახმარებას უწევს ამ წვრილ ეროვნულ ჯგუფებს. მაგრამ ჩემთვის გაურკვეველია ერთი გარემოება, სახელდობრ: როგორ წარმოუდგენიათ ამ პატარა, სულ სხვა პირობებში მცხოვრებ ჯგუფებს თავისი შემდგომი ბედი, რამდენადაც ისინი რჩებიან, დაუშვათ, უკრაინაში. რამდენადაც მე გავიგე, ისინი საჭიროდაც არ სცნობენ უკრაინული ენის შეთვისებას, ყოველდღიურ, ჩვეულებრივი ცხოვრებაში კი ისინი ხმარობენ რუსულ ენას. მაგრამ შემდეგში რას ფიქრობენ? დამახასიათებელია, რომ ამ ეროვნულ უმცირესობათა შორის არიან ისეთი ელემენტები, რომელთაც დაივიწყეს თავისი მშობლიური ენა და რომელთაც ეხლა სრულიად აღარ ესაჭიროებათ ეს ენა. საჭიროა ამაზე და-

პარტიული ცხოვრება

ინფორმმომუშავეთა თათბირი

დღეს ს. კ. პ. ა. კ. საოლქო კომიტეტში გაიხსნება ინფორმაციულ დარგში მომუშავეთა მეორე თათბირი, რომელიც ჯამს გაუკეთებს წარსულ მუშაობას, აღნუსხავს როგორც მიღწევებს, აგრეთვე ნაკლულევანებათ და შეიმუშავებს პრაქტიკულ ღონისძიებებს მომავალში პარტიული ინფორმაციის საქმის გაჯანსაღებისათვის. დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები 1. მოხსენება ადგილებიდან, 2. მორიგი ამოცანები პარტ-ინფორმაციის დარგში, თათბირი იკრიბება იმ პერიოდში, როდესაც პარტიის წინაშე სდგას ფასების დაკლების, წარმოების რაციონალიზაციის, ეკონომიის რეჟიმის და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის, საკითხები.

პარტიული კომიტეტები ინფორმაციული აპარატების საშუალებით უნდა გაეცნონ ქვედა პარტიულ ორგანიზაციების მუშაობას ამ დარგში ჩვენი ყოველ დღიურ საკითხებს პარტიული მასა კარგად უნდა იცნობდეს, რა გვაქვს გაკეთებული ამ მხრივ?

ა. კ. ცენტრალურ ქალაქებში შემოსულია ინფორმაციული წერილების დაგზავნა პარტიის ქვედა ორგანიზაციებისათვის. წერილის დანიშნულებას შეადგენს გააცნოს პარტიულ მასას ხელმძღვანელ ორგანოების საკითხები და ამ თუ იმ ჩატარებულ კამპანიის შედეგები (მაგ. საბჭოთა გადარჩევები, ბიუროების გადარჩევები და სხვა). ეს სისტემა ტარდება უკვე თბილისშიაც. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ ამ მოსაზრებით ადგილები ვერ იყენებენ ადგილობრივ პრესას, რომელსაც არა ნაკლებ შეუძლია გააშუქოს ესა თუ ის საკითხი. ამ გარემოებას საკ. კ. პ. (ბ) ა. კ. მეორე. ინფორმ-მომუშავეთა თათბირი განსაკუთრებით უსვამს ხაზს. ჩვენ აქ შევეხებით აგრეთვე იმ ძირითად საკითხებს, რომელნიც არსებითად დაკავშირებულნი არიან პარტ-ინფორმაციის გაჯანსაღების საქმესთან. ადგილობრივ კომიტეტებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ ინფორმაციის სწორ ნიადაგზე დაყენებას. ამისათვის საჭიროა ამ დარგში კვალიფიციური მომუშავეთა შერჩევა. აგრეთვე საჭიროა დაჭერილ იქმნას მჭიდრო კავშირი კომიტეტის ინსტრუქტორებთან, რომელთაც ადგილზე გამგზავრებამდე უნდა მიეცეთ მასალა ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ.

ამ რიგად მომავალი პარტ-ინფორმაციის გამოჯანსაღების ამოცანას შეადგენს ამ დარგში მომუშავეთა კვალიფიკაციის აწევა და ძალთა მოზიდება. ამ საკითხებზე შეჩერდება თათბირის ყურადღება.

ვა—და.

სამოქალაქო და სამხედრო უჯრედების ურთიერთობის შესახებ

სამხედრო და სამოქალაქო უჯრედების კავშირი ჩვენს ყოველდღიურ პარტიულ მუშაობაში დიდ ყურადღებას უნდა იპყრობდეს. საჭირო არაა. იმის მტკიცება, რამდენად აუცილებელია მჭიდრო კავშირი სამოქალაქო და სამხედრო უჯრედებს შორის. იქ, სადაც ეს ურთიერთობა სათანადო ნიადაგზეა დაყენებული, ასეთ კავშირის დიდი პრაქტიკული ნაყოფი ყველასთვის თვალსაჩინოა.

უმრავლეს შემთხვევაში კი ჩვენ ასეთ მოვლენებთან გვაქვს ადგილი. სამოქალაქო უჯრედებზე მომაგრებული წითელი არმიელი ამხანაგები სისტემატიურად ესწრებიან პარტიულ კრებებს. ასევე სისტემატიურათ ესწრებიან სამოქალაქო უჯრედებიდან გამოყოფილი ამხანაგები სამხედრო უჯრედების კრებას. კავშირიც უმთავრესად ამით ამოიწურება.

რა თქმა უნდა, რომ ეს მხოლოდ ზევიდან მიცემულ მითითების ფორმალური და არა არსებითი შესრულებაა. მარტო იმით, რომ რამდენიმე კაცი ივლის ერთი უჯრედიდან მეორე უჯრედის კრებაზე, საქმე არ ამოიწურება. კავშირი უნდა იყოს უფრო მჭიდრო და უფრო საგრძნობი. ამისთვის საჭიროა: 1) სამოქალაქო უჯრედებმა სისტემატიურათ მოისმინონ მოხსენებები თავის წარმომადგენელთა წითელ ჯარში მუშაობის შესახებ და პირიქით; 2) საჭიროა, რომ დროგამოშვებით სამოქალაქო უჯრედები აწყობდენ ექსკურსიებს სამხედრო უჯრედებში და სამხედრო უჯრედები კი სამოქალაქო უჯრედებში; 3) საჭიროა, რომ სამხედრო უჯრედების წარმომადგენლები სისტემატიური მეცადინეობით ხელს უწყობდენ სამოქალაქო უჯრედებს გასამხედროებაში და სამოქალაქო უჯრედები იცნობდენ ამხანაგებს სამხედრო უჯრედიდან თავის წარმოების თუ დაწესებულების დანიშნულებას და მუშაობას; დაბოლოს 4) საჭიროა მჭიდრო კულტურული კავშირის გაბმა სამხედრო უჯრედებთან (კედლის გაზეთების გაცვლა - გამოცვლა, წიგნების მიწოდება, ჟურნალ - გაზეთების გამოწერა, კლუბებში სალიტერატურო საღამოების შეერთებული ძალებით მოწყობა და მრავალი სხვა).

ამხანად სამხედრო ნაწილები ბანაკად არიან გასული. ამრიგად სამხედრო უჯრედებს ეძლევათ კარგი შესაძლებლობა კავშირი გააბან გლეხურ უჯრედებთან. ეს კავშირი უდიდეს სარგებლობას მოუტანს სოფლის პარტიულ მასას პოლიტიკურ გათვითცნობიერების საქმეს. საზოგადოთ კი პარტიის ქვედა ქსელის ყველა ძირითადი ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ზომები სამხედრო უჯრედებთან არა მარტო ფორმალური, არამედ მჭიდრო ორგანიზაციული, მასიური და ამხანაგური კავშირის გასაბმელად.

დ. რ-ი.

რა სთქვა მე-4 რაიონის პლენუმა

გუშინ, 25 მაისს, საღამოს 6 საათზე, ქალ. აღმასკომის დარბაზში შესდგა მეოთხე რაიკომის პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგში იდგენ შემდეგი საკითხები: 1) მასიური მუშაობის შესახებ; 2) ორგანიზაციის ზრდისა და მოწესრიგების შესახებ და 3) პარტიაში მიღების შესახებ.

პირველ საკითხზედ მოხსენება გააკეთა ამხ. ფუნტაკოვმა.

მთავარ ნაკლად—დაიწყო მომხსენებელმა — ჩვენი უჯრედების მასიურ მუშაობაში უნდა ჩაითვალოს ის გარემოება რომ უჯრედები საკმარის ყურადღებას არ აქცევენ მუშა-მოსამსახურეთა მოთხოვნილებებისა და განწყობილებების აღრიცხვას. უამისოდ კი მასიური მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება —შეუძლებელია. დანარჩენ ხელის შემშლელ ნაკლთაგან აღსანიშნავია შემდეგი: უჯრედების ღია სხდომა დღის წესრიგის ზედმეტად იტვირთება ინტერეს მოკლებული საკითხებით, რის გამოც უპარტიოთა დასწრება ღია სხდომაზე სუსტია. თვით პარტიის წევრები არ ესწრებიან მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებს; ბევრ წარმოება-დაწესებულებებში მუშაობა სწარმოებს ორ-ცვლათ, საერთო კრებები კი არ იწვევა ცვლების მიხედვით, რის გამოც დასწრება ამ კრებებზე ძლიერ დაბალია და სხვა.

შემდეგ მომხსენებელი ეხება პარტიულ აქტივთან მუშაობას და აღნიშნავს, რომ ზოგიერთი პარტიულები ვერ ერკვევიან მიმდინარე სამეურნეო პოლიტიკურ საკითხებში. ამ ნაკლის გამოსასწორებლად მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია რაიკომმა პერიოდულად დაუგზავნოს უჯრედებს წერილები ზევით აღნიშნულ საკითხთა შესახებ.

ეხება რა უპარტიო აქტივთან მუშაობას ამხ. ფუნტაკოვი ამბობს, რომ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა უპარტიოთა შორის ვერ არის კარგად დაყენებული.

ზოგიერთი უჯრედები—განაგრძობს მომხსენებელი — ნებაყოფლობით საზოგადოებებს სთვლიან მკვდარ ორგანიზაციებად და არ აქცევენ ყურადღებას მათ მუშაობას. მომავალში აუცილებელია ასეთი შეხედულების მოსპობა და ნებაყოფლ. საზ.-ბების გამოცოცხლება.

მეორე საკითხზედ მომხსენებლად გამოდის ამხ. ტიტიკოვი. იგი ადარებს ორგანიზაციის ზრდას უკანასკნელი რაიკონფერენციის შემდეგ კონფერენციის წინა პერიოდის ზრდასთან და აღნიშნავს, რომ რაიონულ კომიტეტს საკმაოდ გაუტარებია ცხოვრებაში კონფერენციის დადგენილება ზრდა-მოწესრიგების შესახებ.

პარტიისადმი ლტოლვა—აცხადებს მომხსენებელი — ჩვენი რაიონის განსაკუთრებული პირობების გამო მეტია მოსამსახურეთა და მოსწავლეთა შორის, მაგრამ რაიკომს მტკიცეთ აქვს აღებული კურსი მუშების პროცენტის აწევისაკენ.

უკანასკნელ ხანებში—განაგრძობს ამხ. ტიტიკოვი — დაიკლო მუშების პროცენტმა ორგანიზაციაში და შენელდა ზრდა დაზგის მუშების ხარჯზე. ეს გარემოება უნდა აიხსნას მასიური მუშაობის სისუსტით. მომავალში მასიური მუშაობის გამოცოცხლებით ჩვენ შევსძლებთ ორგანიზაციის ზრდა უმთავრესად ვაწარმოოთ იმ 2.300 მუშის ხარჯზე რომელიც ითვლება ჩვენს რაიონში.

შემდეგ მომხსენებელი ეხება სტაჟ-გათავებულ კანდიდატებს და აღნიშნავს, რომ ბევრ მათგანს სრულიად არ ემჩნევათ წევრებად გადარიცხვის სურვილი, რაც აიხსნება იმით, რომ უჯრედები თვალსაჩინოდ არ ასხვავებენ წევრებისა და კანდიდატების უფლებებს.

მომავალში საჭიროა ამ საკითხს მიექცეს სათანადო ყურადღება უჯრედების მხრივ.

მოხსენებების გარშემო გაიმართა კამათი და გამოტანილ იქნა შესაფერი რეზოლიუციები.

კ. ს—ლი.

როგორ უნდა ჩატარდეს საანგარიშო კომპანია

ყველა თემკომებს და უჯრედებს

ძვირფასო ამხანაგებო!

მაისის თვეში დასრულდა უჯრედის ბიუროების და თემკომების რწმუნების ვადა. საზაფხულო პერიოდის მუშაობის პრობლემებთან დაკავშირებით ს. კ. პ: (ბ) თბილისის კომ: სამდივნომ დაადგინა: უჯრედების ბიუროთა და თემკომების გადარჩევის ჩატარება გადადებულ იქნას სექტემბრის თვისათვის და მაისის თვეში კი ჩატარებულ იქნას უჯრედების ბიუროთა და თემკომების საანგარიშო კამპანია.

1. მთავარი ყურადღება საანგარიშო კამპანიაში უნდა მიექცეს მუშაობის თვითშემოწმებას და პარტიის დირექტივების შესრულებას—განსაკუთრებით მასიურ მუშაობის დარგში, როგორიც არის უპარტიო გლეხთა აქტივის შექმნა და მისი გამოყენება სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, მუშაობა ღარიბ გლეხთა შორის, საცალო ფასების დაკლების საკითხი, საბჭოების სექციების მუშაობის გამოცოცხლება და სხვა.

2. ბიუროების და თემკომების ანგარიშთა ჩატარების დროს საჭიროა გამოვიწვიოთ რაც შეიძლება ცოცხალი მსჯელობა, რომ ამ მსჯელობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდეს პარტიული მასა. მუშაობაში შემჩნეულ მიღწევათა და ნაკლულევანებათა აღნუსხვის საფუძველზე საჭიროა დასახულ იქნეს შემდეგი ღონისძიებანი ზაფხულის თვეებში მუშაობის გამოსაცოცხლებლად.

3. საანგარიშო კამპანია უნდა ჩატარდეს 25 მაისიდან 25 ივნისამდე.

4. თემკომებმა უჯრედების ყველ საანგარიშო კრებებზე უნდა გზავნონ თავიანთი წარმომადგენლები და ხუთი ივლისისათვის უნდა წარმოადგინონ თბილისის კომიტეტში მოხსენებები ჩატარებულ კამპანიის შედეგებზე.

თბილისის კომიტეტის მდივანი **სვანიძე.**
საორგ. განყოფილების გამგის მოადგილე—**ხაცკევიჩი.**

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

მკვლელის გასამართლება

ახალსენაკი, 25 მაისი. დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს გამსვლელმა სესიამ გაარჩია მოქ. მერჩეშვილის მიერ გლეხი ჯანღველაძის მკვლელობის საქმე. გამოძიებიდან დამტკიცდა, რომ მერჩეშვილმა, მტრობის ნიადაგზე, წინასწარი განზრახვით მოკლა გლეხი ჯანღველაძე. სასამართლომ მერჩეშვილს მიუსაჯა 8 წ. ციხე სასტიკი იზოლიაციით (ადს).

ნათესების მდგომარეობა

ხონი, 25 მაისი. განუწყვეტელი წვიმების გამო, საგრძნობლად გაუარესდა ნათესების მდგომარეობა. ნათესების მდგომარეობა ხონსა და მის რაიონებში გამოიხატება შემდეგნაირად: ხორბლეული—3, სიმინდი—2,5. ბამბა—2,5, ბოსტნეული—2,8, ხილი—2. განსაკუთრებით დაზარალდა ვენახები. გაჩნდა ავადმყოფობა. დიდი მოთხოვნილებაა, გოგირდზე და შაბიამანზე (ადს).

მეაბრეშუმეობა

ხონი, 25 მაისი. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა ხონისა და მისი რაიონების გლეხებს დაურიგა 6.000 კოლოფი აბრეშუმის თესლი (ადს).

„ახიკოს“ გამგეობის წევრთა საქმე

ახალციხე, 24 მაისი. „ახიკოს“ საზ. გამგეობის 3 წევრი იგიტხანაშვილი, კრტიანცი და მურადოვი მიცემული არიან პასუხისგებაში იმის გამო, რომ ისინი ახალციხის მაზრიდან გასატან ყოველ ერთ ვაგონ კარტოფილზე ნებართვის ასაღებად ახდევინებდენ 15-20 მანეთს, მაშინ, როდესაც ასეთ ნებართვებს ფინ-ინსპექტორი უფასოდ იძლეოდა. საქმე შემდეგნაირად გამოირკვა: ერთ-ერთ მოქალაქეს ფინ-ინსპექტორმა მოსთხოვა გადასახადი წარსულ წელში გატანილ კარტოფილზე. გადასახადის გადამხდელმა განაცხადა, რომ ფული მან შარშანვე გადაიხადა. ვალის თემის წევრების დაკითხვიდან გამოაშკარავდა „ახიკოს“ უკანონო მოქმედება.

ალაზნის ადიდება

სიღნაღი, 25 მაისი. დიდი წვიმების გამო ადიდდა მდინარე ალაზანი. რამდენიმე ხნით შეწყდა მიმოსვლა ალაზნის გადაღმა მხარესთან. ადიდდენ აგრეთვე, მთის ყველა მდინარეები

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

სიღნაღი, 25 მაისი. მთელს მაზრაში სწარმოებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრ ობიექტების აღრიცხვა. კამპანიის უფრო წარმატებით ჩატარების მიზნით, სიღნაღში მოეწყო ორკვირეული კურსები თემის ფინმუშაკთა და სას.-სამ. გადასახ. მომუშავეთა მოსამზადებლად (ადს).

საბავშო კვირეული

სიღნაღი. 25 მაისი. 15-22 მაისამდე მაზრაში ჩატარდა საბავშო კვირეული. 18 მაისს ქალაქსა და სათემო ცენტრებში გაიმართა მიტინგები, რომლის შემდეგ მოეწყო ექსკურსიები ახლომახლო სოფლებში. მთელი კვირის განმავლობაში სკოლებში იმართებოდა საბავშო საღამოები, მშობლების მონაწილეობით (ადს).

აჭარისტანი

ბათომის ნავთსადგურში

ბათომი, 25 მაისი. ნავთსადგურში დიდი გამოცოცხლებაა. 24 მაისს ნავთსადგურში იდგა უცხოეთის 5 გემი ზოგი დასატვირთავად, ზოგი გადმოსატვირთავად. დამთავრდა თბომავალის „გროზნეფტ“-ის საცდელი დატვირთვა ნავთის პროდუქტებით. იტალიის გემმა „ჯორჯო ოლსენ“ გადმოტვირთა 221,609 კილო მანქანების ნაწილები, რომელიც იგზავნება „აზნეფტ“-ის სახელზე. საბჭოთა სავაჭრო ფლოტის ყირიმ-კავკასიის ხაზი (ბათომი—ოდესა) საზაფხულო პერიოდისათვის გაძლიერებულია ორი დამატებითი რეისით. ამრიგად ბათომში ამ ხაზით ყოველ კვირეულად მიდის და მოდის 5 გემი. (ადს).

წერილები

ჩვენი სკოლა

(პირველი ხორგა, ზუგ. მაზრა)

ჩვენს თემში არის 7 წლიანი შრომის სკოლა, რომელსაც 1925 წლიდან აქვს „სამეურნეო განხრა. საერთო ცოდნის გარდა მოწაფეები ეცნობიან მეურნეობის სხვადასხვა დარგების კულტურული წესით მუშაობის წესებს.

სკოლას აქვს საკუთარი ბაღ-ბოსტანი და საჩვენებელი ნაკვეთი, რომელიც არის დაახლოვებით სამი ქცევამდე. მთელი ნაკვეთი უკავია ბამბისა და სიმინდის კულტურას.

გლეხობა სკოლით დიდათ მადლიერია, ყოველ დღე ნახულობენ თავიანთი შვილების ნამოქმედარს და მით სტკბებიან, რადგანაც ასეთს სკოლაში მათ შვილები იძენენ ისეთს ცოდნას, რომელიც ოჯახს ფეხზე დააყენებს. თემის გლეხობა მოითხოვს ეს სკოლა გადაკეთდეს „გლეხთა ახალგაზრდობის სკოლად“ თან საამისო ნიადაგიც მოწყობილია. საჭიროა მხოლოდ ოთხ წლედის შენობის შეძენა, და ეს კი ხორგის მუყაითი გლეხობისათვის დიდ რამეს არ წარმოადგენს. მათ უკვე აქვთ ორი ხის ეკლესიები, რომელიც უკვე გადაცემულია ამ საქმისთვის. გლეხობა უკანასკნელ ღონეს არ დაზოგავს, ოღონდ ეს სკოლა გადაკეთდეს „გლეხთა ახალგაზრდობის სკოლად“. თვით თემის ბუნება ძალზე ხელშემ. ასეთი სკოლის არსებობ. ამას გარდა ნაკვეთი უკვე საკმარისი აქვს, რომელიც ეხლა დამუშავებულია.

მეურნე ა. გვასალია.

თავმჯდომარე, შენი საქმეა

(ს. გორდის თემი, ქუთ. მაზრა)

აღნიშნული თემი ძლიერ ჩამორჩენილი თემია სხვასთან შედარებით. ერთ-ერთი ნაკლი ამ თემისა ის არის, რომ მშრომელ გლეხობას არ აქვს ისეთი გზა, რომ გლეხმა თავისუფლად გაიაროს თავისი ხარ-კამეჩით და მას არ გაუჭირდეს ქალაქში გამგზავრება. მიიღეთ სახეში თემის აღმ. თავმჯდომარევ, და მოაგვარეთ ეს საკითხი დროზე. ვინაიდან ეს თემი აგარაკად არის ცნობილი და ეს საკითხი მით უფრო საინტერესოა.

შოთა ჩიხლაძე.

თავგასული მეეტლეები

(დ. აბაშა, სენაკის მაზრა)

აბაშის მეეტლეს რამე „უბედური შემთხვევით“ თუ ვინმე ჩაუვარდა ხელში. ის იწყევლის ბედს და ამბობს: „ასეთი უბედურება“ აწი არ შემხვედროდესო““ თუ გინდ ის ძლიერ საჩქარო ერთ საქმეზეც გაემგზავროს.—რაშია საქმე? აქაური მეეტლეთა თავ-აწყვეტილობას და თავგასულობას საზღვარი არა აქვს.—ერთმანეთში პირის მიცემა და ხალხის გასატყავებლად გაიძვერობა მათი ხელობაა.—გლეხობა და ადგილობრივი საზოგადოებრივი აზრი ამ დაუსრულებელ ყვლეფის და აღვირ ახსნილი მოქმედების გამო დიდი უკმაყოფილოა.—ამაზე რამოდენიმეჯერ დაწერილა გაზეთის ფურცლებზე, მაგრამ ყურადღება ჯერ არავის არ მიუქცევია.—სამაზრო აღმასკომი და თემაღმასკომი ვალდებული არიან ასეთ თარეშს მეეტლეებისას სამუდამოდ ბოლო მოუღოს.

№ 8.

წერილებიდან

მისაბაძი მაგალითი

(ძველი აბაშა, სენაკის მაზრა)

სოფ. აბაშის „შუა - სოფელ საკუპრაოს“ გლეხობა აშენებს ამხ. ალ: გეგეჭკორის სახელობის კლუბს.

კლუბის შენობაში მოთავსებული იქნება სამკითხველოც. საჭირო მასალები შეძენილია. მუშაობა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს

კლუბის საამშენებლო კომისიას მოსდის შემოწირულებანი სხვადასხვა ქალაქებიდან. განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსის ამხ. გრიგოლ თოფურიას დახმარება, რომელმაც ამხანაგებს შორის კლუბის სასარგებლოდ შეაგროვა 200 მანეთი.

ამხ. გრ: თოფურია გლეხობის საერთო კრებამ არჩია კლუბის საამშენებლო კომისიის საპატიო წევრათ.

აღნიშნულ სოფლის გლეხობა ამხ. თოფურიას და ყველა იმ პირებს. რომლებმაც ამ საქმისათვის წვლილი გაიღო, უცხადებს მადლობას.

პერო

წისქვილი სოფელს გადაეცით. (სოფ. კაპანა, აბაშის თემი). ამ სოფელში მელიებს და სხვ. აქვთ წისქვილი. წისქვილით გლეხები უკმაყოფილო არიან. ჯერ წისქვილი გუბავს მდინარე ნოღელას და აოხრებს ორას ქცევაზე მეტ ადგილს. შემდეგ წისქვილში მიტანილი საფქვავი გლეხს ეკარგება სანახევროდ, ზომების მიღების ნაცვლად წისქვილის მეპატრონე ლანძღვა-გინებით ისტუმრებს ხალხს. აბაშის აღმასკომმა ამას ყურადღება უნდა მიაქციოს.

ტყვია.

ეს საქმე უნდა მოგვარდეს. (ს. ქოლობანი, სენაკის მაზრა). ამ სოფელს ერთად ქონდა საყანე მიწები, მაგრამ ადიდებულმა მდ. ცხენის წყალმა ორად გაჰყო. ასე რომ ერთ ნაწილს გლეხებისას გაღმა გასვლა უხდებათ. მაგრამ საქმე ის არის. რომ პორომი არაა, ფონით გასვლა არ შეიძლება, უნდა უცადონ წყლის დაკლებას, ამასობაში ყანები უმუშევარი რჩება და საქმე ფუჭდება. მოსახერხებელია წყლის ძველ კალაპოტში ჩაყენება და ტან წყალზე შეერთება. თუ ვინმე ითავებს ამ საქმეს გლეხები ამისთვის არაფერს არ დაიშურებენ.

№ 1140.

ჩვენ რა დავაშავეთ. (სოფ. ტაბახმელა, თბილისის მაზრა). ყველა სოფლებშია კოოპერატივი, ჩვენთან კი არ არის. გლეხებს და აქაურ მუშებს, რომლებიც საშრატე სადგურში მუშაობენ 12 ვერსის მანძილზე უხდებათ სავაჭროთ სიარული, აბ და კერძო ვაჭრებს უნდა ჩაუვარდენ ხელში. არც ფურნეა ტაბახმელაში, რაც უკიდურეს გაჭირვებაში აგდებს მუშებს და დანარჩენ მცხოვრებლებს. კოოპერატიულმა ორგანოებმა ეს საქმე უნდა მოაგვარონ.

ს. ბუაძე.

აღმშენებლობა ჩვენთან. (ქ. ახალ-სენაკი). სამაზრო აღმასკომმა მთავარი ყურადღება მიაქცია გზების შეკეთებას ქალაქში. რუსთაველის ქუჩაზე დაგებულია ქვა-ფენილი. ქუჩის განაპირას დუქნების წინ დარგულია ევკალიპტის ხეები, რომელიც ხელს უწყობს ნოტიოს ამოშრობას. ქალაქის შუაგულში გაკეთებულია ბაღი, რასაც ამდენ ხანს მოკლებული ვიყავით. შეკეთდა ხიდები. ზოგიერთის გამოკლებით. რემონტი უყვეს საბჭოთა სახლებს.

ბეგთა-ბეგი.

ბრძოლა სიმულიაციასთან. (ლეჩხუმი). მაზრაში დაზღვეულები ბლომად არიან. ზოგიერთ დაზღვეულს სალარო საწველ ფურად წარმოუდგენია და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი დასტყუოს, როგორც ამბობენ ლეჩხუმში თავი უჩენია სიმულიაციას ეს ცუდი მოვლენაა. სიმულიანტების წინააღმდეგ დამზღვევ სალარომ ექიმების დახმარებით სასტიკი ზომები უნდა მიიღოს.

კ. ფრუიძე.

კოოპერატივი გაძარცვეს. (საჯამიასერი, გურია). ამას წინად ბოროტგანმზრახველებმა გატეხეს საჯამიასერის კოოპერატივი და 2.000 მანეთის საქონელი გაიტაცეს. ზომების მიღების შემდეგ მახლობელ ტყეში აღმოაჩინეს გატაცებულ საქონლის დიდი ნაწილი. რაც ვერ გაიტაცეს ქურდებმა საქონელი, ტალახში ჩაეყარა და გაეოხრებია. რა აინტერესებდა ქურდებს საქონლის გატაცება თუ კოოპერატივის აკლება! ამ ერთ წელიწადში ეს მეორეჯერ ააოხრეს ჩვენი კოოპერატივი. ბოლოს და ბოლოს მიიღებს თუ არა ადმინისტრაცია ამის წინააღმდეგ ზომებს და აღმოაჩენს ბოროტმოქმედებს?

საჯამიასერელი.

რა ხდება ებრაელთა ქუჩაზე?

ებრაული საზოგადოებრივობა დახშული იყო 1921 წლამდე. საბჭოთა ხელისუფლებამ მშრომელი ებრაელ ინტელიგენციის საშვალებით გადადგა პირველი ნაბიჯები ებრაელთა შორის არსებულ ჩამორჩენილობის და კონსერვატიზმის ლაბირინთის ჩასაცემად. [illegible] ფანატიზმით დაბეჩავებულ ებრაელ ხალხისა და საბჭოთა ხელისუფლება შეიქნა მათთვის ერთად-ერთი სულისკვეთების გამომხატველი.

დღემდე ებრაელების ქუჩაზე თბილისში არსებობს შემდეგი ორგანიზაციები და დაწესებულებანი: კოოპერატივი, 102-ე შრომის სკოლა, ლიკპუნქტი და ბიბლიოთეკა - სამკითხველო. ჯერ-ჯერობით ამით ამოიწურება თანამედროვე საზოგადოებრივობა ჩვენში. ცხადია, პერსპექტივები ბევრს კარგ რამეს გვიქადიან, მაგრამ ამას წინ ეღობება ცოტა დაბრკოლებანი, რომელზედაც ეხლა მე მინდა მიგითითოთ.

თბილისის ებრაელობას ამ ოთხი წლის წინათ მოევლინა თავის ოჯახით ვინმე დავით ბაზოვი. ეს ბაზოვი ახალგაზრდობიდანვე ხახამია. როგორც ასეთი, ის შემკობილია ყველა იმ საზიზღარი თვისებებით, რომელიც ახასიათებს ყოველ სარწმუნოების სასულიერო პირებს. ჩამოვიდა თუ არა ის თბილისში, მან თავისი მელური მოქცევით შეცდომაში შეიყვანა ნაწილი მშრომელი ინტელიგენციისა. მათ არწმუნებდა თავის პროგრესისტობაში.

ბაზოვმა ინტელიგენციასთან ერთად ბრძოლა გამოუცხადა თბილისის ხახამობას და კიდეც დაამარცხა აქაური ხახამები. მაგრამ დღეს ნათლად ირკვევა თუ რა მიზნები ქონდა მას ამ ბრძოლის გამოცხადების დროს. როგორც მეტად დახელოვნებულ ავანტიურისტმა, ეს ბრძოლა მან გამოიყენა პირად მიზნებისათვის. ჩადგა თუ არა სინაგოგების სათავეში ძველ ხახამებზე მეტი შავრაზმელი გახდა. დაიწყო წაქეზება ებრაელ შავრაზმელებისა მშრომელ ინტელიგენციის წინააღმდეგ. თავის მოწინააღმდეგეთ ბაზოვი ნათლავდა მთავრობის აგენტებათ და ჩეკის ჯაშუშებათ. საბჭოთა ხელისუფლების ყოველ დღიურ ქადაგებაში სინაგოგის ტრიბუნიდან მას გამოყავს როგორც ჩვენი ხალხის დამამხობელი და გამანადგურებელი ყველა ამან კიდეც იქონია თავისი მავნე გავლენა ხალხზე.

მშრომელი ინტელიგენცია მალე მიუხვდა დავით ბაზოვს თავის განზრახვებს და კიდეც გამოუცხადა მას სასტიკი ბრძოლა, მაგრამ არც ბაზოვს სძინავდა. დავით ბაზოვმა სულ მოკლე ხანში შემოიარა მთელი სახკომები, პარტიის ცეკა, მართალია, სახალხო კომისარიატებში აღმოჩნდენ ისეთი პირები, რომლებიც ძველადაც კარგათ იცნობდენ დავით ბაზოვს, მაგრამ ზოგიერთებს ბაზოვი მაინც გულწრფელ კაცად მიაჩნდა. ბაზოვმა, რომელსაც გვერდში ამოუდგა არა ნაკლები „ბაზოვი“ მისი შვილი გერცელი, ტერორის ქვეშ ჩააყენა მთელი ებრაელობა ჩვენს ქუჩაზე. ებრაელთა 102-ე შრომის სკოლაში მან მოაწყო მასწავლებლათ თავისი შვილი გერცელ ბაზოვი. ამით მათ ხელთ მოიგდეს ხუთასი ბავშის მშობელი, რომლებზედაც, ცხადია, სათანადოთ იმოქმედეს. ეწყობა ათასგვარი ავანტიურა. ბაზოვის მოსკოვში გამგზავრება პირადი მიზნებისათვის და მოსკოველი ანტი-საბჭოთა ელემენტებთან კავშირის გასაბმელათ. ეს გამგზავრება მოხდა სკოლისა და ხალხის ხარჯზე. ცხადია, სკოლის გამგე, ძველი ჩინოვნიკი, მათი ყურმოჭრილი მონა არის. იმის შიშით, რომ ბაზოვებმა ის ადგილიდან არ გადმოაგდონ, მან ხელი დააფარა ასეთ ფაქტს, როგორიც არის გერცელ ბაზოვის მოსკოვში და ლენინგრადში წასვლა მამა მისის ინსტრუქციებით, რათა რუსეთში რელიგიურ ყრილობის მოწყობის შესახებ ცნობები შეეკრიბა.

დღეს გერცელ ბაზოვი დაინიშნა სასამართლოში გამომძიებლათ. გერცელის მაგიერ გამგემ მასწავლებლათ წარადგინა გერცელის და ფონია ბაზოვი. ამრიგათ სკოლაში გამეფებულია ბაზოვის ოჯახი და ყოველივე ნაბიჯებს გამგის კომუნისტ თანაშემწისა წინ ეღობება ბაზოვების ოპოზიცია, რომლის დამარცხებაც მეტად ძნელია. ეს, რაც შეეხება სკოლას.

ავიღოთ ეხლა კოოპერატივი. დავით ბაზოვმა მოახერხა იმ ინტელიგენციის გამოყრა კოოპერატივის მუშაობიდან, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ამ მუშაობას და გამგეთ დაანიშვნინა თავისი მარჯვენა ხელი იგივე ხახამი და მენშევიკი (ეს ხომ ხშირი მოვლენაა—ხახამი მენშევიკი!) დავით აჯიაშვილი, რომელიც მან სპეციალურათ პროვინციიდან გამოიწვია.

ეს აჯიაშვილი გახლავთ ის პირი, რომელმაც ხალხის ფული შეჭამა ბანძაში და ქუთაისში ცეკავშირსაც გაჰკრა კბილი. რისთვისაც მას ცეკავშირმა პანღური ამოჰკრა.

რა მოაწყო დავით ბაზოვმა ამ კოოპერატივში?—ის რასაც მოითხოვს ებრაული რელიგია თავის სიმკაცრით როგორც მაგალითად ებრაული ყველი (გაცილებით ძვირი ჯდება სხვაზე), „ებრაული“ ხორცი, „ებრაული“ ღვინო (გაცილებით უარესია ხარისხით და ძვირია ჩვეულებრივზე), და სხვა ბევრი ასეთები. თუ რამე კეთდება ამ კოოპერატივში პატიოსნათ, ყოველივე კეთდება ორიოდე პატიოსანი პირის მიერ, როგორიც არის გამგის თანაშემწე და მოლარე ფიჩხაძე. დავით ბაზოვი გახლავთ მუშკოოპის რაიბიუროს რწმუნებული. რასაკვირველია, მან თან წაიყვანა მეორე რწმუნებულათ თავის მორჩილი 102-ე შრომის სკოლის გამგე. შებრძანდება დავით ბაზოვი კოოპერატივში—ყველანი ფეხზე ადგებიან, ხელზე ემბორებიან. ის გახლავთ „ხაზეინი“. ავიღოთ მესამე დაწესებულება ბიბლიოთეკა. განიზრახა ინტელიგენციამ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსება. შეუდგა მუშაობას, შეაგროვა წიგნები, მიიღო ნებართვა პოლიტგანიდან. ამ დროს თავი ამოჰყო ამ საქმეშიაც დავით ბაზოვმა და მისმა შვილებმა. მოისურვეს ესეც ხელში ჩაეგდოთ და გამგეთ დაენიშნათ ბაზოვის ქალი ფონია. — ინტელიგენციამ წამოაყენა პარტიული ელიგულაშვილის კანდიდატურა.

ბაზოვებმა ხალხი აამხედრეს ელიგულაშვილის წინააღმდეგ და მონათლეს ის ჯიბგირათ, ქუჩის ბიჭად. მათმა თავგამოდებამ იქამდე მიაღწია, რომ პოლიტგანის გამგესაც კი განუცხადეს: ჩვენ კომუნისტი არ გვინდა გამგეთო. მათი პროპაგანდის მეოხებით სამკითხველო რამოდენიმე თვეების განმავლობაში „დაწყევლილი“ იყო ებრაელების მიერ და მას ბოიკოტი ჰქონდა გამოცხადებული.

შრომის სახალხო კომისარიატმა გაგზავნა იუსტიციის სახალხო კომისარიატში დასასჯელათ ამხანაგი კაკიტელაშვილი, რომელიც ბაზოვებს ძვალათ ქონდა კისერში გაჩხერილი. ეხლა ბაზოვები მედიდურად დასეირნობენ ებრაელთა უბანში და, თუ ვინმე რამეს კადრებს, მაშინვე მიახლიან: „გაჩერდი, თორემ... შავ დღეს დაგაყენებთო“...

რაღაც ნაირად დავით ბაზოვს ხელთ უგდია ისეთი საქმე, როგორიცაა მოწმობების გაცემა უფასო საექიმო დახმარების მისაღებად. ვინ მიაკუთვნა მას ასეთი საპასუხისმგებლო საქმე, ან რა პირობებში, ეს არ ვიცი. მხოლოდ ერთი რამ კი ცხადია, რომ დავით ბაზოვი ებრაელთა უბანში გახდა მეორე „ჯანსახკომი“. ამ მოწმობებით ის კიდევ უფრო იმორჩილებს ისედაც დაბეჩავებულ ებრაელთა უბნის მოსახლეობას.

ამრიგათ განმტკიცდა და ლეგალური ძალა მოიპოვა ფანატიზმმა და პროვოკაციულმა მოქმედებამ. ინტელიგენცია.—ახალგაზრდობის აქტივი, პარტიული აქტივი უძლური რჩებიან მათ წინააღმდეგ ბრძოლაში.

საჭიროა სერიოზული ზომების მიღება. ბაზოვების „დინასტია“ უნდა იქნეს აღმოფხვრილი ერთხელ და სამუდამოდ.

თუ ბაზოვებთან ბრძოლაში მოწინავე ებრაელობას არ დაეხმარა საბჭოთა ხელისუფლება, ძნელი იქნება ანტისაბჭოთა ჭაობის ამოშრობა ჩვენს უბანში.

ებრაელი სტუდენტი.

ამხ. შალვა ელიავას მოხსენება

საკავშირო საბჭოთა ყრილობის შედეგების შესახებ

გუშინ საღამოს ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის რკინის გზელთა კლუბში, ამხ. ბ. ქავთარაძის თავმჯდომარეობით შესდგა სარკინისგზო უწყებათა თანამშრომლების კრება, სახელმწიფო პოლიტსამმართველოს საგზაო-სატრანსპორტო განყოფილების და ა. კ. საგზაო-სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოების თანამშრომლებთან ერთად.

კრებაზე სრულიად საკავშირო საბჭოთა მეოთხე ყრილობის შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. შ. ელიავა

ყრილობის მუშაობის დასახასიათებლად მომხსენებელი შეეხო ყრილობის დადგენილებებს ჩვენი კავშირის მრეწველობის, ინდუსტრიალიზაციის, ტრანსპორტის, სასოფლო მეურნეობის, კულტურულ და სხვა დარგებში.

ამავე დროს მომხსენებლის მიერ გაშუქებულ იქნა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა.

მოხსენების შესახებ, გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, სადაც კრება ყრილობის მუშაობას დამაკმაყოფილებლად ხცნობს და მის მიერ გამოტანილი დადგენილებები სწორად და მიზანშეწონილად მიაჩნია.

უკეთებს რა ანალიზს თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობას, კრება რეზოლიუციით პროტესტს აცხადებს ინგლისის იმპერიალისტების მიერ „არკოს“-ზე მოწყობილ უკანასკნელ თავდასხმის წინააღმდეგ და ჰკითხავს მას, როგორც პროვოკაციულ გამოსვლას საბჭოთა წარმომადგენლების წინააღმდეგ.

ქაღალდის ქარხანა სოფ. ჯვარში

როგორც ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი ცნობა, ს. მ. უ. ს. მიერ მოწვეულმა ქაღალდის ქარხნის ამგებ სპეციალისტთა კომისიამ გამოიტანა დადგენილება, რომელშიაც მიზანშეწონილათაა ცნობილი, რომ ქაღალდის ქარხანა აგებულ იქნეს სოფ. ჯვარში და არა შამგონში. გუშინწინ, საექსპერტო კომისიის ეს დადგენილება დაადასტურა უმაღ. ეკონომიურმა საბჭომ.

აღნიშნული გადაწყვეტილების გამო, ჩვენმა თანამშრომელმა მიმართა მთელ რიგ სპეციალისტებს, რომლებმაც შემდეგი განაცხადეს:

ინჟ. გ. კოჩინაშვილი

—საექსპერტო კომისიამ ქაღალდის ასაგებ ადგილათ ერთხმად აირჩია სოფ. ჯვარი. შამგონის ვარიანტი წარმოდგენილ იქნა მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა წარმომადგენლების მხრივ.

სოფ. ჯვარს შამგონთან აქვს მთელი რიგი უპირატესობებისა. უმთავრესი მათ შორის შემდეგია: შამგონი ითვლება მალარიის რაიონათ, ჯვარში კი საუცხოვო კლიმატიური პირობებია. შამგონში ძნელია ქარხნისათვის საჭირო ხე-ტყის ნედლი მასალის მოზიდვა; ჯვარი ამ მხრივ გაცილებით ხელსაყრელია. სოფ. ჯვარში უფრო ახლოს მდებარეობს სატყეო ბაზასთან და იქ ნაკლები ხარჯების გაწევით შეიძლება ე. წ. სატყეო ბაზის მოწყობა.

გარდა ამისა შამგონში ქარხანა აგებულ უნდა ყოფილიყო მაღლობზე; ამისათვის კი საჭირო გახდებოდა წყლის საქაჩავი სადგურის აგება, რაც აღმშენებლობას გააძვირებდა.

ინჟ. ვაჩაძე

— საქმე იმაშია, რომ შამგონში ქარხნის აგება ძალიან დიდ ხარჯებს გამოიწვევდა. ჯერ ერთი, ხე-ტყის მასალის მოზიდვა ჯვარიდან შამგონამდე (სხვა მიმართულებით გზა არ არის ტყის მასალის მოსატანად) ჯდება 6 კაპ. თითოეული კუბ. ფუტი.

გარდა ამისა, ხე-ტყე უნდა მიიტანონ მდ. ინგურით. ხოლო ქარხანა ინგურიდან დაშორებული იქნებოდა 2 ნახევარი კილომეტრით: ეს მანძილი სულ აღმართს წარმოადგენს. ამიტომ საჭირო გახდებოდა სპეციალური გზის გაყვანა. ერთი სიტყვით, შამგონში ქარხნის აგება დაჯდებოდა თითქმის 1 მილიონ ნახევრამდე მანეთი მეტი

ინჟ. დობრიაკოვი და კარმანოვი

ინჟ. დობრიაკოვი და კარმანოვი აცხადებენ, რომ ჯვარში ქარხნის აგებას, გარდა მთელ რიგ წმინდა ტეხნიკური ხასიათის უპირატესობებისა, აქვს ერთი დიდი უპირატესობაც: სოფ. ჯვარში გაყვანილ უნდა იქნას ზუგდიდიდან 30 კილომეტრამდე რკინის გზა. ამ გზას განსაკუთრებული გავლენა ექნება სვანეთის კულტურულ ცხოვრების გაუმჯობესებაზე.

დასკვნა: სოფ. ჯვარში, რომელიც მდებარეობს სვანეთის საზღვართან, ქარხნის აგება შლის ახალ პერსპექტივებს ამ კუთხის ასაღორძინებლათ. ამ რაიონთან 7-8 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს ტყვარჩელის საქვანახშირო რაიონი, აქვე მოიპოვება გოგირდის ალმადანის მადნები და ამ ადგილას შესაძლებელი გახდება მდ. ინგურზე ჰიდრო-ელსადგურის აგება.

ამ რაიონში ქაღალდის ქარხნის აგებით, ყველა გაწეული ხარჯები ანაზღაურდება 1-2 წლის განმავლობაში.

ფასების დაკლების შედეგები

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა დაამუშავა მასალები ფასების დაკლების შესახებ ა. წ. პირველ მაისისათვის.

ამ მასალების მიხედვით კოოპერატიულ ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ ფასების დაკლებას ა.-კ. მთავარ ქალაქებში პირველ იანვართან შედარებით პირველ მაისისათვის გამოხატავს შემდეგი ციფრები: ბაქოში ფასები დაკლებულია 5 პროცენტით, თბილისში 8 პროცენტით, ერევანში 8 პროცენტით.

თბილისში სამრეწველო საქონელსა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ფასების დაკლება ერთგვარად არის გატარებული. ბაქოში ფასების დაკლება სამრეწველო საქონელზე გატარებულია 7 პროცენტით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ერთი პროცენტით. ერევანშიდაც ფასების დაკლება სამრეწველო საქონელზე გაცილებით მეტია, ვიდრე სას.-სამ. პროდუქტებზე. ერევანში სამრეწველო საქონელზე ფასები შემცირებულია ათი პროცენტით, ხოლო სას.-სამ. პროდუქტებზე 8 პროცენტით.

სამრეწველო საქონლიდან მანუფაქტურაზე თბილისსა და ბაქოში ფასები შემცირებულია ათი პროცენტით, ერევანში 12 პროცენტით. საკავშირო წარმოების ფეხსაცმელზე ბაქოში ფასები დაკლებულია 7 პროცენტით. თბილისში 10 პროცენტით, ერევანში ფასები უცვლელად არის დატოვებული. ფასების ამაღლებას არც ერთი სახის სამრეწველო საქონელზე ამიერ-კავკასიაში ადგილი არ ქონია. სას.-სამ. პროდუქტებს შორის ფასები მომატებულია ბოსტნეულზე—თბილისში ერთი პროცენტით და ბაქოში 6 პროცენტით.

ყველაზე ინტენსიურად ფასების დაკლება სწარმოებდა მარტის განმავლობაში.

სამრეწველო საქონლის საბიუჯეტო ნაკრებმა მოგვცა ფასების შემცირება თბილისში 9,2 პროცენტით, ერევანში 8 პროცენტით და ბაქოში 3.2 პროცენტით.

სამრეწველო საქონლის ფასების შემცირებამ გავლენა იქონია კერძო ბაზარზედაც, რომელმაც ფასები დაუკლო თბილისსა და ბაქოში 1,5 პროცენტით და ერევანში 3 პროცენტით.

რაც შეეხება კერძო ბაზრის მიერ ფასების დაკლებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე, ამ მხრით ადგილი აქვს საბიუჯეტო ნაკრების პროდუქტებზე ფასების შესამჩნევ გადიდებას.

თბილისში განსაკუთრებული კომისიისა და ბაქოსა და ერევანში შინა-ვაჭრობის კომისარიატის ინსპექტორების მიერ წარმოებული გამოკვლევით დადასტურებულია, რომ ფასების დასაკლებად წარმოებული კამპანია წარმატებით მიმდინარეობს და უნდა ვიფიქროთ, რომ შრომისა და თავდაცვის საბჭოს დირექტივები დანიშნულ ვადისათვის სავსებით იქნება შესრულებული.

ქალაქებში ფასების შემცირების მნიშვნელობას საგრძნობლად ამცირებს ფასების ზრდა სას.-სამეურნეო პროდუქტებზე, რაც უფრო მეტად შესამჩნევია კერძო ბაზარზე.

პერიფერიებში ფასების დაკლება გატარებულია შემდეგი სახით: საქართველოს პატარა ქალაქებში 7 პროცენტით. სასოფლო ადგილებში 6,6 პროცენტით, სომხეთში 7,2 პროცენტით, აზერბეიჯანიდან ცნობები არ არის.

ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატი აღნიშნავს, რომ ფასების დაკლება პერიფერიებში საკმაოდ ვერ არის გატარებული და ადგილი აქვს იმ ფასებისაგან ჩამორჩენას, რომელიც დაწესებულია ვაჭრობის კომისარიატის მიერ.

მასალების ანალიზით გამოირკვა, რომ კოოპერაციის მიერ ფასების დაკლება გატარებულია უმთავრესად გასაცემი ფასების ხარჯზე, დანართი ხარჯების დონე კი ისევ მაღალი რჩება, განსაკუთრებით საქართველოში.

საჭიროდ არის ცნობილი, რომ ფასების დასაკლებად წარმოებულ მუშაობას შემდეგისათვის მიეცეს ასეთი მიმართულება. მთელი მუშაობის სიმძიმე გადატანილ უნდა იქნეს პერიფერიებზე, გაძლიერებულ უნდა იქნეს კოოპერაციის მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებასა და გასაღებაში, უნდა გაძლიერდეს მეთვალყურეობა ვაჭრობის კომისარიატის მიერ დაწესებულ ფასებსა და დანართი ხარჯების გატარებაზე. უნდა მოწესრიგდეს კერძო ბაზარი იმ ადგილებში, სადაც ეს მოწესრიგება არ გამოიწვევს მავნე მოვლენებს (საქონლის გადამალვას, ფარულ სპეკულიაციას და სხვას). განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფასების დასაკლებად წარმოებულ კამპანიას აზერბეიჯანში.

საბინაო მიზნობრივი გადასახადები

თბილისისათვის

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი შეუდგა მუშაობას საბინაო მიზნობრივი გადასახადის გასაწერათ. მიმდინარე წლისათვის საბინაო გადასახადით დაბეგრილი ექნებიან ყველა არა მშრომელი ელემენტები და მათ კმაყოფაზე მყოფი პირები. ამ გადასახადიდან შემოსული თანხები მოხმარდება მხოლოდ მუშათა საბინაო მშენებლობას. გადასახადის გაწერა ხდება არა მშრომელთა შემოსავლიანობის და მათ მიერ დაკავებული ბინის სივრცის მიხედვით. გადასახადის გასაწერ ობიექტთა აღრიცხვა და მიზნობრივი საბინაო გადასახადის აკრეფა დაკისრებული აქვს საფინანსო განყოფილებას, რომელიც უკვე შეუდგა სათანადო მუშაობას.

ა.-კ. ქალაქებისათვის

ა. კ. ცაკმა და სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინეს—მიეცეს ადგილობრივ საბჭოებს უფლება დააწესონ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში მიზნობრივი საბინაო გადასახადი მუშათა საბინაო მშენებლობის საჭიროებისათვის. ამ დადგენილების თანახმად, მიზნობრივი საბინაო გადასახადი უნდა შეეწეროს ყველა პიროვნებას ქალაქებში დაკავებულ საცხოვრებელ მოედნის მიხედვით, მაგრამ იმ პირობით თუ ეს პირები იხდიან სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადს. საშემოსავლო გადასახადიდან აკრეფილი თანხა შედის მუშათა მშენებლობის ადგილობრივ ფონდებში. ამავე დროს ა. კ. რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს უფლება ეძლევათ დააწესონ რესპუბლიკანურ ფონდებში შესატან ანარიცხების ნორმა არა უმეტეს 20 პროც.

რიონჰესი

ინჟ. მელიქ-ფაშაევის ვარიანტის დამტკიცება ეკონომიურ საბჭოში

რიონის ჰიდრო-ელსადგურის საამშენებლო კომიტეტის პირველ სხდომაზე ა.-წ. მაისის 21-ს მოსმენილ იქნა საექსპერტო კომისიის დასკვნა რიონის სახელმწიფო ჰიდრო-ელსადგურის ვარიანტის არჩევის შესახებ. მომხსენებლად გამოვიდნენ პროფ. ს. ა. კუკელ-კრაევსკი და პროფ. ვ. ვასილიევი. კომიტეტმა დაამტკიცა საექსპერტო კომისიის დასკვნა ინჟ. მელიქ-ფაშაევის ვარიანტის დამტკიცების შესახებ. წარმოდგენილი იყო განსახილველად მხოლოდ ორი ვარიანტი პროფ. ლუდინისა და ინჟ. მელიქ-ფაშაევისა. კომისიამ მიიღო რა მხედველობაში, რომ სადგურის აგებას ორივე ვარიანტით ერთი და იგივე თანხა დასჭირდება, (დაახლოებით, ორივე ვარიანტით პირველ ხანებში გათვალისწინებულია 30.000 (ც. ძ.), რომ ინჟ. მელიქ-ფაშაევის ვარიანტით შესაძლებელია სადგურის გაფართოება 60.000 ც. ძალამდე, რაც თითქმის ერთ ნახევარჯერ მეტია პროფ. ლუდინის ვარიანტთან შედარებით და რომ ინჟ. მელიქ-ფაშაევის ვარიანტით სადგურის სავსებით დამთავრებას დასჭირდება 1½ ნახ. მილიონი მანეთი—დაადგინა: 1) რიონის ჰიდრო-ელსადგური უნდა აიგოს ინჟ. მელიქ-ფაშაევის ვარიანტით, 2) ტეხნიკური პროექტი, რომელიც უნდა წარედგინოს განსახილველად ცენტრს, მიზანშეუწონელ ხარჯების თავიდან ასაცილებლად, უნდა დამუშავდეს მხოლოდ ინჟ. მელიქ-ფაშაევის ვარიანტით იმ შესწორებებით დეტალებში, რომლებიც აღნიშნულია კომისიის მიერ.

ეკონომიურმა საბჭომ ა.-წ. მაისის 24-ს სხდომაზე დაამტკიცა რიონის სახელმწიფო ჰიდრო-ელსადგურის საამშენებლო კომიტეტის დადგენილება ინჟ. მელიქ-ფაშაევის ვარიანტის მიღების შესახებ.

ჩაის მეურნეობა

ჩაის მცენარის პირველი შეკრეფა დაიწყო

შუა მაისიდან აჭარისტანის და გურიის ზოგიერთ რაიონებში დაიწყო ჩაის მცენარეთა პირველი შეკრეფა. მოსავალს კარგი პირი უჩანს.

საქც. საზ. „საქართველოს ჩაი“ აწარმოებს სათანადო მზადებას: სწარმოებს ზეანის ჩაის ფაბრიკის კაპიტალური გადაკეთება, ოზურგეთის ფაბრიკის შინაგანი მოწყობა და მიქელ გაბრიელის ჩაის ფაბ. გაფართ. იმ ანგარიშით, რომ, ჩაის მწვანე ფოთლის ფერმენტაცია წელს აყვანილი იქნეს 150 ათას გირვანქამდე ე. ი. ნაყოფიერება გადიდებულ იქნეს 50 პროცენტით; ფართოვდება ჩაის ფოთოლის საჭკნობი განყოფილება იმ მიზნით, რომ შესაძლებელი გახდეს გლეხთა პლანტაციებში მოკრეფილ ფოთლების დამუშავება. მიქელ გაბრიელის ფაბრიკაში დადგმულია მოტორი, რომლის ძალოვნება 30 ცხენის ძალას უდრის.

თბილისელი ექიმების

კონფერენცია

გუშინ საღამოს, სოციალური ჰიგიენის კათედრის დარბაზში (ყოფ. სანიტ. განათლების თეატრი) შესდგა თბილისელი ექიმების საქალაქო კონფერენცია.

კონფერენციაზე ვრცელი საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ჯანსახკომის სანიტარულ-ეპიდემიური განყოფილების გამგე ექ. **ნაზარეტიანი.** მომხსენებელი შეეხო სან.-ეპიდემიური განყოფილების მიერ ჩატარებულ მუშაობას, როგორც ეპიდემიებთან ბრძოლის, ისე სანიტარული ზედამხედველობისა და სანიტარული აღზრდის დარგებში.

დასასრულ მომხსენებელი კითხულობს ჯანსახკომის მიერ სანიტარულ-ეპიდემიური განყოფილებისათვის გამომუშავებულ ხუთ წლიან პერსპექტიულ გეგმას.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ექ. **ზანდუკელმა, ლ. წერეთელმა, ხოსიანმა** და სხ.

კონფერენციას დაესწრო 300-ზე მეტი კაცი. შემდეგი სხდომა შესდგება მომავალ კვირაში.

მეაბრეშუმეობის სადგური

საქართველოს აბრეშუმის მრეწველობის ტრესტი მიმდინარე სეზონისათვის ციხის ძირში აწყობს მეაბრეშუმეობის სადგურს, რომლის დანიშნულებას შეადგენს აბრეშუმის ჭიის საჩვენებელი გამოკვება და აბრეშუმის თესლის დამზადება. იმ სადგურისათვის შეძენილია 100 ათასი თუთის ხის ნერგი.

რადიო-სადგურები

მაზრებში

საქართველოს პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს მიერ შეძენილია 89 რადიო-მიმღები სადგური. აქედან 10 ძალოვანი სადგურია—150 მსმენელისათვის, ხოლო 77 არის სუსტ ძალოვანი კოხსამკითხველოებისათვის. სადგურები საქ. ავტონომიურ რესპუბლიკებსა და მაზრებს შორის შემდეგნაირად იქნა განაწილებული—აჭარისტანს მიეცა 6 რადიო-სადგური, მათ შორის ერთი ძალოვანი, აფხაზეთს შვიდი სადგური, ერთი ძალოვანი, სამხრეთ ოსეთს ექვსი სადგური, აქედან ერთი ძალოვანი. დანარჩენი 68 სადგური განაწილებულია საქართველოს მაზრებს შორის. საშუალოდ თვითეულს მაზრას შეხვდა—4—5 სადგური.

უკვე დადგმულია და მუშაობენ რადიო-მიმღები სადგურები შემდეგ ადგილებში—ოზურგეთის, ახალსენაკის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჩალოს მაზრებში და ქ. ფოთში. დანარჩენ მაზრებში ამჟამად ეწყობა.

მუშათა ცხოვრება

რა სთქვა ყრილობამ

რკინის გზის თბილისის კვანძის პროფესიონალურ კავშირის მეოთხე ყრილობა 23 მაისს დამთავრდა. ყრილობის მუშაობა ერთობ ნაყოფიერი გამოდგა. ყრილობამ ნათლად დაგვანახვა, რომ დღეს რკინის გზის მუშა-მოსამსახურეები უკვე ჩაბმულნი არიან სარკინიგზო აღმშენებლობაში. ყრილობის დელეგატები სალი კრიტიკით და მიუკერძოებლად უთითებდენ საუბნო კომიტეტს, რკ. გზ. გამგეობას, შრომის ინსპექციის და დამზღვევ სალაროს მათი მუშაობის მთელ რიგ ნაკლულევანობაზე. საშუალოდ თითო მოხსენების ირგვლივ კამათში 120—150 დელეგატი გამოვიდა.

აქვს თუ არა საუბნო კომიტეტს და საერთოდ რკინის გზას მიღწევები? რასაკვირველია აქვს. კულტმუშაობა საგრძნობლად გაცხოველდა, გაფართოვდა კლუბების ქსელი, სადაც მუშების 80 პროცენტია ჩაბმული, გაუმჯობესდა სატარიფო-ეკონომიური მუშაობა.

მუშაობაში იყო ნაკლიც, რაც სამართლიანად აღინიშნა დელეგატებმა. რკინის გზებზე არსებობს ბიუროკრატიზმი, პროტექცია, ზოგან მუშებს დროზე არ ეძლევათ სპეცტანსაცმელი, ზოგიერთი ადმინისტრატორი ექსპლოატაციას უწევს მუშებს, არ ტარდება ცხოვრებაში 42 საათის დასვენება. ზოგან მოდუნებულია კულტ მუშაობა, არ ეწყობა ექსკურსიები, არსებობს ერთნაირ თანრიგში მყოფ მუშების შორის ჯამაგირში განსხვავება, ზოგჯერ უმიზეზოთ ხსნის ადმინისტრაცია რომელიმე მუშა-მოსამსახურეს და სხვ.

ამ ნაკლულოვანებათა გამოსასწორებლად ყრილობის მიერ მიღებულ იქნა მთელი რიგი დადგენილებები და პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა ცხოვრებაში გატარებას თითეულ შეგნებულმა რკინის გზელმა ხელი უნდა შეუწყოს.

ჯ.—ბ.

როგორ გავაფართოვოთ თბილისის საყუდი

(საყუდის საწარმოო თათბირის გამო)

თბილისის საყუდში დიდი სივიწროვეა, ამის გამო ფერხდება ორთქლმავლების თავის დროზე მიღება—გამოშვება. ამ გარემოებას—კი დიდი მნიშვნელობა აქვს მატარებლების წესიერი მოძრაობისათვის. რამდენჯერმე დაინიშნა საგანგებო კომისია საყუდში სივიწროვის თავიდან ასაცილებლად, საკითხიც დაისვა საყუდის სხვა ადგილას გადატანის შესახებ. მაგრამ საყუდის სხვაგან გადატანა ეს წლების საქმეა. მდგომარეობა დაყოვნებას არ ითმენს. ეხლა უნდა იქნეს მიღებული ზომები. ამის შესაძლებლობა არის. ერთი ამ შესაძლებლობათაგანი უკვე აღნიშნა კომისიამ. ეს არის იქვე სახანძრო ფიცრის საწყობის ადგილზე და არსებულ გზების გაგრძელება, რაც მოგვცემს 10—15 ორთქლმავლის ადგილს. მაგრამ სივიწროვეს ეს სავსებით ვერ უშველის.

არის კიდევ ერთი გზა, რომელიც მეტად საყურადღებოა. საყუდის შუა ადგილას გაჩხირულია საყუდის კანტორა. კანტორის სხვა ადგილას გადატანით საყუდში კიდევ შეიძლება ოციოდე ორთქლმავლის მოთავსება.

უკანასკნელ შემთხვევაში ახალი საყუდი, რომელსაც ეხლა გასავალი აქვს მხოლოდ ერთ მხარეზე და რაც იწვევს დიდ დაბრკოლებას, შეუერთდება ძველ საყუდს და იქ არსებულ ორთქლმავლების მოსაბრუნებელ მანქანას.

ამ გარემოებას ექნება მეტის მეტად დიდი მნიშვნელობა. გაადვილდება ახალი საყუდიდან ორთქლმავლების ორივე მხრით მიღება-გამოშვება. ადგილობრივმა საწარმოო თათბირმა ამ საკითხს უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება.

ახალი კანტორის აგება შეიძლება, იქვე გვერდზე ელექტრო სადგურის წინ სადაც თავისუფალი ადგილია. ეხლანდელი კანტორის შენობის მასალა იქ გამოდგება. ჩქარაც მოეწყობა ეს საქმე თუ მოვინდომებთ ამით საყუდიც გაფართოვდება და კანტორაც მოეწყობა უფრო შესაფერ ადგილას.

ძველი მუშა.

ჩვენი სალარო

განათლების მუშაკთა კავშირის მე-3 ადგილკომთან არსებულ საურთიერთო დამხმარე სალაროს წევრებად ირიცხებიან მე-10, მე-7 და მე-54 შრომის სკოლების თანამშრომელნი.

სალარომ დამოუკიდებლად მოქმედება დაიწყო წარსული 1926 წლის 13 ოქტომბრიდან. ამ რიცხვიდანაც იგი გამოყოფილ იქნა განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალურ სალაროდან.

სალაროს დასაწყისში ჰქონდა 17 მ. 20 კ. ნაღდი ფული, 345 მანეთის თამასუქები, 258 მ. 98 კაპ. ძველი ვალდებულებანი. ამას გარდა ამ ხნის განმავლობაში 1-ლ მაისამდე სალაროში შემოსულა წევრთაგან 1 პროც. ანარიცხების სახით (ჯამაგირიდან) — 304 მ. 62 კ., სულ კი შემოსავალი უდრიდა—925 მ. 80 კ.

ამავე ხნის განმავლობაში სალაროს ჰქონია გასავალი: სესხად გაცემული წევრებზე—831 მ. 50 კ., ხოლო საკანცელარიო და სალაროს ბიუროს წევრთა შესანახი ხარჯი ყოფილა 87 მანეთი და 54 კაპ. მთლად კი გასავალი ყოფილა იმავე დროის განმავლობაში — 919 მ. 04 კაპ.

ამ რიგად პირველ მაისისათვის სალაროში დარჩენილია ნაღდად 6 მ. 76 კაპ.

შიდარა

საყურადღებო წვრილმანი

— **პასუხი მოსთხოვეთ.** სალიანდაგო სამსახურის მეშვიდე უბნის ანგარიშში მსახურობს ვინმე ვლ. ვალიშვილი, რომელიც უმიზეზოდ შეურაცყოფას აყენებს მუშებს.

მაგ. 18 მაისს ჯამაგირის დარიგების დროს ფულის დარიგებაში მეარტელეს ეხმარებოდა, სადაც უმიზეზოთ ლანძღვა-გინება დაუწყო ამავე უბნის მეოთხე სოსტატის მეტბილეს, რომელსაც საჯამაგირო წიგნაკი თავზე დაახია და გინებით გაისტუმრა.

ბ. ბ.

— **რისთვის არის ელმშენი?** იმისთვის, რომ ილაპარაკო საჭიროების დროს. წიფა - მოლითის შუა მდებარე საგუშაგოების ელმშენებს არ ეხებათ ეს. ისინი დგანან იმიტომ, რომ ამ ელმშენით არ ილაპარაკონ. რამდენი ხანია უკვე რაც დაზიანებული არიან ისინი, მაგრამ შ—2 ყურებსაც არ იბერტყავს.

რა ენაღვლება. როცა ელმშენი არ მუშაობს მისი ყურები უფრო მოსვენებულია ალბად. საგუშაგოები კი... განა ასეთ წვრილმანზე ღირს ლაპარაკი?!

მარიაშვილი.

— „**თვალად არ იყო ძმარიო, შიგ ჩაურიეს წყალიო**“. ეს ანდაზა ზედგამოჭრილია მიტინგის ქუჩაზე. აქ გამოიყვანეს ზაჰესის შუქი, მაგრამ ბოძები შორი-შორს დადგეს და სანათურებიც სუსტ - ძალიანია. ეს ქუჩა საერთოთ უყურადღებოდაა მიგდებული. აქ არ არის გაყვანილი წყალი, მოედანი გაუსწორებელია, ქუჩა მოუკირწყლავია და სხვ. უბანში კი მხოლოდ მუშები ცხოვრობენ. აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილებამ ჩვენს ქუჩასაც რომ კეთილი თვალით გადმოხედოს ურიგო არ იქნება. დროა უკვე.

მე-რე.

— **უნდა მოწესრიგდეს.** მე-9 ამბულატორიაში გაგზავნილი ექიმები ხუთ ავადმყოფზე მეტს არ სინჯავენ, საშუალოდ კი დღეში 10—15 ავადმყოფია გასასინჯი.

ჯანმრთელობის განყოფილება რას იტყვის?

გრ. სიხარულიძე.

— **რატომაა ფასების სიჭრელე?** 17 მაისს სადგ. კარელში იდგა [illegible] ფარდული. პაპიროსი „საბჭოთა“ იყიდებოდა 26 კაპ.

21 მაისს კი სადგ. გურჯაანის „ზაკტპოში“ ღირდა იგივე პაპიროსი 25 კაპ. რატომაა სხვადასხვა სადგურებში ფასების სიჭრელე?

მუშკორი შალი.

— **როგორ „მოაწყვეს“** მე-33 შრომის სკოლაში სწავლის დასაწყისში მოაწყვეს ვაჭარი ჯაფარიძის ორი შვილი, რომელთა სწავლის ფულს ჯაფარიძე, როგორც ამბობენ; არ იხდის. როგორ მოაწყო ჯაფარიძემ ერთად ორი შვილის მიღება მე-33 შრომის სკოლაში? საჭიროა ამ სასწავლო წელში გამოძიებულ იქნეს ეს საქმე. შემდეგში რომ ადგილი არ ექნეს ასეთ „მოწყობას“. დამნაშავენი პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცემულნი.

ამო.

— **ფარდული მუშებს აცდენს.** რკინისგზის მთავარ სახელოსნოებთან აგეს „ზაკტპო“-ს ფარდული. სახელოსნოს მუშები ძალიან ეტანებიან მას. იყო შემთხვევა, როდესაც რამოდენიმე მუშას არც კი უნახავს მთელი დღის განმავლობაში თავისი დაზგა, იჯდენ ფარდულში და სვამდენ. მთავარ სახელოსნოს მუშებს არც საყუდის მუშები ჩამორჩებიან. საჭიროა სათანადო ზომების მიღება. ფარდულის ვაჭრობამ არ უნდა გააცდინოს სახელოსნოს მუშები.

მუშკორი—თბილისელი

ჩვენი მიწერ-მოწერა

— **ალიოლს.** „ასეთი ადგილკომი არ გამოგვადგება“ არ დაიბეჭდება, წვრილმანია.
— **ი. ზ. სამტრედია.** წერილი საკრებულოს შესახებ მოათავსეთ ადგილობრივ კედლის გაზეთში.
— **მუშა-ექსკურსანტს.** ექსკურსიებზე ზაჰესში ბევრი დაიწერა. არ დაიბეჭდება.
— **მნახველს.** „ხულიგნები ჩავარდენ“, არ დაიბეჭდება.
— **ჯიგას.** „ასეთი უნდა თავმჯდომარე“ არ დაიბეჭდება. წვრილმანია.
— **თიოკოლს.** „ასპროცენტიანი ბიუროკრატი“ არ დაიბეჭდება.
— **გ. გ.-ს.** „პატიოსანი ადმინისტრატორი“ არ დაიბეჭდება.
— **რ. არზუმანოვს.** პროთკომის შესახებ წერილი არ დაიბეჭდება. მოათავსეთ პოლიტგანყოფილების კედლის გაზეთში.

ნათესების მდგომარეობა

15 მაისისათვის

ამიერ - კავკასის სტატისტიკურ ცენტრალურ სამმართველოს ცნობებით, ნათესების მდგომარეობა 15 მაისისთვის შემდეგ სურათს იძლევა:

მაისის პირველ ნახევარში ხშირი იყო ღრუბლიანი ამინდი და წვიმები საქართველოს ყველა კუთხეებში, გარდა აჭარისტანისა და გორის მაზრისა. კლიმატიურმა პირობებმა ზოგიერთ ადგილებში შეაჩერა მუშაობა მინდვრათ და ჩაის ფოთლის შეკრება. სითბოს ნაკლებობამ განსაკუთრებით იმოქმედა თამბაქოს პლანტაციებზე. შეაჩერა თამბაქოს ზრდა.

ნათესების მდგომარეობა საქართველოში ასეთია: ხორბალი — 3,2 ნიშანი, შემოდგომის ქერი — 3,2, გაზაფხულის ხორბალი 2,9, გაზაფხულის ქერი — 2,9, სიმინდი — 3,2 და მთავარი პურეული — 3,2. მთავარი პურეულის მდგომარეობა წელს ისეთივეა, როგორიც იყო 1926 წელში, სიმინდის მდგომარეობა კი წელს უკეთესია.

ცალკე მაზრების მიხედვით მთავარი პურეულის მდგომარეობა ხასიათდება: ახალქალაქის მაზრაში — 2,7, ახალციხის — 2,8, ბორჩალოს —3,1, გორის — 2,9, დუშეთის — 2,5, თელავის — 3,9, თბილისის — 3,4, სამხრეთ - ოსეთში — 2,8, ზუგდიდის მაზრაში — 4,0, ქუთაისის — 3,5, ლეჩხუმის — 3,0, ოზურგეთის 2,8, რაჭის — 2,0, სენაკის — 2,9 და შორაპნის 2,5.

ვენახების მდგომარეობა საშუალოა — 3,0 გორის, დუშეთის, ოზურგეთის, ქუთაისის და სენაკის მაზრებში; საშუალოზე უკეთესია თელავის მაზრაში — 4,0.

ხეხილის მდგომარეობა საშუალოა (3,0) ახალქალაქის, ახალციხის, დუშეთის და ოზურგეთის მაზრებში და საშუალოზე უკეთესი (3,5—4,0) გორის და ზუგდიდის მაზრებში.

საერთოდ მიმდინარე სასოფლო - სამეურნეო წლის დასაწყისი სასოფლო - სამეურნეო კულტურების მიმართ უნდა ჩაითვალოს საშუალოთ.

შირაქის ნავთი

ამ დღეებში შირაქიდან დაბრუნდა ს. მ. უ. ს. მიერ შირაქის ნავთიანი ადგილების დასათვალიერებლათ მივლინებული სამთო ზედამხედველობის უფროსი ინჟ. ა. კანდელაკი და კ. კვესაძე. მათი გამგზავრების მიზანი იყო იტალო-ბელგიური ნავთის საზოგადოებისათვის გადაცემული საკონცესიო ტერიტორიის დათვალიერება და კონცესიონერების მიერ ჩატარებული სამუშაოების შემოწმება.

აღნიშნული კონცესია გაიცა 1924 წელში. კონცესიონერის განკარგულებაში არის 375 დესეტინა ნავთიანი ადგილი, სადაც მათ უნდა მოახდინონ კვლევა - ძიება; როდესაც ნავთი აღმოჩნდება შემდეგ საკონცესიო ტერიტორია გადავა მათ განკარგულებაში 30 წლით.

ამჟამად სამუშაოთა ადგილზე უკვე აღმართულია ჭაბურღილის ამოსაღები კოშკი, მოზიდულია მუშაობის საწარმოებლათ საჭირო მოწყობილობები და აწარმოებენ დიდი საბურღავი დაზგისა და მანქანის მოწყობას. საკონცესიო საზოგადოების მთავარი რწმუნებული — ინჟ. როდრიგეცი გამგზავრებულია საზღვარ-გარეთ სამუშაოების მიმდინარეობასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლათ.

კვლევა - ძიება უნდა დასრულდეს სამი წლის განმავლობაში; შემდეგ კონცესიონერს მიეცემა მიწის განსაზღვრული ნაკვეთი, რომელზედაც იგი დაიწყებს ნავთის ამოღებას, ხოლო დანარჩენი გამოკვლეული ტერიტორია გადავა საქართველოს მთავრობის განკარგულებაში.

პროფკავშირებში

ჩვენი რკინისგზელები საზღვარგარეთ

რკინისგზის პროფკავშირის ცკას გადაწყვეტილი აქვს მიმდინარე ზაფხულში გაგზავნოს საზღვარგარეთ რკინისგზის ფიზკულტურელები ამ დარგში ცოდნის გასაღრმავებლად. ამ მიზნით ცკამ მიმართა ყველა საგზაო კომიტეტებს, დაეყენებინა ამორჩეული რკინისგზელები საზღვარგარეთ გასაგზავნად და სიები წარმოადგინონ ცკაში. გაგზავნილთა მივლინების ხარჯები ეკისრებათ გამგზავნელ ორგანიზაციებს. გაგზავნილი პირები აღჭურვილი უნდა იყვნენ სათანადო საზოგადოებრივი და ტეხნიკური ცოდნით. ტეხნიკური ცოდნისათვის განსაზღვრულია შემდეგი ნორმები:

მამაკაცებისათვის:
რბენა— 100 მეტრი—13 წამი,
რბენა— 400 მეტრი—57 წამი,
რბენა—1500 მეტრი— 4 წუთი, 40 წამი.
რბენა—5000 მეტრი—17 წუთი, 30 წამი.
ხტომა: სიგრძეზე—6 მეტრი.
ხტომა: სიმაღლეზე—1 მეტრი —60 სანტიმ.
ხტომა: ბორჯღით—3 მეტრი.

დედაკაცებისათვის:
რბენა:—60 მეტრი—8, 5 წამი.
რბენა:—100 მეტრი —13, 5 წამი.
რბენა:—900 მეტრი—2 წუთი, 35 წამი.
ხტომა: სიგრძეზე—4 მეტრი, 40 სანტიმ.
ხტომა: სიმაღლეზე—1 მეტრი, 35 სანტიმ.

ამას გარდა, ფიზკულტურელებმა უნდა იცოდნენ დისკოს ტყორცნა და ისრის სროლა. მამაკაცებისათვის სავალდებულოა ფეხბურთის, მსუბუქი ატლეტიკის, ბასკეტბოლის, ცურვის და ტენისის ცოდნა. ქალებისათვის კი—ბასკეტბოლის, მსუბუქი ატლეტიკის და ცურვის ცოდნა. მოგზაურები გაიგზავნებიან გერმანიაში ივნისის შუა რიცხვებში.

— **თათბირი.:** სამტრედიის საუბნო პროფკავშირის დადგენილებით აქვს მოწვეული უბნის საწარმოო კომისიების თათბირი. თათბირი შედგება ივნისის პირველ რიცხვებში.

— **ბაღის შეკეთება.** ამჟამად სწარმოებს ამხ. ორჯონიკიძის სახელობის მუშათა კლუბისა და ბაღის შეკეთება. ბაღში მოწყობილი იქნება ტირი, საზაფხულო სამკითხველოს შენობა და სხვა გასართობები. ამ მიზნით თბილისის საუბნო კომიტეტს აქვს გადადებული 10.000 მანეთი.

— **სანარდო სისტემა.** ამჟამად სამტრედიის საუბნო კომიტეტი აწარმოებს მუშაობას სანარდო სისტემის გასატარებლად, სალიანდაგო და წევის დარგებში.

— **დახმარება:** ხაშურის საუბნო პროფკავშირმა გაიღო 300 მანეთი ფიზკულტურის წრეების საჭიროებისათვის.

— **სამტრედიის** საუბნო კავშირმა შუამდგომლობა აღძრა საგზაო კომისიის წინაშე, რათა სამტრედიის ერთ-ერთ შვიდწლედთან მოეწყოს საშუალო ტიპის სკოლა—ცხრაწლედი —აგრონომიული, ან პედაგოგიური განხრით.

— **დახმარება პიონერებს.** ფოთის, სენაკის, სამტრედიის და ქუთაისის რკინისგზის სადგურებთან არსებულ პიონერთა ორგანიზაციებს სამტრედიის საუბნო პროფკავშირმა გადასცა დახმარების სახით 160 მანეთი.

— **სიმულიაციის წინააღმდეგ.** თბილისის უბნის რკინისგზის სალარომ დაადგინა—გააცხოველოს ბრძოლა სიმულიაციასთან, ვინაიდან ამ ბოლო ხანებში იგი ძლიერ გავრცელდა.

— **ახალი ინტერნატი.** თბილისის საუბნო დამზღვევ სალაროს გადაწყვეტილი აქვს ხაზიდან ჩამოსულ ავადმყოფებისათვის მოაწყოს ახალი ინტერნატი.

— **ბინები.** თბილისის საუბნო კომიტეტმა მიმართა დამზღვევ სალაროს დაუყოვნებლივ შეუდგეს რკინისგზელთათვის ბინების მოწყობას წყალტუბოსა და აბასტუმნის აბანოებზე.

— **ტალახის სამკურნალო.** თბილისის რკინისგზის სავადმყოფოებთან ამჟამად სწარმოებს ენერგიული მუშაობა ტალახის სამკურნალოს მოსაწყობათ.

ქრონიკა

ამერიკული ფირმის წარმომადგენლის ჩამოსვლა

25 მაისს სტამბოლიდან თბილისში ჩამოვიდა ამერიკული ტექნიკური ფირმის „ჩემბლენის" წარმომადგენელი აღმოსავლეთში **ჩიბა ზადე მუსტაფა-ბეი.**

ჩამოსვლის მიზანია—საქართველოს აბრეშუმის შესწავლა ფირმის საჭიროებისათვის.

კრედიტი მუშა-მოსამსახურეთათვის

ტყის მრეწველობის ტრესტმა 23 მაისიდან დაიწყო კრედიტის გაცემა მუშა-მოსამსახურეებისათვის. მუშა-მოსამსახურეებს ოთხთვიანი კრედიტის სახით მიეცემათ ავეჯეულობა. კრედიტის შესაძენად საჭიროა დაწესებულებამ წარუდგინოს ტყის მრეწველობის ტრესტს თამასუქები ტრესტიდან გატანილ საქონლის უზრუნველსაყოფად. პირველად შეტანილ უნდა იქნეს ღირებულობის ოცი პროცენტი, ხოლო 80 პროცენტი გადახდება ნაწილობრივად ოთხი თვის განმავლობაში. ავეჯეულობის გაცემა ინდივიდუალურად არ მოხდება.

ბინები მუშებისათვის

სახკომსაბჭოს დადგენილებით, ბორჯომსა და ბაკურიანში აგებულ უნდა იქნას ბინები ქარხნების მუშა-მოსამსახურეთათვის. ამ საქმისათვის გადადებულ იქნა 57.000 მანეთი. ბინების ასაგებ ადგილების დასათვალიერებლად დანიშნულია სატყეო ტრესტის სპეციალური კომისია.

ჩაი ამიერ-კავკასიისათვის

ა. კ. კოოპერატივთა კავშირმა მიმართა „ცენტროსოიუზს" განცხადებით იმის შესახებ, რომ გადიდებულ იქნეს ა. კ. კოოპერაციისათვის მისაწოდებელი ჩაის ნორმა. მეოთხე კვარტალისათვის (ივლის-სექტემბერი) ა. კ. კოოპერატივთა კავშირის მიერ ა. კ. კოოპერაციისათვის გამოთხოვილია 88.000 კილო ჩაი.

ბამბის ნათესები ამიერ-კავკასიაში

ა. კ. მებამბეობის კომიტეტის ცნობებით, 21 მაისისათვის აზერბეიჯანში ბამბით დათესილი იყო 77.383 დესეტინა. სომხეთში დათესილი იყო 11.996 დესეტინა, ამავე რიცხვისათვის საქართველოში ბამბით დათესილი იყო 4.437 დესეტინა.

თბილისის აღმასკომში

◆ **აღბულაღის სახ.-სამ. კომუნას** სესხად მიეცა 8.150 მანეთი.

◆ **ტრამვაის ახალი პარკი.** თბ. აღმასკომმა გადასწყვიტა ორთაჭალაში მოაწყოს ტრამვაის ახალი პარკი.

◆ **ახალი წყალსაზომების** შესაძენად აღმასკომმა გადასდო 11.200 მანეთი.

◆ **ტრამვაის ახალი ხაზი.** წელს ნაძალადევში გაყვანილი იქნება ტრამვაის ახალი ხაზი.

◆ **ყველის ქარხანა.** ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება წალკაში აგებს ყველის დამამზადებელ ქარხანას.

◆ **წყალსადენი სოფლად.** სოფ. გოლოვანში (მანგლისის თემი) წყალსადენის გასაყვანათ გადადებულია 1.018 მანეთი.

◆ **გამოკვლევა.** ჯანმრთელობის განყოფილება ამ დღეებში შეუდგება თბ. სამკურნალო დაწესებულებების გამოკვლევას.

ჯანსახკომში

◆ **მოძრავი კბილის სამკურნალო კაბინეტები.** ჯანსახკომი მაზრებში დასაგზავნათ აწყობს მოძრავ კბილის სამკურნალო კაბინეტებს.

◆ **ვენერიულ სნეულებათ ბრძოლის** მიზნით ჯანსახკომმა გადასწყვიტა მაზრის საავადმყოფოებთან და კლუბებში მოაწყოს სანიტ-გამოფენები და ლექცია-საუბრების კითხვა.

შრომის კომისარიატში

◆ **უმუშევრობასთან** ბრძოლის გაძლიერების მიზნით მთელ რესპუბლიკაში შრ. კომისარიატი წელს აწყობს მასიურ საზოგადო სამუშაოებს.

◆ **შრომის დაცვა.** შრომის კომისარიატმა დაავალა შრომის ინსპექტორებს სისტემატიურად მოახდინონ წარმოება-დაწესებულებების გამოკვლევა.

სხვადასხვა

◆ **ბეჭდვითი სიტყვის გამოფენა** დაიხურა გუშინ.

◆ **პოლიტ.-განათლების სამმართველო** ამ ბოლო რიცხვებში იწვევს მოძრავ სკოლების ლექტორთა რესპუბლიკანურ თათბირს.

— **ამხანაგობა „ქართული წიგნი".** ამხანაგობამ გამოუშვა ილია ჭავჭავაძის ნაწერების სრული კრებული მეოთხე ტომი. ამ ტომში მოთავსებულია ილიას წერილები ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ.

— დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა გასასყიდად შექსპირის „მეფე ლირი", ივანე მაჩაბლისა და ილია ჭავჭავაძის ნათარგმნი.

კრებები და მოხსენებები

◆ **ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებაში.** ხუთშაბათს, 26 მაისს 1927 წ. საღამოს 8 საათზე სოციალურ ჰიგიენის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქ., № 12), შესდგება საზოგადოების მორიგი ჩვეულებრივი კრება. მოხსენებენ: პროფ. გ. ამბარაშვილი—საშვილოსნოს დანამატების ანთებითი დაავადების წამლობა დიათერმიით. დოც. ს. ყიფშიძე და მკურნალი ლაბაძე—წმინდა მოტორული აფაზიის შემთხვევები ავადმყოფების დემონსტრაციით. მიმდინარე საკითხებში—საზოგადოებასთან ნევროპათოლოგიის და ფსიქიატრიის სექციის გამოყოფა.

◆ **ლექცია.** 26 მაისს, წითელი არმიისა და ფლოტის კლუბის დარბაზში ჰიდროგეოლოგი გ. მურადიანი წაიკითხავს ლექციას მიწის წარმოშობისა, ვულკანიზმის მიზეზებისა და მიწისძვრების შესახებ.

შემთხვევები

მკვლელობა

24 მაისს, საღამოს 8 საათზე, სურფ-კარაპეტის ხევში მდებარე (№ 15), სახლის წინ იმავე სახლში მცხოვრებმა პეტრე იერემაშვილმა დანით მოკლა მოქ. გიორგი ღურღლიშვილი. შემთხვევის ადგილას გამოცხადდა მორიგე გამომძიებელი ანდრიაძე და სისხ. სამ. თანამშრომლები. მოკლულის გვამი გადაიგზავნა 1-ლ საავადმყოფოს პროზექტურაში. წინასწარ გამოძიების დროს შეიპყრეს მკვლელობის ხელის შემწყობნი მატია დათუნაშვილი და სანდრო კალატოზოვი. მკვლელმა მოასწრო დამალვა.

ბოროტმოქმედება საბინაო ამხანაგობებში

ორი თვეა, რაც საბინაო კავშირი შეუდგა საბინაო - საიჯარო ამხანაგობების გამოკვლევას. ჯერ - ჯერობით გამოკვლეულია 150 ამხანაგობა.

საბინაო კავშირში მიღებული ცნობებით, სჩანს, რომ საბინაო - ამხანაგობებში ადგილი აქვს ფულების მითვისებას.

გამოირკვა, რომ დანაკლისი უდრის 1.200 მანეთს.

გამოკვლევის დასრულების შემდეგ, მიღებული იქნება გადამჭრელი ზომები ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით 24 მაისს ლენინის ქ., № 26, ანდრო გოგოლაძის ბინიდან მოიპარეს 200 მანეთის ნივთები.

◆ **თავის მოწამვლა.** 25 მაისს ტარიელოვის შესახვ., № 8, რომანიულ ნიადაგზე იოდით თავი მოიწამლა ნადია მარკოვამ; რომელიც გადაიგზავნა საავადმყოფოში.

◆ **სასტუმრო „გრანდ-ოტელში"** გაქურდეს ვარვარა ივანოვას ოთახი.

◆ **სამხედრო კოოპერატივიდან** 24 მაისს ღამით მოიპარეს 6 ცალი ზეწარი და სხ. საქონელი.

◆ **სარდაფის გაქურდვა.** 24 მაისს მაისურაძის ქ., № 6, გაქურდეს გრიგოლ ხეჩუმოვის ღვინის სარდაფი.

◆ **სასადილო „მეფისტო"-ში** 23-24 მაისს ღამით მოიპარეს 85 მ. ნივთები.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით 24 მაისს კუმისის ქ., № 8, გაქურდეს ერასტი რუხაძის ბინა.

◆ **რკინის გზის გადაღმა** 24 მაისს გაქურდეს სტეფანე აკოფოვის სავაჭრო. წაიღეს 170 მ. ნივთები.

◆ **ავტომობილიდან** სხვადასხვა ნივთების მოპარვისათვის შეიპყრეს ადამ აბაკიანცი.

◆ **მცირეწლოვანი დამნაშავე.** 24 მაისს ქუჩის ლოთობისათვის დააპატიმრეს მცირე-წლოვანი ლიბარიტ სეროფიანცი.

◆ **ბოქლომის აგლეჯის** საშუალებით 24 მაისს პლეხ. გამზირი, № 109, გაქურდეს ივანე პატიტოვის ბინა. წაიღეს 300 მ. ნივთები.

◆ **პლეხანოვის სახელობის** მუშათა კლუბიდან 24 მაისს მოიპარეს ერთი ველოსიპედი.

◆ **ამავე დღეს** კოოპერატივის ქ., № 17, ალექსანდრა კოსულოვას მოპარეს ეზოში გაფენილი ხალიჩა.

სასამართლო

საზიზღარი მკვლელობა

ამ რამოდენიმე ხნის წინად სოფ. ახმეტაში (თელავის მაზრა) აღმოჩენილი იქნა მოკლული ქალის **მინადორა სალავიოვას (35 წლისა)** გვამი.

ადგილობრივი დათვალიერებით გამოირკვა რომ მკვლელობა მომხდარა თვით სალავიოვას ოჯახში.

შემთხვევის ადგილზე გამოცხადდნენ მილიცია და სასამართლოს წარმომადგენლები.

საექიმო შემოწმებით. ადგილი ჰქონია საზიზღარ მკვლელობას: ბოროტმოქმედს ჯერ უცემია ქალისათვის, დაუსისხლიანებია პირის სახე. უთრევია თმით და შემდეგ მახვილი იარაღით ტანზე მიუყენებია 30-მდე ჭრილობა. ნახევრად ცოცხალ - მკვდარ ქალისათვის თოკი წაუჭერებია ყელზე და პირი გამოუვსია გაზეთის ქაღალდით. ასეთი წვალების შემდეგ ივი დანით დაუკლავს.

საგამომძიებლო ორგანო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მკვლელობა ჩადენილია მოკლულის მეზობლის **ფირუზ სარქისოვის** (52 წლისა) მიერ.

მაშინვე სარქისოვი დააპატიმრეს, მაგრამ ის არ გამოტყდა დანაშაულობაში.

მეზობლები დაახლოებით 60 კაცამდე გადაჭრით ამბობდენ, რომ მკვლელობა ჩადენილია სარქისოვის მიერ.

კვლევა - ძიებით გამოირკვა, რომ რამოდენიმე წლის განმავლობაში სარქისოვს სქესობრივი კავშირი ჰქონია სალავიოვას ქალთან ძალდატანებით. ქალს ქმარი და შვილებიც ჰყავდა. სალავიოვა ემუდარებოდა სარქისოვს ჩამოშორებოდა მას:

— „მეზობლებმა იციან ჩვენი ურთიერთობის შესახებ, ქმარი და შვილები გაიგებენ და დამანებე თავიო".

სარქისოვი უპასუხებდა:

— „თუ ჩემთან კავშირს გასწყვეტ, ჯერ შენ მოგკლავ და შემდეგ — შენ ქმარსა და შვილებსაცო".

გავიდა ხანი. სალავიოვას ქალი ჩამოშორდა სარქისოვს. ამით ეს უკანასკნელი გაბრაზდა და გადასწყვიტა შური ეძია ქალზე.

არ გასულა დიდი ხანი, რომ განზრახვა სისრულეში მოიყვანა.

დადასტურდა ის გარემოება, რომ სარქისოვმა სალავიოვას ქალი გოჭების აყვირების საშუალებით, ღამით მიიტყუილა სალორესთან და მოკლა.

გარდა ამისა, სარქისოვმა გამსახლში ყოფნის დროს მოისყიდა პატიმარი **ყაზირ ამირხანაშვილი** (18 წლისა), ისარგებლა მისი გაუნათლებლობით და დაავალა მას სალავიოვას მკვლელობა აეღო თავის თავზე. ის ამირხანაშვილს ელაპარაკებოდა:

— ნუ გეშინია, მკვლელობისათვის სასჯელი მცირეა და ვამსახლიდან ადრე გაგანთავისუფლებენო.

ამირხანაშვილი დასთანხმდა და განუცხადა გამომძიებელს:

— მე მოვკალი სალავიოვას ქალი და ღირსი ვარ სასჯელისა.

გამოძიებით გამოირკვა, რომ ყოველივე ეს სარქისოვის ხრიკები იყო.

გლეხების თხოვნით, საქმე ამ დღეებში გაირჩევა ადგილობრივათ.

ელექტრონის მოწყობინებელ სამმართველოს თანამშრომელთა პროცესი.

გუშინ სასამართლოს სხდომა არ შემდგარა, რადგან ექსპერტებმა ვერ მოასწრეს ყველა კითხვაზე პასუხის დამზადება.

დღეს დილის სხდომაზე მოსმენილი იქნება ბუღალტერ - ექსპერტების დასკვნა.

ვატმან ვართანოვის საქმე

გუშინ. საღამოს 6 საათზე, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლო ამხ. **ბურკაძის** თავმჯდომარეობით და პროკურორ **ლ. ჯანჯღავას** მონაწილეობით ამხ. მიხა ჩოდრიშვილის სახელობის კლუბში, შეუდგა ვატმან **სერგო ვართანოვის** საქმის გარჩევას.

ვართანოვს ბრალდება სამსახურისადმი გულგრილობა, რასაც შედეგათ მოჰყვა უბედური შემთხვევა.

გუშინ სწარმოებდა მოწმეების დაკითხვა.

გასამართლება საზოგადო - საჩვენებელი ხასიათისაა.

ტრაგიკულად დასრულებული ქეიფი

როგორც ვწერდით, მოქ. **სერგო ცნობილაძეს** ბრალდებოდა სიმთვრალის დროს ამხანაგის— **პოლიკარპე არსენიძის** მოკვლა.

დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ქუთაისში გაარჩია ცნობილაძის საქმე და სისხლის სამართლის დანაშაულობის უქონლობის გამო—საქმე მოსპო.

პროკურორი **დევდარიანი** არ დაეთანხმა განაჩენს და საკასაციო პროტესტი შეიტანა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, სადაც საქმე გაირჩა გუშინ ამხ. **შომახიას** თავმჯდომარეობით.

უზენაეს სასამართლოს საკასაციო კოლეგიამ სცნო, რომ საქმეში მოიპოვება სისხლის სამართლის დანაშაულობის ნიშნები და ამიტომ ცნობილაძის საქმე ხელმეორედ გასარჩევად გადასცა დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სხვა შემადგენლობას

სასამართლოს სესიის გამგზავრება

10 ივნისს თელავის მაზრაში მიემგზავრება აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესია ამხ. **შ. ოდილავაძის** თავმჯდომარეობით.

სესია დაჰყოფს იქ 2 თვეს. გასარჩევად მიაქვს 45 საქმე. გაარჩევს აგრეთვე ადგილობრივათ მიღებულ საქმეებსაც.

აღმშენებლობა შორაპნის მაზრაში

შორაპნის მაზრის მდგომარეობის შესახებ სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ცუცქირიძემ ჩვენს თანამშრომელს შემდეგი განუცხადა: სულ თვე-ნახევარია, რაც მაზრის ცენტრი გადმოტანილ იქნა ქალ. ჭიათურიდან ზესტაფონში. დავამ იმის შესახებ, თუ სად ყოფილიყო მაზრის ცენტრი, დიდათ დააბრკოლა მაზრაში აღმშენებლობითი მუშაობა. ეს დავა გრძელდებოდა თითქმის 23-დან 27 წლამდე. აღნიშნულ კითხვის დადგენით გადაჭრამ უნდა ითქვას, დიდი ნაყოფი გამოიღო. ჩვენ დაგვრჩა ჭიათურაში თავისუფალი ბინები, რომლებშიც დაბინავდენ უბინაო მუშები.

მეორე, რაც უმთავრესია, მაზრის მასშტაბით მომქმედ ორგანოებს შეუძლიათ უფრო ცოცხალი კავშირი დაიკავონ მოსახლეობასთან და ჩააბან იგი საბჭოთა აღმშენებლობაში. მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს აქვს დასახული ფართედ ჩააბას მაზრაში მცხოვრები გლეხობა საგზაო და სხვა აღმშენებლობითი მუშაობაში. ამ მიზნით გათვალისწინებულია წრევანდელ საზაფხულო სააღმშენებლო პერიოდში გაკეთდეს შემდეგი სამუშაოები საგზაო მშენებლობაში: უნდა შეკეთდეს ზესტაფონი-ჩხარის-მუხურა, გზა —35 ვერსი, მეორე, ქვა-ციხე; კაცხი-ჭიათურას გზა—32 ვერსი; მესამე, ჭიათურა-საჩხერე, შქვირი-რაჭის საზღვრამდე—40 ვერსი; მეოთხე, ჭიათურა-ბოსლევი, დილიკაური-შორაპანი, 40 ვერსი; მეხუთე, შორაპანი-კიცხი, ხარაგაული-მარელისი-მოლითი, სურამი—45 ვერ.

განზრახულია აგრეთვე შემდეგი ხიდების გაკეთება: 1) ჩოლაბერის ხიდის დამბების დამაგრება; 2) მდინარე ბუჯის ხიდი; 3) მდინარე ჩხარის ხიდის გაკეთება და 4) ქვა-ციხის და საძალოების ხიდების დამთავრება.

ზემოაღნიშნულის სამუშევრების დამთავრებისათვის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს გადადებული აქვს 35.000 მანეთამდე. აგრეთვე განზრახული აქვს ფართეთ გამოიყენოს ზემოაღნიშნული სამუშაოების დასამთავრებლად შრომითი ბეგარა. უნდა აღინიშნოს რომ უნუგეშო მდგომარეობაშია სურამ-ძირულის გზატკეცილის დამთავრების საქმე. თუ აღნიშნული გზა 27—28 წ. წ. ბიუჯეტში არ იქნა შეტანილი, მოსალოდნელია მიმოსვლის შეწყვეტა, ვინაიდან ნამუშევრებზე უკვე ზვავება ჩამოწოლილი, მთავრობამ ამის შესახებ დახმარება აღგვითქვა, აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩქარი ტემპით მიმდინარეობს მუშაობა ქალ. ჭიათურაში. ჭიათურის საბჭოს უკვე დაეტყო გამოცოცხლება. დამთავრდა შუა ხიდის აგება, რომელიც დაჯდა 20.000 მანეთამდე; კეთდება წყლის აუზი, რომელიც ჯდება 32.000 მანეთი; შეკეთდა ქუჩები, გაყვავ ახალი ქუჩებიც, რომლებიც ჯდება 20.000 მანეთამდე. გააკეთეს ქალაქის სიმაგრისათვის დამბები, რომელიც დაუჯდათ 25000 მანეთამდე. კეთდება სამრეწველო რაიონში გზები.

ასეთივე ჩქარი ტემპით მიმდინარეობს აღმშენებლობითი მუშაობა ქალ. ზესტაფონშიც. ზოგიერთების გამოკლებით, თემებშიც მიმდინარეობს აღმშენებლობითი მუშაობა.

გადადგმულია ნაბიჯები აგრონომიურის საქმის უკეთ დაყენებისათვის. ამ მიზნით ვეძებთ შესაფერად მომზადებულ აგრონომებს, ვცდილობთ მივაწოდოთ გლეხობას სამეურნეო იარაღები და სხვა, რაც წამოსწევს გლეხის მეურნეობას.

უკვე შეუდექით 27—28 წ. წ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ობიექტების აღრიცხვას. თემებში დაგზავნილია აღმრიცხველთა საკმაო რიცხვი; აგრეთვე წინადადება მიეცა თემაღმასკომებს, რათა მათ გამოიყენონ წარსულ წლების გამოცდილება, რომ არ განმეორდეს წარსული შეცდომები. დანარჩენ თემებშიც ფართოდ მიმდინარეობს შესაფერისი მუშაობა.

ბოლოს, უნდა გამოვსთქვა სურვილი, რომ ცენტრიდან ცალკე სახალხო კომისარიატები უფრო მეტ ცოცხალ კავშირს დაიჭერდენ მაზრებთან, ვინემ ეს დღემდე არის.

ხელოვნება

პროფ. თულაშვილის კონცერტი

პროფ. ანა თულაშვილის კლასის კონცერტი მაჩვენებელი იყო იმის, თუ რა დონეზე დგას მუსიკალური განათლება კონსერვატორიაში. კონსერვატორიის რეორგანიზაციის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა გამოცდების ძველი სისტემა. გამოცდები დატოვებულია მხოლოდ უმცროს, თეორეტიულ და უკანასკნელ კურსებზე. ამნაირად თულაშვილის კლასის კონცერტი წარმოადგენს საჩვენებელ გამოცდას.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მუსიკალური განათლება თულაშვილის კლასში (თულაშვილი წელს არჩეულ იქნა საფორტეპიანო კლასის დეკანად) სერიოზულ დონეზე არის დაყენებული. პროფესორი თულაშვილი სცდილობს მუსიკალურ განათლებას მისცეს გარკვეული მიმართულება, შექმნას გარკვეული სკოლა, სადაც მუსიკალური განათლება უნდა განვითარდეს თანაბრად როგორც ტექნიკური (გარეგანი), ისე მხატვრული მხრიდან. თუ დაუკვირდებით წელს დაყენებულ საქმეს და შევადარებთ მას შარშანდელ მდგომარეობასთან, აქ აუცილებლად თვალში გვეცემა დიდი მიღწევები. ეტყობა, რომ ის სერიოზულად, ღრმა გაგებით და სიყვარულით ეკიდება თავის საქმეს. პროფ. თულაშვილის კლასის სტუდენტების უმრავლესობამ გამოიჩინა კარგად განვითარებული ტექნიკა, სჩანს, რომ მათ შეთვისებული აქვთ ნაწარმოებების (უმთავრესად კლასიკების(სტილი, სწორი პედალიზაცია, მრავალხმიანობის გადმოცემა, კარგი ფრაზირება და დინამიკა.

ცალკე შემსრულებლებს შორის აღსანიშნავია მცირეწლოვანი **ურუშაძე** (სწორი სტილი, მისი ასაკისათვის საკმაო ტექნიკა). დაკვირვებულად და სტილიურად შეასრულა მცირეწლოვანმა **ალიხანოვამ** ბეთჰოვენის სონატის პათეტიური ნაწილი. **დაფქუშვილს** ახასიათებს—განვითარებული ტექნიკა, მხოლოდ არა საკმაოდ სტილიურად შესრულებული მან ბახის პრელიუდია. **შიუკაშვილის** მიერ მშვენიერი ტექნიკით, დიდი ტემპერამენტით იქნა შესრულებული ბეთჰოვენის სონატა. **გოგობერიძე**—დამაკმაყოფილებელია შოპენის ეტიუდებში. ვალსი ოპერა „ფაუსტიდან" **ზურაბიშვილმა** ვერ შეასრულა დასრულებულად ტექნიკური განვითარების თვალსაზრისით (ტემპის დარღვევა, არა საკმაო დინამიური ელფერი). **შახნაზაროვა** კარგად ასრულებს ლისტის ძნელ „მეფისტო-ვალსს". კარგი იქნებოდა, რომ არ ხმარობდეს უნებურ ტემპს.

კონცერტში მონაწილეობა მიიღო პროფ. თულაშვილის სრულიად ბრმა მოწაფემ **ხაჩიკოვამ**, რომელიც ათავებს კონსერვატორიას ბარხუდაროვის კომპოზიციის კლასით. ის სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა თბილისის მუსიკალურ წრეებში. ხაჩიკოვს ახასიათებს დიდი კომპოზიტორული ნიჭი, მელოდიურობა, ლამაზი ჰარმონიზაცია, თეორეტიული მოთხოვნილებების სისწორე. მან და პიანისტ-ქალმა **როგოვსკაიამ** შეასრულეს მისი საკუთარი ნაწარმოებები.

ვ. გ.

მოძრავი თეატრის დაარსება

განათლების სახ. კომისარიატთან არსებული ხელოვნების განყოფილება უკვე შეუდგა სამზადის მოძრავი თეატრის დასაარსებლად. თეატრის დანიშნულება იქნება პროვინციის უმთავრეს ქალაქებში წარმოდგენების სისტემატიური მართვა. პირველ ხანებში დასი წარმოდგენებს გამართავს ქუთაისში, ბათომში, ფოთში და ჭიათურაში.

ამჟამად ხელოვნების განყოფილება მოლაპარაკებას აწარმოებს სხვადასხვა მსახიობებთან და რეჟისორებთან დასში მათი მოწვევის მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება იქნება მიქცეული რეპერტუარს. დასის შეკრება უნდა მოხდეს მიმდინარე ზაფხულზე, რომ შემოდგომამდე მოხერხდეს რამდენიმე პიესის მომზადება. მოძრავი თეატრისათვის შექმნილ იქნება საჭირო დეკორაციები, მოწყობილობანი, რეკვიზიტი და სხვ.

მოძრავი თეატრის მოწყობის შესახებ უკვე მოხდა შეთანხმება დაინტერესებული ქალაქების აღმასკომებსა და ხელოვნების განყოფილებას შორის.

ხელოვნების ქრონიკა

დიდი საბავშვო სეირნობა განზრახულია მოეწყოს 5 ივნისს კომუნარების (ყ. ალექსანდროვის) ბაღში. ამ მიზნით უკვე აღებულია ბაღი და სწარმოებს დიდი მზადება.

◆ **მხიარული საღამო.** შაბათს, რუსთაველის თეატრში ელ. ჩერქეზიშვილის, მ. ალექსი-მესხიშვილის და ლადო კავსაძის მონაწილეობით გაიმართება მხიარული საღამო.

◆ **მბეჭდავთა და საბჭოთა მუშაკების კლუბში** 27 მაისს გაიმართება დიდი საღამო-კონცერტი.

◆ **ქართველ მხატვართა გამოფენა** დაიხურება 29 მაისს.

◆ **ავლაბრის მუსიკალურ** სასწავლებელში გამოცდები დაიწყება 14 ივნისს.

◆ **„პროფესორი ბუბუსი".** დღეს და ხვალ მეიერხოლდის თეატრში წარმოდგენილი იქნება „პროფ. ბუბუსი".

◆ **მოსკოვის პატარა თეატრის** მსახიობთა კოლექტივის გასტროლები თბილისში დაიწყება ივნისის პირველ რიცხვებში.

◆ **მხატვარი ელენე ახვლედიანი** დაბრუნდა საზღვარგარეთიდან და ახლო ხანში გამართავს თავისი სურათების გამოფენას.

◆ **ხუთშაბათს, 26 მაისს,** საღამოს 5 საათზე საქ. სახატვრო აკადემიის დარბაზში შესდგება პროლ. სამხატვრო ხელოვნების ასოციაციის ბიუროს სხდომა. ბიუროს წევრებისათვის დასწრება აუცილებელია.

გლეხობა კოოპერაციაში

სასოფ.-სამ. ბანკებთან და საკრედიტო ამხანაგობებთან შექმნილია „სპეციალური ფონდი, რომელიც შესდგება ამ დაწესებულებების მოგებათა ანარიცხებიდან.

ეს მოხმარდება ღარიბ გლეხების კოოპერაციულად გაერთიანებას.

ა.-კ. სას.-სამ. ბანკის გამგეობის დადგენილებით ფონდი გამოყენებულ უნდა იქნეს შემდეგნაირად: ღარიბ გლეხებს უნდა მიეცეს სესხად უპროცენტოდ 5 წლის ვადით საკრედიტო ამხანაგობაში ჩასაწერი საპაიო თანხის ერთი მესამედი ისე, რომ მან თავიდანვე მიიღოს წევრის სრული უფლებები.

გლეხების მიერ გადახდილი ვალი უნდა ბრუნდებოდეს ისევ ფონდში.

იმ გლეხების მეურნეობათა გამოკვლევა, რომლებიც შედიან კოოპერაციაში, უნდა აწარმოოს საკრედიტო ამხ-ის საბჭომ და ამ საქმეში მონაწილეობას უნდა იღებდეს სასოფლო ორგანიზაციები.

საკურორტო სეზონი

მომავალი საკურორტო სეზონის დაწყების გამო, საქ. საკურორტო ბიუროში შემოვიდა დიდძალი განცხადებები ოთახების და საწოლების დაქირავების შესახებ. ასეთი განცხადებები მოსულია საბჭ. კავშ. თითქმის ყველა რესპუბლიკებიდან, როგორც მაგალ. უზბეკისტანიდან; საშუალო აზიიდან; ყირგიზეთიდან; ციმბირიდან და სხ.

კურორტებზე ამჟამად ასეთი მდგომარეობაა: **აბასთუმანში**—გაცემულია ორდერი ას ოთახზე. თავისუფალი ოთახები უკვე აღარაა. ამასთანავე სწორმების სანატორიუმების საწოლებიც გაქირავება. დაქირავებულ ოთახებზე ქირის შემოტანის უკანასკნელ ვადათ დანიშნული 25 მაისი.

ასეთივე მდგომარეობა **ბორჯომში პატარაცემში.**

აბასთუმანში და ბორჯომში გაგზავნილ ავადმყოფებს, გარდა კვებისა; ექიმობისა; წამლებისა და საწოლებისა; ეძლევათ აგრეთვე თეთრეული. სეზონის დასრულების შემდეგ მოხდება სანატორიუმებში და გაქირავებულ ოთახებში მოთავსებულ მოაგარაკეთა ჯანმრთელობის შემოწმება.

წყალტუბოში სეზონი უკვე გაიხსნა. კურორტზე ჩამოსულია დიდძალი მოაგარაკენი. საწოლები თითქმის ყველა დაკავებულია, მაგრამ ადგილის შოვნა მაინც შეიძლება, ვინაიდან კურორტზე ბევრია ჩამოსული მოკლე ხნით.

ახტალაში სეზონი გაიხსნება 15 ივნისიდან. კურორტზე თავისუფალ ადგილების რიცხვი ცოტაა, გარდა გაწყობილი საწოლებისა. მოაგარაკეებს დაურიგებენ თეთრეულსაც.

წავკისში საკურორტო ბიუროს განკარგულებაში იქნება პანსიონატი. პანსიონატში თითო ადგილი კავშირის წევრთათვის ეღირება 60 მანეთი. პანსიონატში ჯერ-ჯერობით ადგილები თავისუფალია. სეზონი დაიწყება 15 ივნისიდან.

ახალდაბაში სწარმოებს სავაჭრო შენობების კაპიტალური შეკეთება, რაც უნდა დასრულდეს 15 ივნისისათვის.

ბიბლიოგრაფია

პროფ. ლ. ხენეი. „ეკონომიურ მოძღვრებათა ისტორია" (ფიზიოკრატებამდე) ნათარგმნი **იასონ გაბილაიას** რედაქციით და წინასიტყვაობით. გვ. 64.

სარეცენზიო წიგნაკი არ წარმოადგენს მასიურ საკითხზე ნაშრომს, მაგრამ ის უდიდესი მნიშვნელობის მქონეა კერძოთ ჩვენი უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთათვის და საერთოდ ყველა იმათთვის, ვისაც აინტერესებს ეკონომიური თეორიის ისტორია, წარსულ დროთა ეკონომიური ნააზრევი—მარქსის პოლიტიკურ ეკონომიის შესწავლისათვის აუცილებელია იმ ნათესაობის, რომელსაც თვით მარქსი დიდის სიამოვნებით უსვამს ხაზს. მარქსის ეკონომიურ მოძღვრების წინამორბედებათ ითვლებიან პეტი, კენე, სმიტი, რიკარდო, როდბერტუსი და სხვანი. მაგრამ ესენი ყველა ახალი დროის, მე-18 და მე-19 საუკუნის ეკონომისტებია, რომელთა შესწავლა სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული.

არა ნაკლებ საინტერესოა ანტიური და საშუალო საუკუნეების ეკონომიურ თეორიების შესწავლა, თუ გვსურს იმ ევოლიუციის გათვალისწინება, რომელიც განიცადა ეკონომიურმა მოძღვრებამ გასული, მეტად გრძელი პერიოდის განმავლობაში. მაგრამ ყველაზე მიუწვდომელს და შეუსწავლელს სწორედ ძველი და საშუალო ხანა წარმოადგენს. მარქსისტული ნაშრომი ამ პერიოდთა ეკონომიური ნააზრევის შესახებ არ მოიპოვება, მაგრამ არც არა მარქსისტული ლიტერატურაა ამ მხრივ მდიდრული.

პროფ. ხენეის მოკლე მიმოხილვა ასეთ პირობებში აღსანიშნავია, რადგან ის გაუადვილებს ჩვენს სტუდენტობას წარსულ პერიოდთა ეკონომიურ თეორიების ნაწილობრივ გაცნობას. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ წიგნაკს მხოლოდ ეკონომიური მეცნიერების საერთო მცოდნე წაიკითხავს, იმ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ თუმცა ის არა მარქსისტის მიერ არის დაწერილი, მაინც სათანადო სარგებლობას მოიტანს. ავტორი მთელი შრომის გასწვრივ მეტ წილად ობიექტიურად ალაგებს სხვადასხვა ეკონომიურ შეხედულებებს და ნაკლებად მარტავს მათ საკუთარი თვალთახედვით.

ავტორი იწყებს პლატონის ეკონომიურ და სოციალურ თვალთახედვიდან და ამთავრებს მერკანტელისტების უკანასკნელი წარმომადგენლით ჯემს სტიუარტით. წიგნაკის პირველ ნაწილში განხილულია პლატონის და არისტოტელის ეკონომიური მოძღვრება, კერძოთ არისტოტელეს შეხედულება ღირებულებაზე, ფულზე და პროცენტზე. მეორე ნაწილში ავტორი გვაცნობს რომაელთა წარმოდგენას ღირებულებაზე, იურისტების ეკონომიურ თვალსაზრისს და სხვ.. ყველაზე კარგათ გადმოცემულია (თუმცა მოკლეთ) საშუალო საუკუნოების ეკონომიური იდეები და ბოლოს მერკანტელიზმი.

საშუალო საუკუნოების გაბატონებულ ეკონომიურ თეორიების განხილვა შრომის ყველაზე საყურადღებო ნაწილია. როგორც ვიცით, საშუალო საუკუნოების ცხოვრებაზე განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენდა ყველა ფაქტორთა შორის ეკლესია, რომელიც გაბატონებული იყო იმ ხანის მთელ სამეურნეო ცხოვრებაზე. ამით აიხსნება მაშინდელი ეკონომიური მოძღვრების „რელიგიოზური" ხასიათი. ამ ხანის უდიდესი წარმომადგენელი **თომა აქვინელი** მრავალ საყურადღებო აზრს გამოსთქვამს, რომელთა შორის აღსანიშნავია მისი შეხედულება შრომაზე, ფასზე, ფულის ღირებულებაზე და პროცენტზე. აქვინელის ეკონომიური აზროვნების ცენტრში სდგას მოძღვრება ე. წ. სამართლიან ფასზე (justium pretium).

თომა აქვინელი თავისი სამართლიანი ფასით და ღირებულების მოძღვრებით გამოდის როგორც ლაპარაკობს პროფ. ჩუპროვი შუამავლათ არისტოტელეს კლასიურ ფილოსოფიასა და ქრისტიანულ ეკლესიის იდეებს შორის. სამართლიან ფასის, როგორც ძირითად თეზისიდან გამომდინარეობს აქვინელის გალაშქრება პროცენტის წინააღმდეგ, რომელიც საბოლოოთ არისტოტელეს შეხედულების („ფული არ შობს ფულს") განვითარებაა. აქვინელის ეს შეხედულებანი გამოწვეული იყო მაშინდელი ცხოვრების თავისებურებით. კერძო პროცენტის წინააღმდეგ გალაშქრებას—ლაპარაკობს ჩუპროვი, მაშინდელი დროის საარსებო პირობები უწყობდა ხელს. თვით მე-13 და მე-14 საუკუნოებში ძლიერ უმნიშვნელო იყო კაპიტალის გამოყენება საწარმოო მიზნით. მიწადმომქმედთა კლასი თაობიდან თაობამდე აწარმოებდა თავის მეურნეობას ერთნაირი საშუალებით და არ სცდილობდა მეტი ნაწარმოების მიღებისათვის თანხების დაბანდებას სოფლის მეურნეობაში. ხელოსანს შეიძლება კიდეც სურდა კაპიტალის გამოყენება და წარმოების გაფართოება, მაგრამ ამის ნებას არ მისცემდა მას საამქრო პოლიტიკა. კაპიტალს უმთავრესად სესხულობდენ მოხმარების მიზნით და რაც მთავარია, ფულს სესხულობდა ჩვეულებრივ გაჭირვებული ადამიანი, ან ომისგან დარბეული აზნაური ან გლეხი, რომელსაც ეწვია მოუსავლობა თუ საქონლის ჭირი, ან კიდევ ხელოსნის ოჯახი, რომელიც უმწეობაში მოექცა ოჯახის მარჩენალის—ხელოსნის სიკვდილის შემდეგ.

არ არის გასაკვირველი ამიტომ, განაგრძობს ჩუპროვი, რომ კრედიტორი წარმოდგენილი ჰყავდათ ისეთ ადამიანად, რომელიც პროცენტების სახით სწოვდა ღატაკ უკანასკნელ სისხლს. ასეთია ეკონომიური დასაბუთება ძველ დროში პროცენტის წინააღმდეგ გალაშქრებისა.

ხენეის შრომის აღსანიშნავ უარყოფით მხარეთ ჩვენ მიგვაჩნია სამეურნეო თეორიის ნაკლები ან ზოგან სრული დაუკავშირებლობა სამეურნეო ცხოვრებასთან. სამეურნეო თეორიის განხილვა მხოლოდ მორალურ და კულტურულ ფაქტორებთან დაკავშირებით ამცირებს პროფ. ხენეის არა სწორ შეხედულებას საერთოდ აზროვნებისა და კერძოთ ეკონომიურ იდეათა განვითარებაზე.

ჩვენი შეხედულებით აუცილებელი იყო ამ პატარა წიგნაკისთვის წინასიტყვაობის წამძღვარება. კერძო გამომცემელი არ უნდა უხვევდეს გვერდს ამას და საჭიროა ასეთი ხასიათის ლიტერატურის გამოცემა შეთანხმებულ იქნას ეკონომიურ მეცნიერების სათანადო კათედრების ხელმძღვანელებთან ჩვენს უნივერსიტეტებში. ცოტათ თუ ბევრად ვათვითცნობიერებული მკითხველი პროფ. ხენეის წიგნაკს კრიტიკულად უნდა მოეპყრას. თარგმანი უეჭველად მოიკოჭლებს, რაიც ახასიათებს კერძო გამომცემლის. გაბილაიას ყველა თარგმანებს.

დ. გ—ძე.

აფხაზეთის აგარაკებზე

გაგრის კურორტზე მიმდინარე წლის იანვრიდანვე დაიწყო მზადება საზაფხულო სეზონის გახსნისათვის.

1 ივნისისათვის გაიხსნა 140 საწოლიანი სამი საკურორტო პანსიონატი (ამხ. სტალინის სახელობის პანსიონატი — 100 საწოლ.; ამხ. ორახელაშვილის სახელობის — 25 საწოლ. და ამხ. ლაკობას სახელ. — 15 საწოლ.). ამხ. რიკოვის სახელობის 100 საწოლიანი სანატორიუმი და 190 საწოლიანი სამი სასტუმრო „ჟოეკვარა", „გაგრიფში" და „ზაპასნაია".

ფასები სანატორიულ საწოლებზე, შარშანდელთან შედარებით, ასეთია:

	1926 წ.	1927 წ.
ხელშეკრულებით	165 მან.	165 მან.
1-ლი კატეგორიის საწოლ.	170 „	165 „
2 კატეგორიის საწოლ.	180 „	180 „
3 კატეგორიის საწოლ.	180 „	240 „

საპანსიონატო საწოლებზე დაწესებულია შემდეგი ფასი: 1 კატეგორ. — 132 მან., 2 კატეგორ. — 150 მან. და 3 კატეგ.—200 მან.

შარშანდელთან შედარებით, მნიშვნელოვნად დაკლებულია სასტუმრო ნომრებისა და ოთახების ფასი. სასტუმრო ნომრების ფასი: დღეღამეში 1 მან. 50 კაპ. — 6 მანეთამდე; ხოლო თვიურად — 40 მან. — 120 მანეთამდე. ოთახები გაქირავდება 20 მან. — 65 მანეთ. თვიურად, იმ დროს, როდესაც შარშან ქირავდებოდა 35 მან. — 85 მან.

გაგრის ყველა იმ საკურორტო შენობებს, რომლებიც შეუკეთებელი იყო 1914 წლიდან, ჩაუტარდათ კაპიტალური რემონტი. გარდა ამისა აღდგენილია გაგრის უმდიდრესი პარკი. შეკეთებულია წყალსადენი და ამოქმედებულია სამი შადრევანი.

1-ლ ივნისს იხსნება გაგრის პოლიკლინიკა. მასში მოწყობილია: რენტგენის, კბილის საექიმო, ქირურგიული, ნერვიულ ავადმყოფობათა, ვენერიული, თერაპევტიული, ელექტრო-სამკურნალო და სხვ. კაბინეტები.

იხსნება სამკურნალო საზღვაო საბანაო, სადაც სპეციალისტ - ექიმების მეთვალყურეობით ავადმყოფები მიიღებენ მზის, ზღვის, ქვიშის და საჰაერო ვანებს.

1-ლ ივლისს გაიხსნება წყალით სამკურნალო ზღვის თბილი, ნახშირმჟავა და ტალახის აბაზანებით და სხვ.

პოლიკლინიკის კონსულტატად მიწვეულია პროფესორი **ფედოროვი.** პოლიკლინიკის დირექტორად მიწვეულია თბილისელი ფიზიოთერაპევტი ექიმი **ზანდუკელი.**

მომავალ საკურორტო სეზონში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი კვების მოწესრიგების საკითხს. საკვები პროდუქტების გაიაფების მიზნით, საკურორტო სამმართველომ ყუბანში დაამზადა ხორცი, ახლო მდებარე სოფლებს გაურიგდა ერბო - კარაქის მიწოდებაზე და, აგრეთვე, მოაწესრიგა დანარჩენი სანოვაგის რეგულიარული მიწოდება.

ასეთი ზომების საშუალებით უზრუნველყოფილია დაბალ ფასებში უმაღლესი ხარისხის სანოვაგის მიღება.

ზაფხულის სეზონში კურორტზე იმოქმედებს თბილისის მუშათა თეატრის დასი; მიწვეულია, აგრეთვე სიმფონიური და სამხედრო ორკესტრი.

საზღვაო სეირნობისათვის და, აგრეთვე, სასპორტო მიზნით იმართება იახტ-კლუბი. ბასკეტ ბოლი, ტირი, ბილიარდი, კროკეტი და სხვ.

საზაფხულო სეზონი დაიწყება მაისის ბოლოს და გაგრძელდება 1-ლ ნოემბრამდე.

ქირურგიული საავადმყოფო სვანეთში

სოფ. მესტიაში გახსნილია საავადმყოფო, სადაც მოწყობილია ქირურგიული განყოფილება. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა გადაგზავნა სვანეთის სამაზრო ჯანმრთელობის განყოფილებაში საჭირო მოწყობილობანი და, მათ შორის, ერთი „ავტოკლავი", რომელიც აუცილებელია ქირურგიულ განყოფილებისათვის. „ავტოკლავი" წარმოადგენს დიდ სასტერილიზაციო აპარატს.

ამასთანავე ჯანსახკომმა გადაუგზავნა ლაშხეთის საექიმო პუნქტს ყველა საჭირო საექიმო იარაღები.

ყველა აღნიშნული იარაღები გადაგზავნილია სვანეთში უფასოთ.

ადგილ. მრეწველობა

ახალ ქალაქის სამაზრო აღმასკომის დადგენილებით უახლოეს წლებში ჯავახეთის სხვადასხვა რაიონებში დაიწყება მუშაობა შემდეგ წარმოებათა მოსაწყობათ: ორი დიდი კარაქ-ყველის დასამზადებელი ქარხნისა, რომლის წლიური ნაყოფიერება იქნება 75 ათასი ფუთი რძის პროდუქტების დამზადება; აგებული იქნება სპეციალური კარაქის საკეთებელი ქარხანა, გაფართოებული იქნება ჰიდრო-ელსადგური, რომელიც ენერგიას მიაწვდის ადგილობრივ სამრეწველო წარმოებებს, აგებულ იქნება კრამიტის, თიხის ჭურჭელეულობის და კირის ქარხნები, მოწყობილ იქნება მექანიკური სამჭედლო - საზეინკლო და ხის დამამუშავებელი სახელოსნოები. მიმდინარე წელს დაიწყება შემდეგი წარმოებათა აგება—ორი კარაქის ქარხნისა, რომელიც შენდება საქ. ს. მ. უ. საბჭოს ხარჯზე, გაფართოებულ იქნება ჰიდრო - ელსადგური და მოეწყობა კრამიკული და კირის ქარხნები.

ბრძოლა მალარიასთან

მალარიასთან ბრძოლის ღონისძიებათა გაერთიანების მიზნით, საქართველოს სახეგმო კომისიის პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო აღიარებულ იქნეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ტროპიკული სნეულებათა ინსტიტუტი ცენტრალურ დაწესებულებათ და დაევალოს მას ხელმძღვანელობა და გაერთიანება ყველა იმ ორგანიზაციათა მუშაობისა, რომელნიც აწარმოებენ მალარიასთან საწინააღმდეგო ბრძოლას რესპუბლიკანურ მასშტაბით.

რათა სააღმშენებლო მუშაობას არ მოჰყვეს შედეგად ნიადაგის დაჭაობება და მალარიის ახალ ბუდეების შექმნა საგეგმო კომისიამ საჭიროდ სცნო დაევალოს ა. კ. რკინის გზის სამმართველოს, შავი ზღვის რკ. გზ. საამშენებლო სამმართველოს ნავთსადენის და გზატკეცილების სამმართველოებს, წყალთა მეურნეობის სამმართველოს და ს. მ. უ. საბჭოს შეუთანხმონ ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს ყველა თავისი საამშენებლო გეგმა სანიტარული თვალსაზრისით. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს თავისი ადგილობრივი ორგანოების საშუალებით თვალყური უნდა ადევნოს საამშენებლო სამუშაოთა წარმოების დროს სანიტარულ-ტექნიკურ პირობების დაცვას. მასვე დაევალა, დასახელებულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით, საამშენებლო პროცესში შექმნილ მალარიის ბუდეს მოსპობის და სხვა სანიტარულ-ტექნიკურ ზომების გატარების მიზნით დაწვრილებით ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა.

ხილის საშრობი ქარხნები

ს. მ. უ. ს. გადაწყვეტილებით, გორის მაზრაში მიმდინარე წლის განმავლობაში დაწყებულ იქნება ხილის საშრობი ქარხნების აგება. ერთი ქარხანა იქნება სოფ. შინდისში და მეორე—სოფ. მეჯვრისხევში.

თითო ქარხანა ყოველწლიურად დაამზადებს 10.000 ფუთ გამხმარ ხილს. თითო ქარხნის აგება დაჯდება 115.000 მან.

ქარხნებისათვის საჭირო მთელი მოწყობილობა შეკვეთილია გერმანიაში.

ფეხბურთი

„დინამო" — საბჭოთა მუშაკები

დღეს, საღამოს 5 ნახევარ საათზე, „დინამო"-ს სტადიონზე გაიმართება „დინამო"-ს და საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირის ფეხბურთელთა გუნდის შეჯიბრი.

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის გუნდმა პირველობა აიღო ფეხბურთში პროფკავშირების გუნდებს შორის.

შვებულებები

საქართველოს პროფსაბჭომ ყველა პროფესიონალურ ორგანიზაციებს დაუგზავნა ცირკულიარული წერილი, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ხელმძღვანელ პროფესიონალურ ორგანიზაციების (პროფსაბჭო, სამაზრო პროფბიურო, ცენტრ. გამგეობა, სამაზრო განყოფილება), და აგრეთვე გაერთიანებულ ადგილკომების დაჯგუფებების მუშაკებს შვებულება ეძლევათ ორი კვირის ვადით.

დაწესებულებების და წარმოებების ფაბკომ-ადგილკომების მუშაკებს შვებულება ეძლევათ იმავე ვადით, როგორიც კავშირის წევრებს, რომლებსაც ისინი აერთიანებენ; იმ შემთხვევაში, თუ ამ უკანასკნელთათვის არსებობს შვებულებების ორი გრადაცია—ერთი მუშებისათვის, მეორე კი მოსამსახურეებისათვის, ფაბკომ-ადგილკომების მუშაკები გათანასწორებული უნდა იქნენ მუშებთან, თუ ისინი მუშაობენ 8 საათ და მოსამსახურეებთან, თუ ისინი მუშაობენ 6 ნახევარ საათს.

ამასთანავე, საქართველოს პროფსაბჭო წინადადებას აძლევს ყველა პროფესიონალურ ორგანიზაციებს შეიმუშაონ პროფმუშაკების შვებულებების ცხრილი იმ ანგარიშით, რომ მუშაკთა შვებულებაში წასვლამ არ იმოქმედოს პროფორგანიზაციის მუშაობაზე.

იურიდიული დახმარება

მიწის მოსარგებლისათვის ზარალის ანაზღაურების შესახებ

სიღნაღის მაზრის სოფ. გურჯაანის მცხ. გლეხს გიორგი ივანეძე იმერლიშვილს

თქვენ გვწერთ, რომ თქვენ გქონდათ ერთადერთი საარსებო წყარო—ვენახი ზომით 600-700 კვადრ. საჟენი და წარსულ წლის შემოდგომაზე ამ თქვენ მფლობელობასა და სარგებლობაში მყოფ მიწაზე გამოყვანილ იქნა ალაზნის ველის არხი, რის გამო თქვენი თქმით, ეს ვენახი „ისე გაიკაფა", რომ თქვენ არ დაგრჩათ ერთი საჟენი მიწა ვენახით. მიგმართავთ ადგილობრივ და მაზრის ხელისუფლებისათვის, მაგრამ მათგან დღემდე დაკმაყოფილება ვერ მიიღეთ და „სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი" ჩვენ გვეკითხებით, გაქვთ თუ არა უფლება სავენახე ფონდიდან მოითხოვოთ ვენახიანი მიწა იმავე ღირებულების და რაოდენობის, რამდენიც და რა ღირებულების მიწაც თქვენ ჩამოგერთვათ საზოგადო და სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის საჭიროებისათვის.

გიპასუხებთ

თუ თანახმად მიწის კანონთა კოდექს. მუხ. 20-ისა, მიწის მუშას (გლეხს) არსებული წესისამებრ ჩამოერთვა მიწა სახელმწიფო და საზოგადოებრივ საჭიროებისათვის (გზების და არხების გაყვანა და სხვა), რის გამო დარჩენილი მიწის და მისი ნაწილის სარგებლობა შეუძლებელი და მიზანშეუწონელი ხდება, ასეთ შემთხვევაში მიწის მოსარგებლეს აუცილებლად უნდა მიეცეს ბადალი მიწა და აუნაზღაურდეს მთელი ზარალი.

მიმართეთ სათანადო განცხადებით ადგილობრივ საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიას. (იხ. მიწის კოდ. მუხ. № 24).

ნორმაზე მეტი მიწა ყოფ. მესაკუთრეებს აუცილებლად ერთმევათ

მ. ქიქოძეს

პასუხი

მიწა-წყალი, როგორც მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს საკუთრება (იხ. მიწის კოდ. 2) გამორიცხულია სამოქალაქო ბრუნვიდან (იხ. სამოქალაქო სამართლის კოდ. მუხ. 21). მისი „შესყიდვა და გაყიდვა" კანონით სასტიკად აკრძალულია (იხ. მიწ. კოდ. მუხ. 25 ახალი რედაქციით. გამოქვეყნ. გაზ. „კომუნისტში" 1927 წ. 8 თებერვლიდან № 30-1785). ამის უფლება არავის არა აქვს და არც თქვენს კოჯორის საბავშვო სახელმწიფო ახალშენებს თუ კი მოქ. სერიდიუკოვს (კერძო პირს) აქვს ნორმაზე მეტი ადგილი თქვენ ახალშენთან და თქვენ კი ახალ შენისათვის ადგილი არ გყოფნით, თქვენ ამის შესახებ უნდა აცნობოთ თბილისის აღმასკომს მისი საადგილ-მამულო განყოფილების სახით და თხოვნით მას, რათა მიწის ზედმეტი მიდანი თქვენ გადმოგეცეთ საბავშვო ახალშენისათვის.

კომლის კანონიერ გაყრის შესახებ

სოფ. ალავერდის (შორაპნის მაზრა) მცხ. ნესტორ ყიფშიძეს

პასუხი

თუ თქვენი გაყრა არ არის გატარებული არსებულ წესისამებრ თემის აღმასკომის რეგისტრაციაში, იგი არ ჩაითვლება კანონიერად და საერთო კომლის მონაწილეთ აქვთ უფლება მოითხოვონ საერთო კომლის და მამულის გაყოფა კანონიერი წესით და თემაღმასკომის რეგისტრაციაში გატარებით. (იხ. მიწის კოდ. მუხ. 52 და 58).

გაუქმებულია ყოფ. მთავრობათა დროის ყოველგვარი საბუთები და სამოქალაქო უფლებრივი ურთიერთობანი

პასუხი

საქ. ცაკის 1923 წ. 18 აგვისტოს დადგენილება № 51 მუხ. 2-ისა, არავითარი დავა (ძიება და საჩივარი), იმ სამოქალაქო უფლებრივი ურთიერთობიდან გამო (როგორიცაა სესხის გაცემა, ყიდვა-გაყიდვა და სხვა), რომელიც წარმოიშვა 1921 წლ. 25 თებერვლამდე (ე. ი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე) არ მიიღება განსახილველად საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოს ან სხვა დაწესებულების მიერ. მეფისა და მენშევიკების რეჟიმის დროის გირაოებს, თამასუქებს, ვექსილებს ნასყიდობის ქაღალდებს და სხვ. მაგვარ საბუთებს არავითარი იურიდიული ძალა არა აქვს.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი მოსახლეობისათვის სასროლ იარაღის ჩამორთმევის შესახებ

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო, საქართველოს ს. ს. რ. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 23 მუხლის თანახმად ადგენს

1. ჩამოერთვას საქართველოს ს. ს. რ. ტერიტორიაზე მყოფ მოქალაქეთ ყოველგვარი სასროლი იარაღი რაც აქამდე რაიმე მიზეზის გამო ჩამორთმეული არ იყო.

შენიშვნა: დადგენილება ესე არ გავრცელდება სანადირო იარაღზე, რის შეძენა შენახვის და ტარება განსაზღვრულია ცალკე წესებით.

2. ყოველი მოქალაქე მოვალეა ჩააბაროს მის ხელთ ქონებული იარაღი ორი კვირის ვადაზე ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან.

3. ჩამოსართმევი იარაღი ჩაბარდება თემის აღმასრულებელ კომიტეტს ან სოფლის საბჭოს, ხოლო ქალაქად — მილიციის სამმართველოს.

შენიშვნა: იარაღის მიღების შესახებ გაიცემა სათანადო ქვითარი.

4. სასროლი იარაღი არ ჩამოერთმევა ისეთ პირს, რომელსაც იარაღის შენახვა და ტარება ნებადართული აქვს არსებული წესისამებრ სამსახურის ხასიათის და მის მიერ შესრულებული სამუშაოს მიხედვით ან ომში და რევოლიუციონური დამსახურებისათვის.

შენიშვნა: ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე გაცემულ ყოველ მოწმობას შენახვისა და ტარების უფლების შესახებ ხელახალი რეგისტრაცია უნდა გაუკეთდეს იმ წესით და იმ ვადაზე, რასაც სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო განსაზღვრავს.

5. ამა დადგენილების განსახორციელებლად სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან მოეწყობა სპეციალური კომისია სამი პირის შემადგენლობით, რომელთაც აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი დანიშნავს.

6. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სისხლის სამართლის კოდექსის 226 მუხლის თანახმად.

7. დაევალოს საქართველოს ს. ს. რ. სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების განხორციელებისათვის.

8. დაევალოს აფხაზეთის ს. ს. რ. და აჭარისტანის ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოებს და სამხრეთ - ოსეთის ავტონომიურ ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გამოსცენ სასწრაფო წესით სათანადო დადგენილებანი.

9. დადგენილება ესე ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე—**შ. ელიავა.**

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი — **ალ. სალარიძე.**

1927 წლის მარტის 22
თბილისი—სასახლე.

ბრძანება № 61

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოსი

ს. ს. ს. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოს მიერ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთათვის სასროლ იარაღის ჩამორთმევის შესახებ ა. წ. 22 მარტის თარიღით გამოცემულ დადგენილების განსავითარებლად —საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო ბრძანებს:

1) ყველა მოქალაქენი, რომელთაც აქვთ სასროლი იარაღი და სამხედრო მასალა (ვაზნები, ყუმბარები და სხვ.) სათანადო ნებართვის გარეშე, — ვალდებულნი არიან ჩააბარონ ასეთები ორი კვირის განმავლობაში, ე. ი. ა. წ. 12 ივნისამდე რაიონულ მილიციის სამმართველოში სათანადო ქვითარების მიღებით.

2) ყველა მოქალაქენი, რომელთაც მიღებული აქვთ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ნებართვა იარაღის ტარებაზე, — ვალდებულნი არიან ერთი თვის ვადაში ე. ი. ა. წ. 1 ივლისამდე ხელ-ახალ რეგისტრაციაში გაატარონ იარაღი საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოში.

შენიშვნა: ა) მოქალაქენი, რომელნიც თავის დროზე არ გამოცხადდებიან ხელ-ახალ რეგისტრაციაზე და არ წარმოადგენენ ცნობას გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ, ჰკარგავენ იარაღის ტარების უფლებას მომავალში.

ბ) საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს მიერ გაცემული ნებართვები (ხელ-ახალ რეგისტრაციაში გაუტარებელი) იარაღის ტარებაზე ძალაში რჩება მხოლოდ 1927 წლის 1 ივლისამდე.

მოქალაქენი, რომელნიც არ ჩააბარებენ სათანადო ადგილზე იარაღს ან ხელ -ახალ რეგისტრაციაში არ გაატარებენ მას, მიცემული იქნებიან კანონიერ პასუხისმგებლობაში საქ. ს. ს. რ. სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების მიხედვით.

ბრძანება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს თავმჯდომარე—**ლ. ბერია**

ქ. თბილისი 1927 წ. 23 მაისი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— **დღეს, 26 მაისს,** საღამოს 6 საათზე. საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების ბინაზე მოწვეულია ქალაქის რაიკომის ყველა **დაწინაურებულ მუშათა თათბირი,** დაწესებულების კომუნისტ - ხელმძღვანელებთან, ადგილკომების მდივნებთან, თავმჯდომარეებთან (კომუნისტები) და იმ დაწესებულებების უჯრედების მდივნებთან ერთად. სადაც და საიდანაც ისინი დაწინაურებული არიან.

— **საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტი** იუწყება, რომ დღეს, 26 მაისს, დილის 10 საათზე, საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტში მოწვეულია **თათბირი რაიონულ მუშათა გაფართოებულ კონფერენციების მოწვევის საკითხზე.**

საჭიროა დაესწრონ: საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების პასუხისმგებელი მდივნები და საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეები, პროფკავშირთა ცენტრალური გამგეობების თავმჯდომარეებმა ან პასუხისმგებელი მდივნები (კომუნისტები) და ამხ. ასრიბეკოვა (თბილისის კომიტეტის საავიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება), სალუქვაძე (ამ. ლ. კ. კ. თბ: კომ:). ადამიძე (თბილ: კომ: მუშათა და გლეხ-ქალთა განყოფილება), ფანცხავა, მარკმანი და გოდაბრელიძე (საქ. პროფსაბჭო).

— **შაბათს, 28 მაისს,** 12 საათზე ცეკას და ტეკას აგიტპროპმუშაობის კაბინეტში (რუსთაველის თეატრი. მესამე სართული) დანიშნულია ცენტრალურ თვითგანვითარების კომისიის სხდომა.

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის:

გოგებაშვილი (ცეკავშირი), დუგლაძე, ხოფერია, ჩერქეზიშვილი, მაჭავარიანი, ლომთათიძე, ცეები, კალანდაძე და მიტარიჯი.

დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხი: საზაფხულო მუშაობის გეგმა.

— **ლენრაიონის მ.-გ. ქალთა შორის მომუშავე** განყოფილება იუწყება, რომ დღეს, 26 მაისს საღამოს 5 საათზე სალ. დარგის მე-6-ე უბნის კლუბში შესდგება რაიონის ქალთა სადელეგატო კრება ქალ. ორგანიზატორებისა და ქალთა აქტივის მონაწილეობით.

დღის წესრიგი: რკინისგზელთა კავშირის თბილისის უბნის მოხსენება პროფ-ხაზით ქალთა შორის მუშაობის შესახებ.

— **ხ. კ. პ. (ბ) ც. კ: აგიტპროპ კოლეგიის** მორიგი სხდომა მოწვეულია დღეს, 26 მაისს, საღამოს 6 საათზე. ცეკას აგიტპროპ კოლეგიის გამგის კაბინეტში, დასწრება სავალდებულოა კოლეგიის წევრებისათვის და ამხ. ს. კანდელაკისათვის.

— **ამხ. მიხა კახიანის სახელობის მუშფაკის** ახ. ლ. კ. კ. ბიურო კოლექტივი აცხადებს ყველა ახალ. კ. კ. წევრ კანდიდატების საყურადღებოდ, რომ დღეს, 26 მაისს, ლექციების შემდეგ შესდგება კომკავშირის გაერთიანებული კრება დასწრება სავალდებულოა ყველა წევრ-კანდიდატებისათვის იწარმოებს აღრიცხვა.

— **საქართვ. ცენტრ. საკონტროლო კომისია** სთხოვს ამხ. დ: ჯიბლაძეს 26—27 მაისს დილის 8 საათზე გამოცხადდეს ცენტრ. საკონტრ: კომისიაში (რუსთვ. პროსპ. 24. მესამე სართული, ოთახი 12).

— **ხ. ა. ლ. კ: კ: ლენინის რაიკომის საავიტ-საპროპაგანდო განყოფილება** ამით აცხადებს, რომ დღეს, 26 მაისს, საღამოს სრულ 5 საათზე მუშათა ახალგაზრდების კლუბის შენობაში შესდგება ლენინის რაიონის 1-ლ და მე-2-ე საფეხურების პოლიტ - სკოლების მსმენელების რაიონული კონფერენცია. დასწრება პოლიტსკოლების დელეგატების სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

— **საქ. უნივ. სოც. ეკონ: ფაკულ: ა: ლ: კ: კ: უჯრედის ბიურო** აცხადებს, რომ დღეს, 26 მაისს, ბიურო კოლექტივის ოთახში ამხ. აპ. ნუცუბიძესთან სრულ 12 საათზე უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: ცერცვაძე ნინო, ფანცხავა ილია, ჯუღელი პეტრე, ჯიბგირაძე გრიგოლ, ჯავახიშვილი შურა, სილაგაძე მაკარი, ურანიშვილი დავით. კუბლაშვილი დავით, მატარაძე ალექსანდრე, მღებროვი კონსტანტინე, ბექაია ანნა, ბალათურია ისიდორე, ბახტაძე ვალერიან, გიორგობიანი ზაქარია, გოგოლაშვილი მიხეილი, გიგაური აბრამ, მარგილაძე ალექსანდრე, ანდღულაძე ვალერიან, ალასანია შალვა, ბილისეიშვილი ვასილი და მახვილაშვილი გიორგი.

აპოლლო
ტელ. 7—61.

არფასტო
ტელ. № 19—22.

სოლეი
ტელ. 20—44.

დარბაზი
ტელ. 14—03.
0—20 ნ. 1094

ბარბარა ლა-მარ იშვიათ მხატვრულ სურათში
„მეკობრეთა შთამომავლები"
ყველამ უნდა ნახოს ეს შესანიშნავი სურათი

ნ. კოვანკო, რიმსკი და კოლინი საუკეთესო სურათში
„ქალი ნილაბში"
(ამ სურათს არაფერი საერთო არა აქვს თბილისში ნაჩვენებ სურათთან—„ქალიშვილი ნილაბში)".

განსაკუთრებული ინტერესის გამო—კიდევ ოთხი დღე
მხოლოდ „სოლეიში"—„დეკაბრისტები"
ყოველ დღე ანშლაგები. იჩქარეთ ნახვა

მეტად საინტერესო სურათის
„ნიუ-იორკის საიდუმლოებანი"-ს
ახალი ეკზემპლიარი 6 სერიათ, 35 ნაწ. მთავარ როლში ცნობილი პირლ უაიტი. 1—2 სერია ერთად.

ანონსი: ჩქარა 2 საუკეთესო სურათი: სამის სიყვარული, „СОЛИСТКА ЕГО ВЕЛИЧЕСТВА"

გაზეთ „კომუნისტზე"
ხელის მოწერა მიიღება

1. ქ. ოზურგეთში — — — პ. ინწკირველთან.
2. ს. შემოქმედში — — — ჩ. სიმონიშვილთან.
3. ს. ლიხაურში — — — კ. გორდელაძესთან.
4. ბახვში — — — ვ. ანდღულაძესთან.
5. ს. ნაგომარში — — — ა. კოპლატაძესთან.
6. ს. ხიდისთავში — — — კ. კალანდაძესთან.
7. ს. ჩოხატაურში — — — ი. ჯინჭარაძესთან.
8. ს. ცხემლისხიდზე — — — ი. კობიძესთან.
9. ს. ნატანებში — — — ხ. ქინქლაძესთან
10. ს. სუფსაში — — — ყ. სოხაძესთან.

2—1 „კომუნისტი" მთავარი კანტორა

ვანო გოთუა
აცხადებს ივანე აროშიძის საყურადღებოდ, რომ ის გამოცხადდეს მასთან, რომ მიიღოს დახმარება მისი ანგარიშების გასასწორებლად და მის მიერ მიღებულ ვალდებულებათა ასასრულებლად.
გამოცხადების ვადა სამი კვირა. 3—1

ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთ 6—8ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წყლუკიძეს ქუჩიდან ყოფ კრუზენშტერნის ქ.) 25—5

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, №3. 25—1

პროფესორმა
გრ. მ. მუხაძემ
ლენინგრადში გამგზავრების გამო
შესწყვიტა
ავადმყოფების მიღება 15 ივნისამდე. 10—1

ქ. თბილისის შრომის სახ. სასამართ. აღმასრულებელი
გ. ქ. ჯინჭველაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის ა. წ. 31 მაისს დილის 2 საათზე გოგოლის ქუჩაზე № 63, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდს ყოფ. საზოგადოება „კახეთია"-ს უძრავ ქონებას: ორსართულიან სარდაფს ზომით 3432 ოთხკუთხარშინიან და ცხრამეტ სხვა განყოფილებებს ამაში სამი განყოფილება ცალკეა აგებული. შენობა აგებულია 64067 კვ. საჟ. მიწის სივრცეზე, დახურულია კრამიტით და შეფასებულია 35.644 მანეთად. გაიყიდება სურსათ-სანოვაგის და სხვათა ვალის დასაკმაყოფილებლად. თანახმად შრომის სასამართლოს მიერ გაცემულ აღმასრულებელ ფურცლებისა № 980, 180, 368 და 987. ვაჭრობა იწარმოებს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-311—312 მუხლების დაცვით ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს 10 პროცენტი საწინდარი. ნ. 1238

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—21

ექიმი ი. ი. გერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი, (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8.

დავკარგე პარტბილეთი № 0861735 საწევრო წიგნაკები: საბჭოთა მოსამსახ კავშირის, დამხმარე სალაროსი, ავიახიმის, რემიდასის, წერკუმსის; პირადობის მოწმობა, სამხედრო ბეგარის მოწმობა სავინ ბესარიონისძე თურქიას სახელზე, ჩ. გ. 2840

დავკარგე დროებითი მოწმობები, გაცემული თბილისის ქალაქის ბანკის გორის განყოფილების მიერ №№ 642, 1011, რომლებიც ღირებულობა ერთი აქციის ანგარიშით უდრის 50 მანეთს, დავით იოსებისძე რთველიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2811

დავკარგე თბილ. უნივერს. სიტყვიერების დარგის სალექციო წიგნაკი № 280, ქსენია კლიმენტის ასული იოსელიანის სახელზე, ჩ. გ. 2843

დავკარგე თბილ. უნივერს. სიტყვ. დარგის სალექციო წიგნაკი № 322 და განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი ნინო ნესტორის ასული გიორგაძეს სახელზე, ჩ. გ. 2842

დავკარგე მბეჭდავთა კავშირის წიგნაკი № 172308 და დამხმარე სალაროს წიგნაკი № 1163 გიორგი არტემისძე შაროევის სახელზე, ჩ. გ. 2839

დავკარგე პურის ვაჭრობის და საცხობის პატენტი № 5410—5498 ერემია ნიკოლოზისძე პეტრიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2844

დავკარგე სამხედრო საალრიცხვო წიგნაკი ვალერიან ხუბლავას სახელზე, ჩ. გ. 2845

დავკარგე ხის დამმუშავებელთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 2784 და დაზღვევის წიგნაკი № 78 გაცემული რაჟდენ გოგოხიას სახელზე, ჩ. გ.

აღმასკომის სტამბა. კამოს ქ. 68.